

ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ღავითაშვილი

# სამედიკორო სასამართლო სვანეთში



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2002

ნაშრომი ეხება ქართული ჩვეულებითი სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორცაა სამედიატორო სასამართლო სევანეთში. მას საფუძვლად უდევს XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალები აღნიშნულ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით.

დაწერილებითაა განხილული და გაანალიზებული სამედიატორო სასამართლოს დანიშნულება, მიზანი, შექმნის წესი, ორგანიზაცია, საქმიანობა, ასევე სასამართლო პროცესის ძირითადი პრინციპები და სტადიები, ფიცის ინსტიტუტი, როგორც ობიექტური განაჩენის გამოტანის საფუძველი.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, ასევე ქართული ჩვეულებითი სამართლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

**რედაქტორი პროფ. ბესარიონ ზოიძე**

**რეცენზენტები: პროფ. ვალერიან მეტრეველი**

**დოც. ნანული კორძაია-სამადაშვილი**

**წიგნი იბეჭდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

© გ. ლავითაშვილი

დ 1202000000

608(06)-02

ISBN 99928-955-0-0.

## უესავალი

სვანური სამედიცინო სასამართლო ქართული სამართლებრივი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ქართულმა სამართლებრივმა აზროვნებამ შურისძიებას, სისხლის აღების ადათს, დაუპირისპირა მხარეთა მორიგების, ურთიერთმტრობის შეწყვეტის მეტად ქმედითი საშუალება სამედიცინო სასამართლოს სახით. სამედიცინო სასამართლო სვანური ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება. მედიცინათა სიბრძნე და ავტორიტეტი განაპირობებდა სამედიცინო სასამართლოს უდიდეს როლს სვანეთში. ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებული პროცესუალური ნორმები შესისხლხორცებული ქქონდა ხალხს და ამიტომ სამედიცინო სასამართლო, მისი ჩატარების წესები, მის მიერ განაჩენის გამოტანა და აღსრულება სვანური საზოგადოებისათვის სრულიად ბუნებრივი იყო, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების სხვაგვარი მექანიზმი მისთვის მიუღებლად ითვლებოდა. სვანური სამედიცინო სასამართლოსა და, საერთოდ, ჩვეულებითი სამართლის როლის დაკნინება საქართველოს ამ კუთხეში ვერც რუსულმა მმართველობამ შეძლო და ვერც საბჭოთა ხელისუფლებამ. რუსული მმართველობის ყოველგვარი მცდელობა, აეკრძალა სვანებისათვის მკვლელობის, დაჭრადსახინჩრების, ქურდობისა და სხვა სადავო საქმეების (ძირითადად სისხლისსამართლებრივის) სამედიცინო სასამართლოს მეშვეობით განხილვა, უშედეგო აღმოჩნდა. ხალხისათვის მიუღებელი იყო თავს-მოხვეული რუსული კანონმდებლობა. სვანები რუსული მმართველობის მიერ დანიშნულ მოსამართლეს ყოველნაირად უშლიდნენ ხელს, შეესრულებინა თავისი მოვალეობა და, როგორც აღვნიშნეთ, საქმეებს მხოლოდ საკუთარი ადათ-წესების მიხედვით განიხილავდნენ.

ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ სვანეთში მეფის დროს სასამართლო მოხელე წელიწადში მხოლოდ ორი თვით მიდიოდა და ცდილობდა მკვლელობის საქმეთა გამოძიებას, მაგრამ სვანები მანამდე ან სამედიცინო სასამართლოს მეშვეობით რიგდებოდნენ, ან საპასუხო მკვლელობას სჩადიოდნენ. როდესაც რუსული ხელისუფლების მიერ გაგზავნილი გამომძიებელი დაიბარებდა მომჩივან-მოპასუხესა და მოწმეებს, ყველა დამნაშავის სასარგებლოდ აძლედა ჩვენებას, რათა რუსული კანონით

არ დასჯილიყო დამნაშავე და დავა სვანური წესებით მოგვარებულიყო. ერთ-ერთი ასეთი წარგზავნილი მთლად ჭკუაზე შემცდარა: რა საჭიროა სვანეთში კანონებიო, დაუწყვია საქმეები ერთ ადგილას, გადაუსხია ნავთი და დაუწვავს.<sup>1</sup> მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაფუძნებული სამედიატორო სასამართლო კი ძალზედ ეფექტურად აგვარებდა უმძიმეს სასისხლო დაპირისპირებებსაც კი.

აღსანიშნავია, რომ სამედიატორო სასამართლო, როგორც ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი უძველესი სასამართლო ინსტიტუტი, XX საუკუნის განმავლობაში თითქმის პირვანდელი სახით და საკმაოდ სრულყოფილად შემორჩა საქართველოს ორ კუთხეში: ხევსურეთსა და სვანეთში. ხევსურულ სამედიატორო სასამართლოს ანუ „რჯულს“ ჩვენ დამოუკიდებელი ნაშრომი მიუძღვენით. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სამედიატორო სასამართლო სასამართლოს უძველესი ფორმაა. ხევსურეთის მსგავსად, სვანეთშიც არ ჩამოყალიბებულა ჩვეულებითი სამართლის პრინციპებზე დაფუძნებული მუდმივმოქმედი სპეციალიზებული სასამართლო დაწესებულება და მოსამართლის თანამდებობა; კერძოდ, არ არსებობდა თვითმმართველობის ორგანოს – სახალხო კრების მიერ არჩეული მოსამართლე. სვანურ სინამდვილეს ასევე შემორჩა პროცესის უძველესი ფორმა – საბრალდებო პროცესი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. მხარეები თვით ქმნიან სასამართლოს შემადგენლობას, წარუდგენენ მათ მტკიცებულებებს, რომელთაც მედიატორები აფასებენ და ამის საფუძველზე გამოაქვთ განაჩენი. მტკიცებულებათა შეკრების თვალსაზრისით მედიატორთა როლი პასიურია. სასამართლო პროცესი შეჯიბრებითია, მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი არიან.

სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები ხევსურეთსა და სვანეთში ერთგვაროვანია. მისი დანიშნულება მოდავე მხარეების მორიგება და შურისძიების აღკვეთაა. თუმცა განსხვავებებიც შეინიშნება; კერძოდ, სამედიატორო სასამართლოს განაჩენის ფაქულტატურობა ხევსურეთში მკვეთრადაა გამოხატული,<sup>2</sup> ხოლო სვანეთში განაჩენი სავალდებულო ხასიათს ატარებს, რასაც მხარეთა შესაბამისი ფიცი განაპირობებს.

<sup>1</sup> ვ. გაბლიანი, თვისუფალი სვანეთი. თბ., 1927, გვ 91-94.

<sup>2</sup> სამედიატორო სასამართლოს ჩატარება კონკრეტულ საქმეზე მხარეთა ნებაზე დამოკიდებული, ასევე გამოტანილი განაჩენის აღსრულებაც მათი სურვილით ხდება და ამიტომ დასაშვებია სამედიატორო სასამართლოს გამართვა განმეორებით, იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება, მანამ, სანამ არ იქნება გამოტანილი ორივე მხარისათვის მისაღები განაჩენი.



აღსანიშნავია, რომ განსხვავება სამედიატორო სასამართლოს ჩატარების წესებში სვანეთის სხვადასხვა თემებს შორისაც შეინიშნება. არის რაღაც ნიუანსები, რომლებიც ერთ თემში სხვაგვარია, მეორეში კი სხვა. თუმცა სამედიატორო სასამართლოს ჩატარების ძირითადი, განმსაზღვრელი წესები, მისი არსი და დანიშნულება მთელს სვანეთში მაინც ერთგვაროვანია და საერთო პრინციპებზეა დაფუძნებული. ჩვენ ძირითად ყურადღებას სწორედ საერთო ნიშნებზე გავამახვილებთ და სამედიატორო სასამართლოს, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, სვანეთის ცალკეული თემების მიხედვით არ განვიხილავთ. ჩვენ უმთავრესად შევვხებით სამედიატორო სასამართლოს მოქმედებას ბალსზემო სვანეთში (თავისუფალ სვანეთში), ხოლო რომელიმე თემში არსებულ განმასხვავებელ ნიუანსზე მცირე შენიშვნას გააკეთებთ.

სამედიატორო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებული საკითხები. ეს საკითხი ჩვეულებითი სამართლით ზუსტად არ იყო რეგლამენტირებული, თუმცა სასამართლო პრაქტიკა თვალსაჩინოდ მიუთითებს, თუ რა საქმეებს იხილავდა სამედიატორო სასამართლო სვანეთში.

მ. კეკელია აღნიშნავს, რომ სვანეთში სამედიატორო სასამართლოს განსჯადობის საგანი შეიძლება იყოს ყოველგვარი დავა, იქნება იგი სისხლისა თუ სამოქალაქო ხასიათის, თუ ამას მხარეთა ინტერესი მოითხოვდა და სხვა გზით შეუძლებელი იყო მისი მოგვარება. ერთ-ერთი ინფორმატორი უშეგულიდან მიუთითებს, რომ ადათის მიხედვით არ არსებობდა ისეთი საქმე, რომლის გარჩევაც სამედიატორო სასამართლოს არ შეეძლო. მედიატორებს (სვანურად მორვალს) მხოლოდ ძალიან უბრალო საქმეებს არ არჩევინებდნენ.<sup>1</sup> იგივეს ადასტურებენ სხვა ავტორებიც.<sup>2</sup>

მართლაც, სამედიატორო სასამართლო მაშინ განიხილავდა დავებს, თუ იგი მოდავე მხარეთა ინტერესებში შედიოდა, მაგრამ, თუ ეს ასე არ იყო, სამედიატორო სასამართლო საერთოდ არ შედგებოდა (იგი მხარეებს უნდა შეექმნათ კონკრეტული დავისათვის) და არჩევდა, თანამედროვე გაგებით, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო ხასი-

---

<sup>1</sup> მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 2, თბ., 1981, გვ. 113.

<sup>2</sup> ბეს. ნიყარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1, თბ., 1962, გვ. 85; ა. წულუკიანი, სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, №9, გვ. 61.

ათის საქმეებს. მედიატორებს (მორვალს) რომ უბრალო საქმეებთან დაკავშირებით არ აწუხებდნენ, სრულიად ბუნებრივია, რადგან მედიატორ-მოსამართლედ მონაწილეობა სევანეთში ძალზედ საპასუხისმგებლო საქმე იყო (დაკავშირებული ფიცთან), რასაც თუნდაც უნებლიე, უსამართლო განაჩენის შიშით, ყველა ერიდებოდა, ამიტომ ძალზედ უბრალო, მარტივი საქმეების მოსაგვარებლად სევანეთში სხვა საშუალებები არსებობდა.

დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ სევანეთში სამედიატორო სასამართლო განიხილავდა მხოლოდ კერძო პირთა სადავო საქმეებს<sup>1</sup>, ხოლო საზოგადოებრივი საქმეები სახალხო კრების მიერ უნდა გადაწყვეტილიყო.<sup>2</sup> დ. ბაქრაძის აზრით, სამედიატორო სასამართლო მხოლოდ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებდა და მისი განსჯადობის სფერო კერძო სამართალდარღვევები იყო. ცხადია, მთელი საზოგადოების (ხეობის, სოფლის, თემის) ინტერესების ხელმყოფ სამართალდარღვევებს სამედიატორო სასამართლო არ განიხილავდა. თუ რომელიმე თემის წევრი ხელყოფდა თემის ინტერესს, მაშინ თემის ყრილობა განსჯიდა მას და დააკისრებდა შესაბამის სასჯელს. თემის ყრილობა განიხილავდა ხალხისათვის საჭირობო საკითხებს, გზებისა და ხიდების მშენებლობას, ეკლესიათა შეკეთებისა და სხვა ამგვარ პრობლემებს<sup>3</sup>. ასევე თემის ყრილობა იღებდა გადაწყვეტილებას სალაშქროდ წასვლის (უმეტესად ჩრდილოკავკასიის ხალხებთან), მათი დაბეგურისა და შერიგების, სხვა საზოგადოებასთან კავშირის შეკერის შესახებ, თემის ოჯახებს შორის გადასახადის განაწილების თაობაზე, თუ ამის საჭიროება იქნებოდა.<sup>4</sup> თემის ყრილობას გამოჰქონდა დადგენილება მგზავრთა მიმოსვლასთან დაკავშირებით. მათი ნებართვის გარეშე უცხო ქვეყანაში გადასვლა იკრძალებოდა, რათა რაიმე სენი არ შემოეტანათ. ასევე ადგენდა ნიხრს: პურზე, ქერზე, ცერცვზე, ხარზე, ცხენზე, არაყზე, ღორზე, ცხვარზე, თხაზე, ძროხაზე და სხვა.<sup>5</sup>

თემის ყრილობა ახორციელებდა მართლმსაჯულების ფუნქციასაც.

---

<sup>1</sup> Д. Бакрадзе, Сванетия, „Записки Кавказского отделения Императорского Русского географического общества“ (ЗКОИРГО), 1864, кн. VI, ст. 55.

<sup>2</sup> იქვე, გვ 54.

<sup>3</sup> იქვე, გვ 54-55.

<sup>4</sup> ბეს. ნიუარაძე, დასახ. ნაშრ., გვ 87.

<sup>5</sup> ჯგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ 68-69.

იგი სიკვდილით სჯიდა ქვეყნის მოღალატესა და ეკლესიის მძარცველს. შემამსუბუქებელი ან პატივსადები გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში სიკვდილით დასჯას ცვლიდნენ ოჯახთან ერთად საზოგადოებიდან განდევნით. თემის ყრილობა ადგილობრივ ქურდებს ძირითადად მაშინ სჯიდა, როდესაც ერთი და იგივე პირი რამდენჯერმე იყო ქურდობაში შენიშნული. ყრილობა ახდევინებდა ჯარიმას საზოგადოების ყველა წევრს, რომელიც მამა-პაპათაგან დადგენილ წესსა და რიგს დაარღვევდა; მაგალითად, ვინც მელიოგინე ქალს დანიშნულ ვადაზე ადრე გამოიყვანდა სახლიდან, ან უქმე დღეებში იმუშაებდა. თემის ყრილობა სჯიდა სასულიერო პირს და ზნეობრივი ნორმების დამრღვევსაც. მაგალითად, თუ გაუთხოვარ ქალიშვილს ბუში ეყოლებოდა, მაშინ ყრილობა ქალიშვილის მშობლებს ჯარიმის სახით ჩამოართმევდა ერთ დღიურ ყანას, ასევე ისჯებოდა ნათესაობისა და, განსაკუთრებით, მირონის გამტეხი<sup>1</sup>.

ამჟამად, რომ თემის ყრილობის განსჯადობა საკითხთა ფართო წრეს მოიცავდა. ზემოთ ჩამოთვლილ სამართალდარღვევებს თემი მისი ინტერესების შელახვად აღიქვამდა. სრულიად შესაძლებელია, რომ სამართალდარღვევათა ეს წრე საჯარო დანაშაულებად, საჯარო სამართალდარღვევებად მივიჩნიოთ. მათ სამედიატორო სასამართლო არ განიხილავდა, ეს არ იყო მისი განსჯადობის სფერო. სამედიატორო სასამართლო კერძო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა, როდესაც მხარეთა შორის გარკვეული დავა წარმოიშობოდა ერთმანეთის მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. ეს სამართალდარღვევები ხელყოფდნენ კერძო პირთა ინტერესებს. აქედან გამომდინარე, სამედიატორო სასამართლო კერძო სამართალდარღვევებს არჩევდა, ე.ი. ეს შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი დავა, თუ ძალზედ მარტივ, უბრალო დავებს არ მივიღებთ მხედველობაში. ბუნებრივია, რომ სამედიატორო სასამართლოს ყოველი კონკრეტული შემთხვევისას, თვით მოდავე მხარეები ქმნიდნენ, თუ მათ ამის სურვილი ჰქონდათ. ამიტომ მათ მხოლოდ იმ საქმეთა განხილვა შეეძლოთ, რომლებიც კერძო პირთა ინტერესებს ხელყოფდა და რომელთა განხილვასაც მათ მიანდობდნენ. სამედიატორო სასამართლოს მთავარი ფუნქცია სამართლიანი კომპოზიციის დაწესების საფუძველზე მხარეთა მორიგება იყო. თემის ინტერესების დარღვევისას, როდესაც თემის ყრილობა

<sup>1</sup> ბეს. ნოვარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 85,86,87,88.

განიხილავდა, მაგალითად, საზოგადოების ღალატს, მის მიზანს არ წარმოადგენდა თემის შერიგება დამნაშავესთან (თემი და დამნაშავე, ცხადია, მედიატორებს არ აირჩევენ მათ შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოსაგვარებლად), არამედ დამნაშავეის სათანადო დასჯა. სვანეთში კი ისე, როგორც ხევსურეთში და, საერთოდ, ქართულ ჩვეულებით სამართალში კერძო სამართალდარღვევებს მიეკუთვნება: მკვლელობა, დაჭრა-დასახინჩრება, ქურდობა (მათ შორის ქურდობა სახლის გატეხვით) და სხვა დანაშაულებანი. სამედიატორო სასამართლო, ბუნებრივია, ყველა სახის სამოქალაქო დავებს იხილავდა: ვალის დაუბრუნებლობა, საოჯახო სფეროში წარმოშობილი დავები, განქორწინება, ქონებაზე დავები და სხვა.

ეთნოგრაფიული მასალა სვანეთის შესახებ მიუთითებს, რომ კერძო სამართალდარღვევის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობაში შესაძლოა მონაწილეობდეს თემიც, როგორც ამ ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტი, ანდა ჩატარდეს სამედიატორო სასამართლო და თემი მოგვევლინოს, როგორც მხარე ამ სასამართლო პროცესში.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში თემი თვით ირჩევს თავისი მხრიდან მედიატორებს. საილუსტრაციოდ ერთ შემთხვევას მოვიყვანთ, რომელსაც ეგ. გაბლიანი გვაწვდის. მისი თქმით, აღმოსავლეთით სვანეთის დაუძინებელი მტერი იყო მეზობელი ბალყარელი ტომები, რომელთაც მრავალჯერ სცადეს სვანეთის დამორჩილება და საწადელს მანც ვერ მიაღწიეს. ეგ. გაბლიანი გვიამბობს: „ერთხელ ბალყარის ბატონი დევეთგერი მურზაყულოვი და მისი ბიძა ქურდულად შეიპარნენ სვანეთში და განიზრახეს უშგულის წმინდა ბარბაქუსა და კალის წმინდა კვირიკეს ტაძრების გაძარცვა. დევეთგერმა გატეხა უშგულის წმინდა ბარბარეს ეკლესიის კარები, რაც რამ იყო გამოიტანა და წაიღო. ხოლო კალის კვირიკეს ეკლესიის გაძარცვა მის ბიძას ვერ მოუხერხებია. მეორე დღეს უშგულელები დევეთგერს დაუდევნენ, თუმცა მას ვერ დაეწივნენ, მაგრამ მათ ჩაუვარდათ ხელში ტყვეთ ამაღლითურთ კალიდგან დაბრუნებული ბიძამისი. ერთი დაჭერილთაგანი უშგულელებმა გააგზავნეს ბალყარში და შეუთვალეს დევეთგერს: „თუ მოკლე ხანში ჩვენს ეკლესიის ქონებას არ დაგვიბრუნებთ, ბიძაშენსა და მის მხლებლებს დავხოცავთ“. დევეთგერმა საკუთარი ხელით მოიტანა

<sup>1</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლებში არაერთი საბუთია, რომლებიც ადასტურებენ, რომ მედიატორები განიხილავდნენ ცალკეულ თემთა, საზოგადოებათა შორის წამოჭრილ უთანხმოებებსაც, ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

ეკლესიიდან მოპარული ნივთები, მაგრამ მას აკლდა ერთი მძივი, რომელიც თავის საყვარლისათვის ეწუქებინა; მას იგი არ დაუბრუნებია და ამიტომ უშგულელებს დევთგერი მოუკლავთ ეკლესიის გალავანთან იმ ქვებზე, რომლებსაც დღემდე შერჩენიათ სახელად „დევთგერი ნადგარ ბაჩარ“ – დევთგერის დანაკლავი ქვები. დიდხანს ბალყარის ბატონები არ ურიგდებოდნენ უშგულს. მაგრამ შემდეგ დაკყაბულდნენ შერიგებაზე. გაუშვეს 12 კაცი მსაჯულ-მედიატორედ. მისი ჭირისუფალი სისხლის საფასურად თხოულობდა 15 გლეხ-კაცის „წორს“ – სისხლის ფასს, რადგანაც ბალყარში მათი მოკვლა ამდენად ფასდებოდა თურმე. მედიატორებმა მათ მიუსაჯეს 200 ხარი. ამ 200 ხარიდან ეკლესიის გაძარცვა-გაპარტახებისათვის უშგულელებს მიესაჯათ 100 ხარი, ხოლო დანარჩენი 100 ხარი უნდა მიეცათ მურზაყულოვებისათვის. უშგულელებმა გაპყიდეს საეკლესიო მიწები, 70 ხარი მაშინვე მისცეს, ხოლო 30 ხარი შემდეგ<sup>1</sup>.

საკუთარი ინფორმატორის ცნობაზე დაყრდნობით იმავე ფაქტს აღწერს დ. დავითულიანიც; იგი გვიამბობს, რომ XIX საუკუნეში ვინმე ბალყარელ თავადსა და მის ორ თანმხლებ პირს ღამით გაუძარცვავთ უშგულის წმინდა ბარბარეს ეკლესია. მძარცველებს ვერ მოუსწრიათ უშგულიდან გასვლა და გათენებისას სოფელს ისინი შეუპყრია. მოუწვევიათ თემის ყრილობა. ყრილობას მძარცველებისათვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანია... სამივე მძარცველი ჩაუჭოლავთ... ინციდენტის თაობაზე შეკრებილა მორევების სასამართლო ექვს-ექვსი კაცი უშგულიდან და ბალყარეთიდან. მორევების სასამართლოს სისხლის ფასად უშგულელებისათვის 200 სული მოზვერის გადახდა დაუკისრებია. მისჯილი საურავიდან გამოუქვითიათ ეკლესიის „საუპატიოდ“ 100 სული მოზვერი, ე.ი. სოფლის მორალური ზიანის საზღაური, ხოლო 100 სული გადაუხდევინებიათ. 75 სული მოზვერი იმავე წელს გადაუხდია უშგულს, ხოლო დანარჩენი მომდევნო წლებში.<sup>2</sup>

ერთი და იმავე ფაქტის ეს ორი ცნობა გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ისინი ავსებენ კიდევ ერთმანეთს. მათში აშკარად ჩანს, რომ სამედიატორო სამართალწარმოების ერთ-ერთი მხარე შესაძლოა იყოს თემი. ეს შემთხვევა ცხადყოფს, თუ როდის

<sup>1</sup> ევ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, გვ. 107.

ახორციელებს მართლმსაჯულებას თემის ყრილობა და როდის სამედი-  
ატორო სასამართლო.

როგორც აღინიშნა, ბალყარელმა თავადმა უშგულის ერთ-ერთი ეკ-  
ლესია გაძარცვა. ეკლესიის ძარცვა თემის ინტერესების წინააღმდეგ  
მიმართული საჯარო ხასიათის დანაშაულად იყო მიჩნეული და, ბუნე-  
ბრივია, რომ ეს საქმეც განიხილა უშგულის თემის ყრილობამ და  
დამნაშავეებისათვის სასიკვდილო განაჩენი – ჩაქოლვა – გამოიტანა (ამ  
შემთხვევაში ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ეს ყაბარდოე-  
ლი თავადი ცხელ კვალზე დააკავეს, როგორც ამას დ. დავითულიანი  
აღნიშნავს, თუ გარკვეული დროის შემდეგ ჩაიგდეს ხელში, როგორც  
ეს ეგ. გაბლიანთანაა). მაგრამ ჩვეულებითი სამართლის პრინციპებიდან  
გამომდინარე, ბალყარელებისათვის მათი თავადის ჩაქოლვა ეს იყო ჩვეუ-  
ლებრივი მკვლელობა. კავკასიის ხალხთა ჩვეულებით სამართალში ბა-  
ტონობდა ობიექტური შერაცხვის პრინციპი და გადაწყვეტი მნიშ-  
ვნელობა ჰქონდა შედეგს. ეს ამ მაგალითშიც კარგად ვლინდება. ბალ-  
ყარელთათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რისთვის ჩაქოლეს უშგულე-  
ლებმა მათი თავადი. მთავარია მისი მოკვლის ფაქტი, რისთვისაც მათ  
შესაბამისი კომპოზიცია მოითხოვეს. ასე რომ, ბალყარელი თავადის  
ჩაქოლვამ უშგულის თემსა და ბალყარელებს შორის წარმოშვა ახალი  
კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა. მათი მტრობისა და  
შურისძიების შესაჩერებლად გაიმართა სამედიატორო სასამართლო.  
უშგულის თემმაც და ბალყარელთა მხარემაც ექვს-ექვსი მედიატორი  
აირჩია, რომელთაც გაარჩიეს საქმე, ე.ი. უშგულის თემი სასამართლო  
პროცესის მონაწილე მხარედ წარმოგვიდგა. მედიატორებმა უშგულე-  
ლებს დააკისრეს გადასახადი – 200 ხარი, თუმცა აქედან გამოიქვითა  
100, ეკლესიის გაძარცვით უშგულელთათვის მიყენებული მორალური  
ზიანისათვის და დარჩა საბოლოოდ 100 ხარი.<sup>1</sup>

ეკლესიის მძარცველი უშგულის თემის წევრი რომ ყოფილიყო, მისი  
გვარი, ცხადია, ვერ დაუპირისპირდებოდა უშგულის თემს და ვერ მოითხო-  
ვდა მისგან კომპოზიციის გადახდას, როგორც ეს ბალყარელებმა გაა-  
კეთეს. თემის ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულო იყო თემის  
წევრთათვის და თითოეული უნდა დამორჩილებოდა მას (ისევე როგორც

<sup>1</sup> კერძო დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების გაქვითვა, ჩათვლა, იმავე  
დანაშაულის „გაძრა“ კავკასიის ხალხთა ჩვეულებით სამართალში ჩვეულებრივ მოვლანს წარ-  
მოადგენდა.

სრულიად სვანეთის საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებას ყველა სვანი). საერთოდ, თმსა და მის წევრს შორის სამედიატორო სასამართლოს გამართვა შეუძლებელია. ასეთი რამ არ ხდებოდა. იგივე ითქმის სვანეთის სხვა თემის წევრებზეც. თითოეულ მათგანს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რაოდენ დიდი დანაშაული იყო ეკლესიის გამარცხვა და ამის გამო სიკვდილით დასჯილს არავინ გამოესარჩლებოდა. ყველასათვის ცნობილი იყო ეკლესიის გამარცხისათვის სვანური ადრათით გათვალისწინებული სასჯელი. საერთოდ, სამედიატორო სასამართლო რომ გამართულიყო, მხარეები შესარიგებულნი და შერიგებით დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ. რაც შეეხება ბალყარელი თავადის ოჯახს, საგვარეულოს, ისინი სვანური ეკლესიების სიწმინდეს არაფრად აგდებდნენ, ამასთან, საკმაო ძალაც გააჩნდათ და მათთან მტრობის შეწყვეტა, ცხადია, უშგულებლათ ინტერესებში შედიოდა. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, თემი შერიგების მიზნით სამედიატორო სასამართლოს ჩატარებას დასთანხმდა და სასამართლო პროცესის მხარედ მოგვევლინა, ასევე დაკისრებული კომპოზიციაც სრულად გადაიხადა, ასე რომ, თუ მთელი თემის ძალისხმევით მოხდებოდა ამა თუ იმ პიროვნების სიკვდილით დასჯა, მოკვლა, შესაძლებელია თემი, როგორც ერთი სუბიექტი, კორპორაცია, გამხდარიყო კერძო სამართალდარღვევის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე — პროცესში მონაწილე მხარე.

თემი, თანამედროვე გაგებით სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც შეიძლება გამოსულიყო ცალკე მხარედ, როგორც ერთიანი კორპორაცია, ხოლო ამ ურთიერთობების დასარეგულირებლად მხარეთა ნება-სურვილით გამართულ სამედიატორო სასამართლოზე, როგორც პროცესის მონაწილე. სრულიად შესაძლებელია პროცესის მონაწილე ორივე მხარე თემი (საზოგადოება) ყოფილიყო. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც თემები (საზოგადოებები) ერთმანეთს შორის უთანხმოების დაძლევის სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტდნენ და მედიატორებს აირჩევდნენ თანაბარი რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ როდესაც თემი (საზოგადოება) მხარედ მონაწილეობდა სასამართლო პროცესში, მას ისეთივე პროცესუალური უფლებები გააჩნდა, ისეთივე სამართლებრივი სტატუსი ჰქონდა, როგორც პროცესის ნებისმიერ სხვა მონაწილეს — ეს ინდივიდი იქნება, ოჯახი თუ ნათესაური ერთეული. როდესაც თემის, როგორც ტერიტორიული ერთეულის უმაღლესი თვითმმართველობის ორგანო — თემის ყრილობა ზემოთ ჩამოთვლილ საჯარო

სამართალდარღვევებს განიხილავდა და დამნაშავეს სჯიდა, იგი გვევ-  
ლინება არა როგორც სასამართლო პროცესის მხარე, არამედ როგორც  
მსაჯული, რომლისთვისაც დამნაშავე თემის წევრი დასჯის ობიექტია  
და არა თანასწორუფლებიანი მხარე. თემის ყრილობის მიერ გამოტანი-  
ლი განაჩენი კი სავალდებულოა თემის თითოეული წევრისათვის.

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. სვანეთში სამედიატორო სასა-  
მართლოს ინსტიტუტის განხილვისას ჩვენ ვიყენებთ XIX-XX საუკუნის  
ეთნოგრაფიულ მონაცემებსა და სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც  
იმავე საუკუნეებში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობა.

XIX საუკუნის ავტორთაგან ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შევხებით  
ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიულ წერილებს. ესაა ყველაზე სრულყოფილი და ყოვლისმომცველი წყარო სამედიატორო სასამართლოს შესახებ  
სვანეთში. ცნობილია, რომ ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული წერ-  
ილები, მათ შორის სვანურ ჩვეულებით სამართალზე, მის მიერ უშუა-  
ლოდ შეკრებილ მასალებს ეყრდნობა. სვანეთის „სულხან-საბად“ წოდე-  
ბული გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი,  
მშობლიური სვანეთის წეს-ჩვეულებების ყველაზე პირუთენელ აღმწ-  
ერად მოგვევლინა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი წერ-  
ილები: „სასამართლოს წარმოება სვანეთში“, „ჩვეულებრივი მართლი-  
ერება სვანეთში“. ბესარიონ ნიჟარაძის ღვაწლს სვანური ჩვეულებითი  
სამართლის შესწავლაში სპეციალური წერილები უძღვნეს რ. ხარაძემ,  
ივ. სურგულაძემ<sup>1</sup> და მ. კეკელიამ<sup>2</sup>. XIX საუკუნის ავტორთაგან გან-  
საკუთრებით საყურადღებოა რ. ერისთავის, მ. კოვალევსკის, ი. ივანიუკ-  
ოვის, ა. სტოიანოვის, დ. ბაქრაძის შრომები, სადაც ასევე საუბარია  
სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის შესახებ სვანეთში. თუმცა ამ  
და ზოგიერთ სხვა ავტორთა ინფორმაცია იმდენად სრულყოფილი არ  
არის, როგორც ბ. ნიჟარაძის. რაც შეეხება რ. ერისთავის ნაშრომს  
„შენიშვნები სვანეთზე“<sup>3</sup>, იგი ბ. ნიჟარაძის წერილების თავისუფალ  
თარგმანს წარმოადგენს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ბეს. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37-47.

<sup>2</sup> მ. კეკელია, სვანეთის სულხან-საბას ბესარიონ ნიჟარაძის — დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით  
სამართალზე, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 63-94.

<sup>3</sup> P. Эрстов, Заметки о Сванетии, ЗКОИРГО, Кн. XIX, вып. II, 1898.

<sup>4</sup> იხ. ვ. ითონიშვილი, რაფიელ ერისთავი, როგორც ეთნოგრაფი, ჟურნ. „ციცქარი“, 1974,  
№1, გვ. 119; ასევე, ჯ. მერაბიშვილი, „სამშობლო ხევსურისა“-ს ავტორი ქართველ მთელთა  
სამართლის შესახებ, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 55-57.



XX საუკუნის ავტორთაგან, უპირველეს ყოვლისა, ვეყრდნობით ეგნატე გაბლიანს. საყურადღებოა მისი ორი ნაშრომი: „ძველი და ახალი სვანეთი“ (1925 წ.) და „თავისუფალი სვანეთი“ (1927 წ.). წიგნის „თავისუფალი სვანეთი“ მე-4 თავის სახელწოდებაა „სვანური იურიდიული წესწყობილება და სამართლის წესები“, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სამედიატორო სასამართლოს ეხება. ეგ. გაბლიანის მასალებიც უმნიშვნელოვანესი წყაროა განსახილველი საკითხის შესასწავლად. იგი თვითონაც ხშირად იღებდა მონაწილეობას სამედიატორო სასამართლოს საქმიანობაში, როგორც მედიატორ-მოსამართლე, ამიტომ მისი ინფორმაცია საეხებით სანდო უნდა იყოს. ავტორი აღნიშნავს: „ვინ მოსთვლის, რამდენი შფოთი, უბედურება და სისხლისღერა მე თვითონ შემიჩერებია ამ გზით (ეგ. გაბლიანს მხედველობაში აქვს სამედიატორო სასამართლო – გ.დ.) მუდმივად სვანეთში ცხოვრებისა და მუშაობის დროს. ამიტომაც ის, რასაც მე ქვემოთ ვწერ სვანეთის იურიდიულ წესწყობილებაზე, არის არა ვინმეს ნაამბობი, გაგონილი და ჩაწერილი, არამედ მრავალი წლების განმავლობაში საკუთარი თვალით ნახული საქმეების და პირადად ჩემი პრაქტიკის აღწერილობა ამ სფეროში და ამიტომაც მკითხველს შეუძლია ყველაფერი ეს სვანეთის ცხოვრებიდან ამოწურულ ჭეშმარიტებად ჩასთვალოს“.<sup>1</sup>

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის განსახილველ საკითხზე გამოჩენილი ეთნოგრაფი რ. ხარაძეც. მას სპეციალური ნაშრომი არ მიუძღვნია სამედიატორო სასამართლოსათვის სვანეთში, თუმცა მის წიგნში „ლიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“ (1939 წ.), ამ საკითხს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს.

სამედიატორო სასამართლოს შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით დ. დავითულიანის ნაშრომში „სვანეთის ჩვეულებითი სამართალი“ (1974-75 წწ.).<sup>2</sup> ავტორი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს ეხება სვანურ ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით, მათ შორის სამედიატორო სასამართლოზეც, ძირითადად მის მიერვე მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე.

სპეციალური ნაშრომი სვანურ სამედიატორო სასამართლოს მი-

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927. გვ 92.

<sup>2</sup> ეს ნაშრომი ხელნაწერის სახით ინახება თსუ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრაზე.

უძღვნა ავთანდილ წულუკიანმა<sup>1</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ მ. კეკელიას ნაშრომები. მან დიდხანს იმუშავა სვანეთში და საველე გზით მოპოვებული მასალების საფუძველზე შექმნა რამდენიმე საინტერესო ნაშრომი დაკავშირებული სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებთან სვანეთში<sup>2</sup>. ამ ნაშრომებში მ. კეკელია ძალზე დაწვრილებით განიხილავს სამედიატორო სასამართლოსთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხს და მრავალ ნიუანსს.

---

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, № 9, 1990.

<sup>2</sup> მ. კეკელიას მონოგრაფიის „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ“ (ტომი 2, თბ., 1981) მეხუთე თავს კვლია: „სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხები სვანეთის ჩვეულებით სამართალში“, ასევე ნაშრომში „ფიცი სვანეთის ჩვეულებით სამართალში“ საუბარია ფიცის იმ სახეებზე სვანეთში, რომლებიც გამოიყენება არა როგორც სასამართლო მტკიცებულება, არამედ როგორც სასამართლო პროცესის ობიექტურობის, განაჩენის აღსრულებისა და მხარეთა საბოლოოდ შერიგების გარანტია.

სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაცია  
სვანეთში

§ 1. ტერმინის შესახებ

სამედიატორო სასამართლოს სვანეთში მორევთა, მორევლის სასამართლო ეწოდება. მედიატორ-მოსამართლეს სვანეთში ჰქვია „მორევი“ (მხოლოდით რიცხვში) და „მორევი“ ანუ „მორევი“ (მრავლობით რიცხვში)<sup>1</sup>. მორევი სვანეთში ბჭე-მედიატორის იდენტურია. ბეს. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ სასამართლოს სვანეთში შეადგენდნენ მსაჯულ-მედიატორები, რომელთაც იქ ეძახიან „მორევი“.<sup>2</sup> ამასვე ადასტურებს ეგ. გაბლიანიც. მისი თქმით, „მორევი“ სვანები ეძახიან მსაჯულ-მედიატორებს.<sup>3</sup> ასევე XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალაშიც გამოჩნდა, რომ ბალს ზემო სვანეთის მცხოვრებთათვის მორევი და მედიატორი გაიგივებულია. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს: „სვანურად სიტყვა მორევის ვხმარობთ, ხოლო თუ ქართულად ვლაპარაკობთ, მაშინ მედიატორეს, მედიატორე-მორევის“.<sup>4</sup> ამ ტერმინს სხვა ავტორებთანაც ვხვდებით, ცხადია, იგი მედიატორ-მოსამართლის აღსანიშნავად ბალს ზემო სვანეთში ბოლო ხანებამდე შემორჩა და ახლაც გამოიყენება. მას იმავე მნიშვნელობით ვხვდებით სვანეთის საისტორიო ძეგლებშიც, რომლებიც 1941 წელს გამოაქვეყნა ჰაელ ინგოროყვამ (მხედველობაშია აღიშისა და მესტიის სახარებების აშეიბზე XIII-XVI საუკუნეებში გაკეთებული სამართლებრივი ხასიათის მინაწერები. ოთხთავსა და სხვა სასულიერო წიგნებზე დართული სათანადო მინაწერების მეშვეობით ხდებოდა თემის, თემებს შორის დადებული პირობის, ასევე ცალკეულ პირთა შორის დადებული ხელშეკრულებების გამტკიცება, რომელთა დარღვევასაც ვერავინ ბედავდა, რადგანაც მათ ამით ერთგვარი ღვთაებრივი ძალა ენიჭებოდათ). ამ ძეგლების მიხედვით, მედიატორ-მოსამართლის აღმნიშვნელ ტერმინად, ძირითადად,

<sup>1</sup> მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. ტ. 2, თბ., 1981, გვ.106.

<sup>2</sup> ბეს. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

<sup>3</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

<sup>4</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

დასახელებულია „მოურაუნი“, „მოურავნი“, „მორავნი“<sup>1</sup>. ამ ტერმინთა უფრო გვიანდელი ვარიანტი უნდა იყოს მორვეი, მორვარი, რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. დ. დავითულიანი მიუთითებს, რომ ტერმინ „მორვეს“ უკვე XIV საუკუნიდან ეხვდებით და ამის საილუსტრაციოდ იმავე „ძეგლებიდან“ ერთი დოკუმენტის შინაარსი მოჰყავს.<sup>2</sup>

§2. სამედიატორო სასამართლოს არსი სვანეთში. მხარეთა დაყოლიება სამედიატორო სასამართლოს ჩატარებასა და მედიატოროთა არჩევაზე

მორვეთა სასამართლო ანუ სამედიატორო სასამართლო სვანეთში არ ყოფილა მუდმივმოქმედი ორგანო და მორვეებიც არ იყვნენ მუდმივად ან გარკვეული ვადით არჩეულები. მორვეთა არჩევა მოდავე მხარეების მიერ ხდებოდა მათი ნება-სურვილის შესაბამისად, ე.ი. მორვეთა სასამართლო ყოველი კონკრეტული დავის გადაწყვეტისათვის იქმნებოდა. როგორც აღვნიშნეთ, სამედიატორო სასამართლო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებდა და საქმის აღძვრა და განხილვა კერძო ბრალდების საფუძველზე ხორციელდებოდა. მედიატოროთა არჩევაც მხარეთა პრეროგატივა იყო და მათ ნება-სურვილზე გახლდათ დამოკიდებული. კონკრეტული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირების, შეწყვეტის შემდეგ, მედიატოროთა უფლებამოსილებაც წყდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ძალზე ზუსტია ბ. ნიჟარაძის დაკვირვება; იგი წერს: „... მორვეები არ იყვნენ არც მუდმივი, არც ვადით ამორჩეულნი ჩვენს ეხლანდელ სოფლის მოხელეებსავით. მსაჯულ-მედიატოროთა ამორჩევა სრულიად დამოკიდებული იყო მომჩივან-მოპასუხეთა არჩევანსა და ნებაყოფლობაზე; მაგალითად, ვთქვათ, მე შენ მაწყენინე, ან სხვა რამ უსამართლობა გამიწიე, მაშინ მე მაქვს ნება ამოვირჩიო მსაჯულ-მედიატორედ (მორავათ) ერთი ვინმე სანდო კაცი, ისეთი, რომელმაც ამ საქმის გარემოება დაწერილებით იცის. ესევე უფლება გაქვს შენც ჩემს მოპასუხეს. მეორედ რომ დამჭირდეს მართლმსაჯულებისადმი მიქცევა, მაშინ მინდა იმავე პირებს ამოვირჩევ, მინდა სხვებს...“<sup>3</sup>

<sup>1</sup> შ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 101-102.

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 109. დ. დავითულიანს სვანური მორვარი „ქართულ მოურაობადან“ გადაღებულად მაჩნია, მისი მითითებით გვიანყოფილურ საქართველოში სასამართლო ფუნქციას ზოგ შემთხვევაში მოურავი ასრულებდა. შ. კეკელია კი გამოთქვამს ვარაუდს, რომ სვანეთში „მოურაუნი“ სახელწოდება „ურვა“-სგან შეიძლება იწარმოებოდეს და „დაურვების“ (საურავის დაკისრების) ფუნქციის განხორციელების უფლებიდან გამომდინარეობდეს (შ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 102).

<sup>3</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

სანამ მედიატორებს აირჩევდნენ და სამედიატორო სასამართლო საქმის განხილვას დაიწყებდა, აუცილებელი იყო მხარეები დათანხმებულიყვნენ სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით შერიგებას. თუ რომელიმე მხარე წინააღმდეგი იქნებოდა, სამედიატორო სასამართლო არც შედგებოდა. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი დანიშნულება სწორედ მხარეთა შერიგებაა, ხოლო მის მიერ განაჩენის გამოტანა და დამნაშავე მხარისათვის კომპოზიციის დაკისრება დაპირისპირებული მხარეების მორიგების საწინდარია, რამაც უნდა დააკმაყოფილოს დაზარალებული მხარე და უარი ათქმევინოს მტრობაზე, შურისძიებაზე, ამასთან, დამნაშავე მხარეს ააცილოს დაზარალებულის საპასუხო მოქმედება.

მხარეთა დაყოლიებას შერიგებაზე სამედიატორო სასამართლოს მეშვეობითა და მისი განაჩენის საფუძველზე ახდენდნენ შუამავლები (სვანურად მათ ეთქვათ „მეკქულარ“), რომლებიც საზოგადოების ავტორიტეტული, გავლენიანი პირები უნდა ყოფილიყვნენ. ა. წულუკიანი აღნიშნავს, რომ ისინი მეტად დიპლომატიურად უდგებოდნენ მხარეებს, ერთმანეთის პოზიციას მათ შერბილებულად გადასცემდნენ და ამით ახერხებდნენ მხარეთა დათანხმებას მორევთა მეშვეობით შერიგებაზე.<sup>1</sup> ეს თანხმობა ნიშნავდა, რომ მხარეები მტრობას შერიგებას ამჯობინებდნენ და ამისათვის მზად იყვნენ შეესრულებინათ სამედიატორო სასამართლოს განაჩენი, რაც მათი შერიგების გარანტიას წარმოადგენდა.

ზმირად, ძალზე რთული იყო მხარეთა დაყოლიება შერიგებაზე, ძირითადად, მკვლევლობის დროს. თუ ორივე მხრიდან თანაბარი რაოდენობის მსხვერპლი იყო, მაშინ მხარეების შერიგება შედარებით ადვილად ხდებოდა. თუ სისხლი არ იყო აღებული, მაშინ დაზარალებულის დაყოლიება შერიგებაზე უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვდა და გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სვანეთში სისხლის აუღებლობა მთელი გვარის შეურაცხყოფად ითვლებოდა. სანამ სირცხვილს არ ჩამოირეცხავდნენ, მანამდე ვინმესთან ზმამალა დალაპარაკებასაც ერიდებოდნენ, რადგან თუ ვინმესთან წალაპარაკება მოუვიდოდათ, მაშინვე წამოაყვედრებდნენ: „შე სისხლის აუღებლის შვილო“. სისხლის აღების შემდეგ მთელი ნათესაობა ერთად იყრიდა თავს და ზეიმობდა.<sup>2</sup> ფაქტობრივად პირველ ხანებში შეუძლებელი იყო მოკლულის ჭირისუფალთან შერიგებაზე ლაპარაკი. დაზარალებულის ოჯახისათვის ეს დიდად საწ-

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

<sup>2</sup> გვ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 134-135

ყენ და შეურაცხყოფელ საქციელად ითვლებოდა. ამიტომ, როგორც ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, უფრო მიზანშეწონილი იყო ჯერ სხვადასხვა დიპლომატიური ხრიკებით „ახლად აღდებული სისხლის შენელება“ და შერიგებისათვის სათანადო ნიადაგის მომზადება. ამის შემდეგ, „მახეში“ (ძველ ღროში), მოგვიანებით იგივე მამასახლისი და ხშირად სვანეთის მმართველიც (ბოქაულიც) თავს უყრიდნენ მოციქულებს და მათთან ერთად მიდიოდნენ ჭირისუფალის ოჯახში მოსალაპარაკებლად (ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე გარიგების შესახებ). თავდაპირველად მათი მისვლა დაზარალებული მხარის გულისწყრომას იწვევდა (სისხლის აღების სურვილით შეპყრობილთა ასეთი რეაქცია სრულიად ბუნებრივი იყო). შესაძლოა, ორი-სამი მისვლითაც კი არაფერი გამოსულიყო. ბოლოს და ბოლოს, თუ მათ შერიგებაზე დაითანხმებდნენ, მაშინ ხდებოდა მედიატორთა არჩევაც.<sup>1</sup> არ იყო გამორიცხული, რომ ეს პროცესი რამდენიმე წელი გაგრძელებულიყო. ეგ. გაბლიანი მიუთითებს, რომ სვანეთში საქმე ბოლოს და ბოლოს ძალიან იშვიათად რჩებოდა გაურიგებელი“.<sup>2</sup> რ. ხარაძეც აღნიშნავს, რომ შეიძლება მოსისხლეები, თუ თავდაპირველად არა, რამდენიმე მკვლელობის შემდეგ მაინც შერიგებულებიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მტრობა და მკვლელობები მოსისხლე გვარებს შორის დიდი ხნის განმავლობაში არ წყდებოდა. ასეთ დროს, შესაძლოა, თემის ყრილობა ჩარეულიყო საქმეში, ზეგავლენა მოეხდინა მხარეებზე და დაეთანხმებინა ისინი შერიგებაზე. ამის გამო იყო სწორედ, რომ მხარეებს შორის გარიგების მიუღწევლობა იშვიათობას წარმოადგენდა.<sup>3</sup> ეგ. გაბლიანის მითითებით, თუ „მოციქულების“ მცდელობა შედეგს არ გამოიღებდა და მხარეებს ვერ დაითანხმებდნენ შერიგებაზე, მაშინ „მახეში“ მოიწვევდა თემის ყრილობას, „უზენაეს იურიდიულ ინსტანციას“ და მოახსენებდა საქმის არსს. ყრილობა, თავის მხრივ, წინადადებას აძლევდა ურჩებს დათანხმებულებიყვნენ შერიგებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში თემის რისხვითა და ჭირსა და ღზინში საზოგადოებიდან გარიყვით („განრისხვით“) ემუქრებოდნენ. ამას, ცხადია, შესაბამისი შედეგი მოჰყვებოდა და, როგორც ეგ. გაბლიანი ამტკიცებს, მთელს სვანეთში მას მხოლოდ ერთი შემთხვევა გაუგია, როდესაც საქმე გაურიგებელი დარჩენილა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 95.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 25-26.

<sup>4</sup> ეგ. გაბლიანი, იქვე, გვ. 95.

ამრიგად, სვანეთში საკმაოდ მრავალფეროვანი მექანიზმი არსებობდა მოსისხლე მხარეთა მედიატორების მეშვეობით შერიგებაზე დასაყოლიებლად შუამავლებით დაწყებული და თემის ყრილობით დამთავრებული.<sup>1</sup>

ეგ. გაბლიანი სამედიატორო სასამართლოს ახასიათებს კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებული პერიპეტეიების წარმოჩენით. მას ნიმუშად მოჰყავს XVIII საუკუნის ბოლოს ლატალის თემში მომხდარი მკვლელობა გირგვლიანებსა და ფარჯიანებს შორის.<sup>2</sup>

მათ შორის დავა დაიწყო მამულზე, რასაც მოჰყვა სწორედ მკვლელობათა მთელი ჯაჭვი. ამ გვარებს შორის მტრობა 120 წელი გაგრძელდა. სვანეთში ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული მათ შესარიგებლად, რადგანაც ეს მტრობა საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფდა და დიდი უბედურება მოჰქონდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის. მათი ურთიერთობა იმდენად დაძაბული გახლდათ, რომ შერიგების ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. 1908 წელს როდესაც ეგ. გაბლიანი ლატალის სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა (მას ხშირად შეურიგებია გადამტერებული მხარეები), მასთან მივიდა ლატალის მამასახლისი დავით წერედიანი და სთხოვა ინიციატივა გამოეჩინა ორი გვარის – გირგვლიანებისა და ფარჯიანების შესარიგებლად. ეგ. გაბლიანი წარმატების არავითარი იმედი არ ჰქონდა, მაგრამ უარის თქმა უხერხულად ჩათვალა და თანხმობა განაცხადა. მან შემოიკრიბა ლატალის თემის პატივსაცემი პირები და ისინი შეუდგნენ მოციქულობას.<sup>3</sup>

შემდეგ ეგ. გაბლიანი გადმოგვცემს, თუ რაოდენ დიდი ძალისხმევა დასჭირდა მოციქულებს, რათა სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით მხარეები გარიგებაზე დაეყოლიებინათ. ეგ. გაბლიანი მოგვითხრობს: „ორი კვირის მოციქულობას ბევრი არაფერი შედეგი მოჰყვა. მაგრამ ისიც დიდ მიღწევად მიგვაჩნდა, რომ სალაპარაკოდ გვლებულობდნენ და პასუხს გვაძლევდნენ. ამის შემდეგ ჩვენ წავედით თ. დადემქელიანთან, რომელსაც მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ორივე მხარესთან და მათზე გავლენითაც სარგებლობდა, და აგრეთვე მაშინდელ სვანეთის მმართველ მ. ასათიანთან, და ვთხოვეთ მათ დახმარება, თუმცაღა იმათც

<sup>1</sup> ჩენი აზრით, თემის ყრილობა მაშინ ჩაეროდა საქმეში, როდესაც მოსისხლე მხარეთა შორის ურთიერთობა ძალზე გამწვავებული იყო. ეთქვათ, არაერთი მკვლელობა იყო მომხდარი და მხარეები მრავალი წელი მტრობდნენ ერთმანეთს, რაც თემის ცხოვრებაზე გარკვეულწილად გავლენას მოახდენდა და მხარეთა უარი შერიგებაზე უკვე მთელი თემის პრობლემად იქცეოდა.

<sup>2</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 99-100.

შეუძლებლად მიაჩნდათ ეს საქმე, მაგრამ დახმარებაზე თანხმობა მანინც გამოგვიცხადეს. ამის შემდეგ ჩვენ ისევ მიეუბრუნდით ჩვენ მიერ დაწყებულ მუშაობას, და როცა საქმე იმ ზომამდე მივიყვანეთ, რომ გარიგებაზე თითქმის დავიყაბულეთ, ჩვენ მოვიწვიეთ ზემოთ ხსენებული პირები დასახმარებლად ლატალში. ხუთი დღის თავის ტეხის და სისხლის შრობის შემდეგ მხარეებმა მოგვცეს ხელწერილები გარიგებაზე<sup>1</sup>. ეს კონკრეტული შემთხვევა საინტერესოა იმიტაც, რომ, შესაძლოა, მხარეებს ხელწერილი დაეწერათ, რითაც ადასტურებდნენ სამედიცინო სასამართლოს მეშვეობით გარიგებაზე მზადყოფნას.

საერთოდ ცნობილია, რომ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განხორციელებული სამართალწარმოება ზეპირია, თუმცა განაჩენი შესაძლოა წერილობითაც გაფორმებულიყო. მ. კეკელიამ 1968-1979 წლებში ბალს ზემო სვანეთში საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს მოსახლეობაში მოიძია მორეების მიერ შედგენილი განჩინებები და სამართლებრივი ხასიათის სხვა დოკუმენტები, რომლის გარკვეული ნაწილი გამოსცა კიდეც<sup>2</sup>. იგი აღნიშნავს, რომ სვანეთში განაჩენს წინ უძღოდა მხარეთა წერილობითი თანხმობა, რომლითაც ვალდებულებას კისრულობენ უყოყმანოდ შეესრულებინათ ამორჩეულ მორევთა გამოტანილი განაჩენი<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, სწორედ ამ სახის დოკუმენტს გულისხმობს ეგ. გაბლიანი, როდესაც აღნიშნავს, რომ გირველიანებმა და ფარჯიანებმა დადეს ხელწერილები გარიგებაზე.

საინტერესოა, რომ მ. კეკელია აქვეყნებს განაჩენის შესრულების პირობას და შემდეგ განაჩენსაც, სწორედ ფარჯიანებისა და გირველიანების საქმეზე<sup>4</sup>. თუმცა ეს არის არა 1908 წელს დადებული პირობა, რომელზედაც ეგ. გაბლიანი საუბრობს, არამედ 1926 წლის 18 ივნისს<sup>5</sup> მოვიყვანთ ამ დოკუმენტს:

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

<sup>2</sup> იხ. კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 158-171, №2, გვ. 155-159.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

<sup>4</sup> მ. კეკელიას განმარტებით ორი საბუთი — განაჩენის ყაბულობის პირობა და თით განაჩენი, უმეტესად, ერთ ქალაქზე იწერება. ჯერ პირობაა, მერე კი განაჩენი გრძელდება. ცხადია, მხარეების შეთანხმება (პირობა) განაჩენის გამოტანამდე დგებოდა, ხოლო, როცა მორველი განაჩენს გამოიტანდა, ამ უკანასკნელს შემდეგ მიასწრდნენ.

<sup>5</sup> საქმე იმაშია, რომ 1908 წელს გირველიანებისა და ფარჯიანების გარიგების მოუხდავად, განჩინების აღსრულებისათვის გამოყოფილმა ექვსმა მედიატორმა ვერ მოაბა თავი საქმეს. გირველიანებსა და ფარჯიანებს შორის კვლავ მოხდა მკვლელობა და, როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით ახალი პირობის მიცემა დასჭირდათ. თით დოკუმენტსაც სათაურად აქვს „ახალი პირობა“. რაც იმაზე მოუთხოვს, რომ წინადაც უნდა ყოფილიყო დადებული ასეთი პირობა.



„ახალი პირობა.

1926 წ. ივნისის 18. ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერნი, ლატალის თემის მცხ. პირველის მხრით, ნუა, ნესტორ, აბი და ესაე ფ-ბი და მეორეს მხრით, ნიკო, დავით, ალექსანდრე, ალექსი, გიერგ და გიორგი გი-ბი, ვსდებთ ამა პირობის ხელწერილს, რომ ჩვენ შორის არის უკმაყოფილება მკვლევლობის შესახებ და ჩვენ შორის მოსაგვარებლად, ე.ი. ფ-დან აქვს გი-ბს რაოდენიმე მოძრავი ქონება, ნემსისოდენა უნდა დაუბრუნდეს ფ-ბს გი-საგან და ამ საქმის მოსაგვარებლად, ავირჩიეთ მედიატორებად: 1. ბასლი ჩაშგელიანი, 2. ჭყუინტილი ასუმბანი, 3. ილარიონ ფირცხელიანი, 4. ნესტორ ბექაისძე კვანჭიანი, 5. დავით გიერგის ძე კვანჭიანი, 6. ნესტორ აბდელანი, 7. დავით ფარჯიანი, 8. ესაე ივეჩიანი, 9. თავმჯდომარე მედიატორეთა, სარდიონ კვანჭიანი, რომელთა განდობთ თქვენ, ჩვენ ორივე მხარენი, ამ ჩვენი საქმის გარჩევას და რასაც თქვენ გადასწყვეტთ, მას უნდა დავეთანხმოთ ორივე მხარენი დაბოლოებითად. წინააღმდე(გ) შემთხვევაში უთანხმო მხარეს გადახდეს, მართლის მხრის სასარგებლოდ ჯარიმა 300 მანეთი. რასა შინა ხელს ვაწერთ, პირველი მხარენი: ნუა ფარჯიანი, აბი ფარჯიანი, რადგან მათ წერა არ იციან, მათ მაგიერ და ჩემის მხრითაც ხელს ვაწერაე ფარჯიანი და აგრეთვე საკუთარ ხელს ვაწერ ნესტორ ფარჯიანი. აგრეთვე ხელს ვაწერთ ნიკო, დავით, ალექსანდრე, გიერგ, გიორგი გვირგვლიანები. უწერილობის გამო მათისა მაგიერ და ჩემის მხრითაც ხელ ვაწერ“. ამ პირობას მოსდევს განჩინება (განაჩენი), რომელიც მედიატორებმა გამოიტანეს 1926 წლის 20 ივნისს. განჩინებაში მედიატორებმა განსაზღვრეს მისი აღსრულების ვადაც. დამნაშავეს ქონებრივი საზღაური უნდა გადაეხადა ოცდაშვიდ ივნისამდე. დოკუმენტის ბოლოს მიწერილია, რომ 1926 წლის 27 ივნისს მედიატორებმა განაჩენი სისრულეში მოიყვანეს<sup>1</sup>.

მოვიყვანთ ასეთივე მეორე დოკუმენტსაც:

პირობა

„ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი ლატალის საზოგადოების მცხოვრებნი პირველი მხრით: ესაე მამუზას ძე ივეჩიანი, მეორე მხრით, გიორგი ბიტის ძე სიდიანი, მესამე მხრით, კოსდა დოქასძე ხვინთულიანი, მას

<sup>1</sup> კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 169-170. ეს დოკუმენტი მ. კეკელიამ თავის მონოგრაფიაში გამოაქვეყნა ოდნავ შემოკლებული სახით: იხ. მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 120-122.

შინა რომელთ კქონდათ ურთიერთ შორის უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილების გასარჩევად აღვირჩიეთ მედიატორებად სამი კაცი: 1. მელიტონ გვირანი, 2. ესაკ ივერანი და მესამე თავმჯდომარედ ივანე გვირანი.

ჩვენ ყველა მხარენი, სრულით თანხმობას გაძლევთ, ჩვენდამი აღმორჩეულთ მედიატორებს და რასაც გარდასწყვეტთ სინდის და ფიცს ქვეშ, ჩვენ უნდა დაეთანხმით თქვენ გადაწყვეტილებას და თუ რომელიმე მხარემ შეეშალეთ, იმ შემთხვევაში შემშლელ(ს) გადაგვხდეს ჯარიმა მართლის სასარგებლოდ ერთი საუკეთესო ხარი, რასა წინა ხელს ვაწერთ სამივე მხარენი<sup>1</sup>. პირობას შემდეგ მოსდევს განჩინება<sup>1</sup>.

კიდევ ერთი მოღავე მხარეთა მიერ გაცემული პირობის ხელწერილი, რომ ისინი თანახმანი იქნებიან მათ მიერ ამორჩეულ მედიატორთა მიერ გამოტანილი განაჩენის: „1905 წლის ნოემბრის 22 დღესა, ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერნი, მცხოვრებნი ლატალიის საზოგადოებისა, პირველი მხარენი ბექუზ ბუბასძე გირგვლიანი და მისი შვილი სოსლან გირგვლიანი, მეორე მხარენი ომარ მურზასძე გირგვლიანი და თოსუ მურზასძე გირგვლიანი, გაძლევთ ამ პირობით ხელწერილს თქვენ ჩვენდამი ამორჩეულ მედიატორებს: 1. ჯუბ ბექმურაზის ძე გირგვლიანს, 2. გიერგო ტოზასძე ფირცხელიანს, 3. ბიტი ფექურზას ძე ფარჯიანს, 4. ფაჩი გაგუსძე ფარჯიანს, 5. მაიტუ ჯევახას ძე გირგვლიანს, მასშინა, რომ ჩვენ ზემოხსენებული ორ მხარეს მოგვივიდა ერთმანეთშიდ უკმაყოფილება, და ამისი მედიატორებად და მომრიგებლად გირჩევთ თქვენ და თქვენს გადაწყვეტილებაზედ სრული კმაყოფილი ვიყავით და თუ რომელიმე მხარემ ეს თქვენი პირობა დავარღვიოთ, იმ შემთხვევაშიდ: დამნაშავე (დამრღვევმა) მხარემ გარდავიხადოთ მართლის მხარის სასარგებლოდ ჯარიმა ვორასი (200 რურ.) ყოფლის მიზეზის გარეშე, რაშინა ხელს ვაწერთ“<sup>2</sup>.

მ. კეკელიას მიერ მოძიებული დოკუმენტები თვალნათლივ ცხადყოფენ, რომ, როდესაც მოციქულები დაითანხმებენ მხარეებს სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით გარიგებაზე, მხარეების მიერ შესაბამისი ხელწერილის დადება ჩვეულებრივი მოვლენაა. გარიგების შესახებ ხელწერილით მხარეები დებენ პირობას, რომ ყოველ მიზეზ გარეშე დაემორჩილებიან მათ მიერ არჩეული მედიატორების განჩინებას. მხარეები ამ პირობას სწორედ მედიატორებს აძლევენ, რომლებიც ამ პირობის

<sup>1</sup> კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, გვ. 167-168.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 163-164.

მიცემისა და ხელწერილის დადების მომენტი სათვის მხარეების მიერ უკვე არჩეულნი არიან (დოკუმენტებში მოცემულია მედიატორთა სრული ჩამონათვალი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მხარეთა მიერ მედიატორთა განაჩენის აღსრულების პირობის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად გვევლინება პირგასამტეხლო. ჩვენ ხელთ არსებულ ყველა ანალოგიურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ის მხარე, რომელიც დაარღვევს აღნიშნულ პირობას – არ შეასრულებს მედიატორთა განაჩენს – უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო (როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ერთ შემთხვევაში ეს არის 300 მანეთი, მეორე შემთხვევაში – 200 მანეთი, მესამე შემთხვევაში – ერთი კარგი ხარი).

ამრიგად, დაპირისპირებულ მხარეთა თანხმობა გარიგებაზე შესაძლებელია განმტკიცებულ იქნეს მხარეთა მიერ დადებული ხელწერილით, რომელიც თავისი არსით მხარეთა მიერ მედიატორთა განაჩენის უცილობელი აღსრულების პირობაა, რისი გარანტიც, თავის მხრივ, მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პირგასამტეხლო ჯარიმაა, რომელსაც პირობის დამრღვევი გადაუხდის მეორე მხარეს. ასეთი ხელწერილის დადება და მედიატორთა არჩევა, რომლებიც სახელდებით არიან მოხსენებულნი აღნიშნულ ხელწერილში, ადასტურებს მხარეთა სურვილს, შერიგდნენ სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების შემთხვევაში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მოციქულებმა შეასრულეს თავისი მისია და მათი მოღვაწეობა დაპირისპირებული მხარეების შერიგების მიზნით წარმატებული აღმოჩნდა.

### §3. მორევის დამახასიათებელი თვისებები, მისი არჩევა და მედიატორად ყოფნაზე დაყოლიება

მხარეებს გარიგებაზე დათანხმების შემდეგ პიროვნულად უნდა დაესახელებინათ თავიანთი რჩეული მოსამართლეები. მედიატორებს თავდაპირველად დაზარალებული ასახელებდა (მკვლევლობის საქმეზე ჭირისუფალი). შემდეგ მოციქულები მიდიოდნენ მოპასუხესთან და გააცნობდნენ მედიატორად არჩეული პირების ვინაობას. მოპასუხის ოჯახის წევრები დაეკითხებოდნენ ერთმანეთს და თვითონაც ირჩევდნენ მედიატორებს. მოციქულები ისევ ბრუნდებოდნენ დაზარალებულის ოჯახში და მათაც მოახსენებდნენ მოპასუხის მიერ არჩეულ მედიატორებს<sup>1</sup>. აშკარაა, რომ

<sup>1</sup> ვე. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ 95-96.

მხარეები მოციქულების მეშვეობით უთანხმებდნენ ერთმანეთს მედიატორთა ვინაობას. ორივე მხარე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო ერთმანეთის მიერ არჩეული მედიატორების მიუკერძოებლობაში. თუ მოპირისპირე მხარის არჩეულ მედიატორთაგან რომელიმე ამა თუ იმ მხარის მტერი აღმოჩნდებოდა, მას აცილებას მისცემდნენ. ამ შემთხვევაში აცილებულის (თუ აცილებულთა) ნაცვლად, შესაძლოა, სხვა დაესახელებინათ მედიატორად და მოციქულები მის კანდიდატურასაც შეუთანხმებდნენ მეორე მხარეს და ა.შ. თუ მხარეები მაინც ვერ შეძლებდნენ შეთანხმებას, მაშინ მედიატორთა არჩევას მოციქულებს გადააბარებდნენ. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მხარეები დააფიცებდნენ მოციქულებს, რათა მათ მიუკერძოებელი, ნეიტრალური და საქმის მცოდნე პირები აერჩიათ მედიატორებად<sup>1</sup>.

თეორიულად მედიატორობის უფლება ყველას ჰქონდა. მხარეებს შეეძლოთ ნებისმიერი სრულწლოვანი მამაკაცი აერჩიათ მორევად. მაგრამ, ბუნებრივია, ისინი მორევად მხოლოდ სათანადო თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანს აძლევდნენ უპირატესობას. საერთოდ, მორევად სვანეთში გვევლინებიან ავტორიტეტული, სანდო, სამართლიანი, პატიოსანი ხალხი. სვანების აზრით, მორევი უნდა ყოფილიყო ჭკვიანი, მცოდნე, დაკვირვებული, მორწმუნე, ღვთისმომშიში პიროვნება. მორევად ასეთი პირების ყოფნა, რა თქმა უნდა, მათი მიუკერძოებლობის, ობიექტური განაჩენის გამოტანის ძირითადი გარანტია იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მედიატორებს ფიცი უნდა დაედოთ მათი მიუკერძოებლობის დასადასტურებლად, ღვთისმომშიშობა, მორწმუნეობა ეს ის თვისებები იყო, რომლის გარეშეც პიროვნებას მედიატორად არავინ აირჩევდა. ბ. ნიჟარაძის თქმით, „მორევებს“ ხალხი ისე მოწიწებით უყურებდა, როგორც საღმრთო პირებს. სვანები იტყვოდნენ: „მორვარ ღერმეთი ნაწასვ ლოხ“ — მორვები ღვთისაგან გაჩენილნი არიანო. ასეთი ნდობით აღჭურვილი მორვებისაგან ყოველად შეუძლებელი იყო

---

<sup>1</sup> საერთოდ, მედიატორები არ უნდა ყოფილიყვნენ მხარეების არც მტრები და არც მოყვარეები, რაც უზრუნველყოფდა მათ ობიექტურობას. მაგრამ, თუ რაღაც გარემოებათა გამო ეს შეუძლებელი იყო, მაშინ ასეთი მედიატორების (ვთქვათ, მხარეთა მოყვარების) რიცხვი ორივე მხრიდან თანაბარი უნდა ყოფილიყო, რათა მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი დაკუთვნილიყო (ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96). ამ პრინციპის გამოვლინებას ბ. ნიჟარაძის მსჯელობაშიც ვხვდებით: „ერთი პირობა უთუოდ უნდა დაკული ყოფილიყო „მორვების“ ამორჩევის დროს. მოწიფან-მოპასუხეს ან ორთავეს თვითნებურად ნათესავები უნდა აერჩიათ, ან ორთავეს გარეშე პირნი, რათა სამართალი უფრო მიუღვამელი ყოფილიყო“ (ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94).

საქმისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება<sup>1</sup>. ხალხი განსაკუთრებული პატივისცემითა და ნდობით ეპყრობოდა მედიატორებს და ჩვეულებაც მოითხოვდა მათგან თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებას. მორევებიც არ აწბილებდნენ ხალხს, ამიტომ მათ პირუთენელობაში ეჭვის შეტანაც კი გამორიცხული იყო<sup>2</sup>. კონკრეტული პიროვნება თანდათანობით ყალიბდება ცნობილ და ავტორიტეტულ მორევად და მას უკვე ხშირად ირჩევენ სხვადასხვა საქმეებზე მსაჯულად<sup>3</sup>.

ხევესურეთის მსგავსად, სვანეთშიც შესაძლოა მედიატორად შუამავალიც აერჩიათ, თუმცა ყოველთვის ასე არ ხდებოდა და სხვა შემთხვევებში მოციქულები მხარეთა შერიგებაზე დაყოლიების შემდეგ ეთიშებოდნენ პროცესს.<sup>4</sup>

სვანეთში მრავლად იყვნენ მორეარობით ცნობილი ხალხი, რომელთაც ხშირად ირჩევენ სხვადასხვა საქმის გადასაწყვეტად არა მარტო საკუთარ თემში, არამედ სხვა თემებშიც. ბაღს ზემო სვანეთში ცნობილ მორევთ რთული, სასისხლო საქმეები საბატონო და აფხაზეთის სვანეთშიც კი მოუგვარებიათ.<sup>5</sup>

მაგრამ აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ სვანები მაინც ერიდებოდნენ მედიატორობას, მიუხედავად იმისა, რომ მედიატორები, მორევები სვანეთში უდიდესი ავტორიტეტით, პატივისცემით სარგებლობდნენ და მათ მართლაც კეთილშობილური მისია — მოდავე მხარეთა (ხშირად მოსისხლეთა) შერიგება ეკისრებოდათ. მედიატორებს სვანეთში ფიცი უნდა დაედოთ, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. აქედან

<sup>1</sup> ბ. ნიყარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

<sup>2</sup> რ. ერისთავი, დასახ. ნაშრ. გვ. 9.

<sup>3</sup> ბ. კეკელიას ერთერთი ინფორმატორი ასე აღწერს ამ პროცესს: „არცა პირველად დავასახელებენ მორევად და ნახავენ, რომ გამართლეთ, ეცადეთ, კეთილსინდისიერად გაგერჩიათ საქმე, შემდეგ სხვა საქმის გასარჩევად მოგიწვევენ და ასე და ამგვარად, თანდათანობით, ხლები ავტორიტეტული მორევი, ვიდრე მიკერძობისა თუ სხვა რამ უღირსი მოქმედების გამო არ დაკარგავთ მას“ (ბ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 108).

<sup>4</sup> იხ. ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

<sup>5</sup> ბ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 109. ბ. კეკელია აღნიშნავს, რომ სვანეთის სხვადასხვა საზოგადოებაში შეიძინევა ზოგიერთი განსხვავებანი ჩვეულებითი სამართლით დაეის გადაწყვეტის წესებში, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გარკვეულწილად განსხვავებული იყო „წორის“ (გადასახდელი თანხის) ოდენობა. ზოგიერთი საზოგადოებები საქმის გარჩევის წესებითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს განსხვავება არა იხეთ, რომ ერთი თემის კაცს არ შეეძლოს მორევი იყოს მეორე თემში. სხვა საზოგადოების მორევი ამ უმნიშვნელოდ განსხვავებულ წესებში, ადგილობრივ მედიატორებთან ერთად და მათი დახმარებით მალე და სხვებისგან შეუძნეულად ერკვევა (ბ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 109).

გამომდინარე, წარმოუდგენელი იყო მორევის ტენდენციურობა. სვანებს ტყუილად დაფიცების უდიდესი რიდი და შიში აქვთ. მათი რწმენით, ტყუილად დაფიცება ღვთის რისხვას მოუვლენდა არა მარტო მათ, არამედ მთელ ოჯახსა და მათ შთამომავლობასაც კი. მაგრამ უსამართლო (არასწორი) გადაწყვეტილებისაგან (თუნდაც მისგან უნებური) არავენ იყო დაზღვეული და, როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, ეს სვანებსაც აწუხებდათ: „ვაი, თუ ჩვენის მიუმხდარობით სამართალს გადავუღექით და ფიცია შევბღალეთ“. ამიტომ მორევი ძნელი „საშოვნელი“ იყვნენ. თუ ვინმე წინასწარ გაიგებდა, რომ მისი არჩევა უნდოდათ მორევიად, იგი ცდილობდა მორიდებოდა, თავი დაეღწია ამ საქმიანობისაგან. ამ დაბრკოლების ასაცილებლად სვანები ერთ ზერხს იყენებდნენ: იშოვიდნენ რაიმე საეკლესიო ნივთს, თუნდაც ეკლესიის კლიტეს, შევიდოდნენ იმ სახლში, სადაც მორევიად ასარჩევი პირი ეგულებოდათ და ცდილობდნენ როგორმე ხელი მოეკიდებინათ ამ ნივთისათვის, რის შემდეგაც მედიატორობაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო, რადგანაც ამით სვანი ღვთის რისხვას გამოიწვევდა<sup>1</sup>.

#### § 4. მედიატორობა რაოდენობა. „მუწვი“ ანუ „ნეგსაჩუ მეგენ“

სხვადასხვა მონაცემები (სხვადასხვა დროის) ცხადყოფენ, რომ სვანური ჩვეულებითი სამართლით არ იყო ზუსტად განსაზღვრული, თუ რამდენ მედიატორს უნდა განეხილა ესა თუ ის საქმე. მ. კეკელია ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ სვანეთში არ არსებობდა კატეგორიულად განსაზღვრული წესი, თუ ესა თუ ის საქმე რამდენ მორევალს უნდა გაერჩია<sup>2</sup>. სვანური ჩვეულებითი სამართალი ზოგადად აწესრიგებს ამ საკითხს. მასალებიდან ირკვევა, რომ ყველაზე ნაკლები რაოდენობა მედიატორებისა, რაც შეიძლება დაესახელებინათ მხარეებს, იყო ორი (თითო-თითო ორივე მხრიდან), ხოლო მაქსიმალური კი — 24 (ეს მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი ჩვეულებითი სამართლით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული). მაგალითად, დ. დავითულიანი მიუთითებს, რომ მორევის რაოდენობა გასარჩევი საქმის სირთულის მიხედვით იცვლება და ეს რაოდენობა მერყეობს 2-დან 24-მდე<sup>3</sup>. ბ. ნიჟარაძეც

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94-95.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 110-111.

<sup>3</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

აღნიშნავს, რომ მორევების რაოდენობა არ შეიძლება ორზე ნაკლები ყოფილიყო და თორმეტს იშვიათად აღემატებოდა, ისიც რაიმე ძალზედ მნიშვნელოვან საქმეზე<sup>1</sup>. იგივეს აღნიშნავს ა. წულუკიანიც და მიუთითებს, რომ მნიშვნელოვან საქმეზე მორევართა რიცხვი შეიძლება ოცამდე და მეტადაც გაზრდილიყო<sup>2</sup>. ეგ. გაბლიანი მკვლელობის საქმეზე ასახელებს 24 მორევალს<sup>3</sup>. მკვლელობის საქმეზე 24 მორევალის მონაწილეობას რ. ხარაძეც ადასტურებს<sup>4</sup>. მაგრამ 2-დან 24-მდე არცთუ მცირე შუალედია, და ამ შუალედის ფარგლებში მხარეები რა რაოდენობის მორევს აირჩევდნენ, გარკვეული ფაქტორებით იყო განსაზღვრული. ზოგადად, მორევთა რაოდენობას საქმის ხასიათი, მისი სიმძიმე და მნიშვნელობა განაპირობებდა. რაც უფრო მძიმე და მნიშვნელოვანი იყო გასარჩევი საქმე, მორევთა რაოდენობა მით მეტი უნდა ყოფილიყო. ნაკლებმნიშვნელოვან საქმეებზე მორევთა რაოდენობაც ნაკლებია, ხოლო უფრო მსუბუქ საქმეებზე (სამართალდარღვევებზე) კიდევ უფრო ნაკლები. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ეგ. გაბლიანის ინფორმაცია. მისი განმარტებით, უბრალო სამოქალაქო საქმეებზე მორევთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 3-5, უფრო სერიოზულ საქმეებზე, მაგალითად „ცვარობ“ – ქალის მიერ ქმრის მიტოვება, ან ქმრის მიერ ცოლის მიტოვება, „ქაჩობ“ – კაცის მძიმე დაჭრა, „ქორა კვაშა“ – სახლის გატეხვა და სხვა, 5-7, მკვლელობაზე – 12-24<sup>5</sup>. ა. წულუკიანიც სამართლიანად უკავშირებს გასარჩევი საქმის სიმძიმეს, მნიშვნელობასა და შინაარსს მორევთა რაოდენობას. მისი თქმით, მკვლელობის ან სხვა მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევის დროს მხარეები ირჩევდნენ თითოეულისაგან ექვს-ექვს მსაჯულ-მედიატორს, ხოლო სხვა დანაშაულებებზე, როგორცაა, დაჭრა, სხვისი დანიშნულის ან ცოლის წაგვრა, დასახიჩრება – სამ-სამ კაცს თითოეული მხრიდან; ქურდობის, ცილისწამების, შეურაცხყოფისა და სხვა დანაშაულთა გასარჩევად ირჩეოდა ორ-ორი კაცი<sup>6</sup>. ეს პრინციპი, რომ მედიატორთა რაოდენობა გასარჩევი საქმის ხასიათსა და სიმძიმეზეა დამოკიდებული, დამახასიათებელია

<sup>1</sup> ბნიფარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

<sup>2</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

<sup>3</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>4</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

<sup>5</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

<sup>6</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის საერთოდ, კერძოდ, ხევესურეთისთვისაც, მაგრამ, როგორც ამ საკითხის განხილვის დაწყებისას აღვნიშნეთ, ერთი ხასიათის საქმეებზეც მორევთა განსხვავებულ რაოდენობას ვხვდებით და ზუსტად არ არის დადგენილი, თუ რომელ საქმეზე რამდენი მორევი უნდა ყოფილიყო. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ მკვლელობის საქმეს ზოგ შემთხვევაში 24 კაცი არჩევდა, ზოგჯერ — 12. ასევე მძიმე დაჭრის დროს ხან 6 მორევი იკრიბებოდა, ხან — 10<sup>1</sup>. ეგ. გაბლიანის მონაცემებით ერთი ხასიათის საქმეებზე მორევთა რაოდენობა შეიძლება იყოს, მაგალითად, 3-დან 5-მდე, ან 5-დან 7-მდე. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უფრო მძიმე, მნიშვნელოვან საქმეებზე მორევთა რაოდენობა გაცილებით მეტია, მაგრამ კონკრეტული ხასიათის საქმეზე მორევთა ფიქსირებული რაოდენობა დაწესებული არ არის და მხარეთა შეთანხმებით დგინდება. თუმცა მხარეები, ცხადია, გასარჩევი საქმის ხასიათსა და მნიშვნელობას ითვალისწინებდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ უფრო მძიმე საქმე მორევთა მეტ რაოდენობას უნდა გაერჩია. ამას დადგენილი წესიც ითვალისწინებდა. ცხადია, მკვლელობის ან მძიმე დაჭრის საქმეზე მხარეები ორ-სამ მორევს არ დაასახელებდნენ, მათ იცოდნენ, რომ რთულ საქმეებზე მორევთა უფრო დიდი რაოდენობა უნდა დაესახელებინათ, უფრო მსუბუქ საქმეზე — შედარებით ნაკლები. ეს ზოგადად, ხოლო მორევთა კონკრეტული რაოდენობის განსაზღვრა მხარეებზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, უნდა დავეთანხმეთ მ. კეკელიას, რომ სვენიეთში მორევთა რაოდენობას განაპირობებდა კონკრეტული გარემოება, როგორც საქმის ხასიათი, ისე მხარეთა მოთხოვნა<sup>2</sup>.

ჩვენი ამ მსჯელობის დასასრულს, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მორევთა რაოდენობა განაპირობებულია გასარჩევი საქმის ხასიათით, სიმძიმით, სირთულით, მნიშვნელობით, ხოლო ცალკეულ საქმეზე მორევთა კონკრეტული რაოდენობა, ბუნებრივია, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დგინდება მხარეთა მიერ, ე.ი. მხარეები მედიატორთა რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებდნენ ჩვეულებითი სამართლით დადგენილ ზოგად წესებს. მკვლელობის საქმეზე მედიატორთა ყველაზე მეტ რაოდენობას ირჩევდნენ. მორევთა მაქსიმალურ რიცხვს, კერძოდ

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

<sup>2</sup> იქვე.



კი, 24-ს მხოლოდ მკვლელობის საქმეზე ვხვდებით. ამ რაოდენობის მორვალს, ძირითადად, გართულებულ შემთხვევებში ასახელებდნენ. როგორც ბ. ნიჟარაძე და ა. წულუკიანი აღნიშნავენ, თორმეტზე მეტი მორვეი მხოლოდ დიდი მნიშვნელობის საქმეებზე უნდა არჩეულიყო. დ. დავითულიანის განმარტებით კი, 24 კაცისაგან შემდგარი მორვების სასამართლო ირჩეოდა, მხოლოდ გახმაურებულ, მძიმე შურისძიებაზე, რომელმაც გვარებს შორის მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ასევე „ვარგის“ (აზნაურის) მკვლელობისას<sup>1</sup>. მისივე განმარტებით, ყველა სხვა მძიმე საქმეებსა და მათ შორის მკვლელობასაც, არა უმეტეს 12 კაცისაგან შემდგარი სასამართლო არჩეულა<sup>2</sup>.

ჩვეულებრივ, როგორც მასალები ცხადყოფს, მკვლელობის საქმეს 12 მორვეი არჩეულა. ამას ადასტურებს მ. კეკელიას ინფორმატორი<sup>3</sup>, ა. წულუკიანი.<sup>4</sup> დ. დავითულიანის მოყვანილ ერთ-ერთ კონკრეტულ მაგალითში ჩანს, რომ მხარეებმა მედიატორებად აირჩიეს 12 კაცი (ორივე მხარემ ექვს-ექვსი კაცი).<sup>5</sup> მკვლელობის საქმეზე შესაძლოა მორვეთა ნაკლები რაოდენობაც არჩეულიყო. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთი დოკუმენტიდან აშკარაა, რომ მკვლელობის საქმეზე მხარეებმა აირჩიეს 8 მედიატორი, დ. დავითულიანიც აცხადებს, რომ მკვლელობის საქმეზე შესაძლოა 12-ზე ნაკლები მედიატორიც ყოფილიყო<sup>6</sup>.

---

<sup>1</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 140. აღსანიშნავია, რომ ვირგელიანებისა და ფარჯანების გახმაურებულ საქმეს 24 მორვეი არჩეულა, იგივეს დ. დავითულიანის მიერ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითში ვხვდებით. მისი ერთ-ერთი მთხრობელი ბიქტორ ჯაფარიძე (ჩაწერილია 1967 წელს, მთხრობლის ასაკი ამ დროისათვის იყო 86 წელი) ყვება, რომ სოფელ ლენჯერში მცხოვრებმა ვაგო გულელანმა მოკლა მათი ჯაფარიძე მთაში სასოფლო საძოვრების თაობაზე დავის გამო. ამ საქმეზე აირჩიეს 24 კაცი მედიატორი (დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 140).

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. III.

<sup>4</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>5</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

<sup>6</sup> ერთგვაროვან საქმეებზე (როგორც მკვლელობისას, ისე სხვა შემთხვევებში) მედიატორთა განსხვავებული რაოდენობის მიზეზი იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ სენაეთის (კერძოდ კი, ბაღს ზემო სენაეთის) სხვადასხვა საზოგადოებებში მედიატორთა განსხვავებულ რაოდენობას ირჩევდნენ. მ. კეკელიას დაკვირვებით, აშკარად იგრძნობა, რომ მულახს ზემო საზოგადოებებში (უღვირის უღვირისკვლეობის იქით), ყველა შემთხვევაში, და მათ შორის მკვლელობის დროსაც, შედარებით გადასის კერძო საზოგადოებებთან (მთი უფრო, მესტიამი, ლენჯერსა და ლატალში) საქმის გამჩრეე მორვეთა რაოდენობა ნაკლებია. მისი განმარტებით, სხვადასხვა საზოგადოებებში მორვეთა ასე განსხვავებული რაოდენობის თავშეყრა, შეიძლება საუფქლად დასდებოდა მკვლევართა მიერ, ამა თუ იმ ხასიათის საქმეზე მათი რაოდენობის სხვადასხვანაირად განაზღვრას. მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. III.

სვანეთის შესახებ ეთნოგრაფიული მასალიდან ცხადი ხდება, რომ, როგორც წესი, მოწინააღმდეგე მხარეები თანაბარი რაოდენობის მედიატორებს ირჩევდნენ (თითო-თითოს, ორ-ორს, სამ-სამს, ოთხ-ოთხს, ექვს-ექვსს, ორმეტ-ორმეტს). ძველად ეს პრინციპი მტკიცედ იყო დაცული, თუმცა დრომ ამ წესში კორექტივები შეიტანა. ძირითადად პრინციპი იგივე რჩება, მაგრამ მ. კეკელია ბალს ზემო სვანეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით აფიქსირებს შემთხვევებს, როდესაც კონკრეტულ საქმეებზე (მხედველობაშია ჩვეულებრივი, არაკვალიფიციური მკვლელობის საქმეები) მხარეები არათანაბარი რაოდენობის მედიატორებს ირჩევენ და, როგორც წესი, უპირატესობა დაზარალებულის მხარესაა – იგი მეტ მორევს ირჩევდა, მაგალითად, 12 მორევიდან თუ 9 დაზარალებულისაა, 3 დამნაშავეს იქნება, თუ 7 დაზარალებულისაა, 5 დამნაშავეს იქნება და ა.შ.<sup>1</sup> ა. წულუკიანიც მიუთითებს, რომ, შესაძლოა, დაზარალებულს მორევთა შორის ჰყავდეს ორი ან სამი კაცი თუ მეტი, რაც, მისი აზრით, გაუმართლებელია.<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით, ყველაზე უფრო გამორჩეულად კალის საზოგადოება შეიძლება ჩაითვალოს. მ. კეკელიას განმარტებით, სამი ათეული წლის წინათ აქ დანერგილი წესის მიხედვით, მორევთა მთელ შემადგენლობას დაზარალებული ასახელებდა, ხოლო უკლებლივ ყველას დამნაშავე „შოულობდა“. ეს მაშინ, როცა სხვა საზოგადოებებში, ძირითადად, მორევთა საერთო შემადგენლობიდან ნახევარ-ნახევარს ასახელებდა თითოეული მხარე, ხოლო ის, რომ შეიმჩნევა მორევთა სხვა პრინციპით დასახელებაც (მხედველობაშია არათანაბარი რაოდენობით), ამას დაზარალებულის კაპრიზები განაპირობებდა.<sup>3</sup>

ამრიგად, ჩვენი აზრით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში დადგენილი ზოგადი წესის მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარეები თანაბარი რაოდენობის მედიატორებს ირჩევდნენ, რაც საქმის ობიექტური განხილვის საფუძველად უნდა ყოფილიყო მოაზრებული. ამ პრინციპს ძველად არაფერ არღვევდა, შემდგომ პერიოდშიც, ძირითადად, მედიატორთა შემადგენლობას თანაბრად აყალიბებდა ორივე მხარე (როგორც მ. კეკელიას მასალებიდან ირკვევა, ერთგვარ გამონაკლისს აქ წარმოადგენდა კალის საზოგადოება, სადაც ბოლო ათწლეულებში დამკვიდრდა მორევთა დაკომპლექტების თავისებური

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>2</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

და ბაღს ზემო სვანეთის სხვა საზოგადოებებისაგან განსხვავებული წესი). თუმცა მასალების მიხედვით, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში უკვე ხდებოდა ისე, რომ ბაღს ზემო სვანეთში დაზარალებული მეტ მორვალს ირჩევდა. მ. კეკელია, ორივე მხარის მიერ მორევთა თანაბრად არჩევის პრინციპის დარღვევას დაზარალებულის კაპრიზებს უკავშირებს. რა უნდა, იგულისხმებოდეს ამაში? ჩვენი მოსაზრება ასეთია: მორევთა არათანაბარი რაოდენობის დასახელება, მ. კეკელიას მიხედვით, მკვლევლობის (მხედველობაშია ჩვეულებრივი, არაკვალიფიციური მკვლევობა) საქმეზე ხდებოდა. მკვლევლობის შემთხვევაში კი უადრესად რთულია დაზარალებული მხარის დაყოლიება სამედიატორო სასამართლოს არჩევასა და მისი მეშვეობით შერიგებაზე (სისხლის აუღებლობა ზომ სირცხვილად ითვლებოდა). აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ დაზარალებული მისი მხრიდან მეტი მედიატორის არჩევის პირობით დათანხმდებოდა სამედიატორო სასამართლოს ჩატარებას და მის მიერ გამოტანილ განაჩენს, სისხლის აღების სანაცვლოდ.

საინტერესოა, თუ რამდენად დაირღვეოდა საქმის განხილვის ობიექტურობის პრინციპი მხარეთა მიერ არათანაბარი მორვალის არჩევის შემთხვევაში? ა. წულუკიანი ამას გაუმართლებლად მიიჩნევს და საქმის ობიექტური განხილვისათვის ხელისშემშლელ უპირველეს ფაქტორად თვლის.<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, სვანეთში სამედიატორო სასამართლოს ჩატარების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, დაზარალებულის მიერ მეტი მორვეის არჩევას განსაკუთრებული საფრთხე არ უნდა შეექმნა საქმის ობიექტური განხილვისათვის. ჯერ ერთი, რთულ და სერიოზულ საქმეზე (ასეთი საქმე კი, უპირველეს ყოვლისა, მკვლევლობის საქმეა) განაჩენის დადგენისას მორევთა საერთო თანხმობა იყო საჭირო და ამ თვალსაზრისითაც არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა, თუ რომელი მხრიდან რამდენი მორვეი იქნებოდა არჩეული. მეორე, მედიატორები ყოველთვის მაქსიმალურ ობიექტურობას იჩენენ საქმის გარჩევისას. მათი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა გამორიცხავდა ერთი მხარის უპირატესობას იმის გამო, რომ მან მეტი მორვეი აირჩია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა თვისებებით იყო დაჯილდოებული მორვეი.

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

მათი სამართლიანობა, პატიოსნება და ღვთისმოშიშობა, ასევე შემრიგებლური მისიის სრული გაცნობიერება, გამორიცხავდა მათგან არაობიექტური განაჩენის შეგნებულ დადგენას. ყოველივე ამის გვირგვინი კი იყო ე.წ. ტოლობის ფიცი, რომელსაც მედიატორები აძლევდნენ მხარეებს მიუდგომელი, ობიექტური განაჩენის გარანტიად. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ამ ფიცის დარღვევა სევანი მედიატორების მხრიდან ყოველად წარმოდგენელი იყო და მხოლოდ ერთ მხარესაც რომ დაესახელებინა მორევალი (რასაც კალის საზოგადოებაში ეხვდებით), განაჩენის ობიექტურობა მაინც არ უნდა დამდგარიყო ეჭვის ქვეშ. ასე რომ, მორევის დამოკიდებულებას საქმის განხილვისადმი და განაჩენის გამოტანისადმი განაპირობებდა არა ის, თუ რომელი მხარე ირჩევდა მას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ მიცემული ფიცი და ის თვისებები, რის გამოც მას მორევად ასახელებდნენ. ჩვენი აზრით, სევანურ ჩვეულებით სამართალში შეუძლებელია წარმოშობილიყო ისეთი წესი, რომელიც ვინმეს საბაბს მისცემდა განაჩენის ობიექტურობაში დაეჭვებულებიყო, დამნაშავე მხარე თუ დაინახავდა, რომ სამედიატორო სასამართლოს განაჩენი შეიძლება არაობიექტური ყოფილიყო, დაზარალებულის მიერ მეტი მორევის დასახელების გამო, ცხადია, ის სამედიატორო სასამართლოს არჩევას არ დაეთანხმებოდა. მაგრამ ასეთი რამ არ ხდებოდა და ამიტომაც ფიქსირდება დაზარალებულის მიერ მეტი მორევალის არჩევის ფაქტები. სამედიატორო სასამართლოს ფუნქცია სევანეთში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. იგი მოსისხლე მტრების შერიგების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა და არაეინ არ დაუშვებდა, რომ ვინმეს ნება-სურვილის გამო ამგვარი მექანიზმი მოშლილიყო. დაზარალებულის მიერ მეტი მორევის დასახელება კი, როგორც ჩანს, ამის საფრთხეს არ ქმნიდა. თუ დაზარალებულის მიერ მეტი მორევის დასახელება რაღაცნაირად მას გულს დაუმშვიდებდა და გადააწყვეტიებდა სამედიატორო სასამართლოს არჩევაზე თანხმობას, ეს საქმის განხილვის ობიექტურობას საფრთხეს არ შეუქმნიდა, პირიქით, მხარეთა საბოლოო შერიგებას შეუწყობდა ხელს.

როდესაც მორევთა რაოდენობასა და მხარეთა მიერ მათი თანაბარი რაოდენობით არჩევაზე აღვნიშნეთ, ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია მედიატოროთა კორპუსის კიდევ ერთი მონაწილე, რომელსაც სევანეთში ეხვდებით. ეს გახლავთ ფაქტობრივად უფროსი მედიატორი, რომელსაც

ეწოდება „მუწვრი“ ანუ „ნეგსაჩუ მეგნე“ („ნენსგაშ მეგნე“)<sup>1</sup>. „მუწვრის“ არჩევა ძირითადად რთულ, მძიმე საქმეებზე ხდებოდა. მ. კეკელია მიუთითებს, რომ ნეგსაჩუ მეგნეს, ანუ მუწვრის მონაწილეობას პროცესში ადგილი ჰქონდა, როგორც წესი, მკვლელობის ან სხვა რთული შემთხვევების დროს<sup>2</sup>. მისი ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებითაც, მკვლელობის საქმეზე მხარეები 12-12 მორევს ასახელებდნენ, ხოლო შემდეგ ირჩევდნენ 25-ე კაცს, „ნეგსაჩუ მეგნეს“ სახით<sup>3</sup>. დ. დავითულიანიც ადასტურებს პროცესში მკვლელობის საქმეზე „მუწვრის“ მონაწილეობას. მისი თქმით, ადათი მოითხოვდა, რომ მკვლელობის საქმეზე მორევების რიცხვი აუცილებლად კენტი ყოფილიყო – 25,13,11,9 და ა.შ. მას შემდეგ, რაც მხარეები მორევების თანაბარ რაოდენობას აირჩევდნენ, ორივე მხარე დაასახელებდა ერთ ნეიტრალურ მიუდგომელ პიროვნებას, „მუწვრის“<sup>4</sup>. ეგ. გაბლიანიც აღნიშნავს, რომ „მუწვრის“ არჩევა ზოგიერთ თემში სწორედ მკვლელობის საქმეზე ხდებოდა<sup>5</sup>.

ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით, „მუწვერს“ მხარეთა მიერ თანაბარი რაოდენობით არჩეული მედიატორები იწვევენ. ამ აზრს ავითარებდა მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორი, დ. დავითულიანი და ა. წულუკიანი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ „არჩეული მედიატორები, თავის მხრივ, იწვევდნენ მათზე უფრო ხანშიშესულ, ადათის მცოდნე და გამოცდილ პირს, რომელსაც უფროსი მედიატორეს, სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარის როლი ეკისრებოდა... საბოლოოდ არჩეულ მედიატორებს, რომლებიც დაზარალებულისა და დამნაშავეის მხრიდან ეთანაბრებიან ერთმანეთს, ემატებოდათ უფროსი მედიატორე.“<sup>6</sup> მაგრამ ბალს ზემო სვანეთის შესახებ მასალა ცხადყოფს, რომ „მუწვრი“ ეს დაზარალებული მხარის წარმომადგენელია.

ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ მკვლელობის საქმეში მომჩივანი ზოგიერთ თემში იწვევდა კიდევ ერთ კაცს – „მუწვერს“. მ. კეკელიაც მიუთითებს, რომ მორევართა შემადგენლობაში რთული შემთხვევების

<sup>1</sup> ა. წულუკიანის განმარტებით, უფროს მედიატორს „მუწვრს“ უწოდებენ თავისუფალ სვანეთში. ხოლო სადადეშქელიანოში – „ნენსგაშ მეგნეს“. ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 111.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

<sup>5</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

<sup>6</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

დროს დაზარალებული მხარის წარმომადგენლად მონაწილეობას ღებულობდა „ნეგსაჩუ მეგნე“ ანუ „მუწერი“, რომლის აცილების უფლებაც დამნაშავეს არ ჰქონდა<sup>1</sup>. ამასთან დაკავშირებით არსებით მინიშნებას აკეთებს ა. წულუკიანი. მისი თქმით, თავისუფალ სვანეთში „მუწერის“ არჩევის პრეროგატივა დაზარალებულ მხარეს ეკუთვნოდა.<sup>2</sup> ეს მინიშნება სწორი უნდა იყოს. ბალს ზემო სვანეთში „მუწერი“ მართლაც დაზარალებულის წარმომადგენლად გვევლინება, ხოლო უშგულის საზოგადოებისათვის ეს ინსტიტუტი უცნობია. მ. კეკელიას მტკიცებით, უშგულის საზოგადოებაში დაზარალებულის წარმომადგენლის – „მუწერის“ მონაწილეობა მორევთა სასამართლოში არ დასტურდება და იქ რამდენადმე მისი შემცველი ლუფხვილია.<sup>3</sup>

მკვლევართა განმარტებით, „მუწერი“ ჩვეულებრივ მორევთან შედარებით მეტი უფლებებით სარგებლობდა. იგი არ უნდა ჩარეულიყო მორევართა შორის წამოჭრილ დავაში, ხელი არ უნდა შეეშალა მათი კამათისათვის, ბოლოს კი აჯამებდა ყველას აზრს და მოახსენებდა სამედიატორო სასამართლოს თავის შეხედულებას განსახილველი საკითხის ირგვლივ. სასჯელის განსაზღვრისას საბოლოო სიტყვა აუცილებლად „მუწერს“ უნდა ეთქვა<sup>4</sup>. მასალებიდან აშკარაა, რომ „მუწერს“ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მაშინაც, როდესაც მედიატორთა შორის წინააღმდეგობაა. იგი, როგორც ჩანს, წინააღმდეგობთა შერბილებასა და საქმის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

<sup>2</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 143. მ. კეკელია განმარტავს, რომ უმეტეს საზოგადოებებში „ლუფხვილი“ დაზარალებულის მიერ დასახლებული თანამოციარია, უშგულში კი მოსამართლესა, რომელსაც დაზარალებული ირჩევს. აქედანაა ლუფხვილის განაჩენი – „ლუფხულარე ნამპოროე“ (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 143). ლუფხვილები მკვლელობის საქმეზე მონაწილეობენ<sup>4</sup> და გადასახდელის განსაზღვრის მომენტის გარდა, მორევებთან ერთად მონაწილეობენ ყველა მოქმედების შესრულებაში (მ. კეკელია, იქვე, გვ. 112).

<sup>4</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61; დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

<sup>5</sup> მ. კეკელია აღნიშნავს, რომ მოსაზრებათა განსხვავებულობის გამო, მორევალმა შესაძლოა საერთოდ ვერ შეძლოს განაჩენის დადგენა. მართალია, ფორმალურად თითქოს საკითხს ხმის უმრავლესობით წყვეტენ. მაგრამ რთულ და სერიოზულ საქმეზე მაინც ურთიერთთანხმობაა საჭირო. სწორედ ამ დროსაა ბევრი რამ დამოკიდებული „ნეგსაჩუ მეგნეს“ უნარზე. იგი ცდილობს ისე წარმართოს ბჭობა, რომ თავიდან აიცილოს საქმისადმი არაობიექტური დამოკიდებულება (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 122); ა. წულუკიანიც მიუთითებს მორევთა წინააღმდეგობისას (რაც სვანურ სინამდვილეში ძალზე იშვიათია) „მუწერის“ მნიშვნელოვან როლს (ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 61).

ამასთან, „მუწვრს“ ზოგიერთ საზოგადოებაში უფლება აქვს, მედიატორთა მიერ დადგენილი განაჩენით განსაზღვრული საზღაურის გარდა, მოპასუხე მხარეს დამატებით დააკისროს გარკვეული თანხა. მის მიერ მოსჯილ თანხას „მუწვრი მალვრა“ ეწოდება. ეგ. გაბლიანის მიხედვით, „მუწვრს“ შეუძლია „წორის“ გარდა დამნაშავეს დააკისროს „60 ათსი-შამდე“, ე.ი. 300 მანეთამდე. მისი თქმით, „მუწვრი მალვრა“ ცნობილია, მაგალითად, მულახისა და მესტიის საზოგადოებებში, ხოლო ლატალსა და ლენჯერის საზოგადოებებში „მუწვრი მალვრას“ არსებობა არ დასტურდება.<sup>1</sup> „მუწვრის“ უფლებას, თავის მხრივ, მედიატორთაგან დამოუკიდებლად, დამატებითი გადასახადი დააკისროს დამნაშავეს, ხაზს უსვამს დ. დაეითულიანიც, მისი თქმით, როდესაც მედიატორები შეთანხმდებოდნენ სასჯელზე, „მუწვრი“ ჩამოაყალიბებდა „წორის“ რაოდენობას, რასაც, თავის მხრივ, უმატებდა საკუთარ გადასახადს და გამოაცხადებდა მთლიან „წორს“.<sup>2</sup>

### §5. მორევთა გასამრჯელო

მედიატორები თავიანთი საქმიანობისათვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. მასალებიდან ცნობილია სამი სახის გასამრჯელო: „ლერქვაში“, „ნალვრიელი“ (ნანბანიერ-ნალვრიელი), ათისთავი. ამ საკითხს გაკვრით შეეხო ბ. ნიჟარაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მორევებს გასამრჯელოდ ეძლეოდა თითო „ლერქვაში“ (ნივთი სამი მანათის ღირებულების), ამას ისინი ლებულობდნენ განაჩენის დადგენის შემდეგ და მის გამოცხადებამდე.<sup>3</sup> იგივეს ადასტურებს ა. წულუკიანიც.<sup>4</sup> მ. კეკელია კი, რომელმაც საკმაროდ ვრცელი მასალა შეკრიბა წლების მანძილზე სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ამტკიცებს, რომ „ლერქვაში“ ამჟამად აღარ გამოიყენება და ვერც ცნობები მოიძია მასთან დაკავშირებით.<sup>5</sup>

ნიშანდობლივია, რომ „ლერქვაშს“, როგორც მორევთა გასამრჯელოს, ბ. ნიჟარაძის შემდგომ დროინდელი მკვლევრები აღარ ადასტურებენ

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ.110.

<sup>2</sup> დ. დაეითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ.150.

<sup>3</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

<sup>4</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

<sup>5</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 125. გამოჩინისა მ. კეკელიას მხოლოდ ერთი მთხრობელი. რომელიც ამბობს, რომ მორევების გასამრჯელოდ ერთი ლერქვაში (ლოქი) არაფი იყო უბრალო საქმეზე, წორზე და სხვა მიძმე საქმეზე კი - მეტი. ისეთ საქმეზე, რომელზეც წორი იქნა მოსჯილი, 5 და 10 მანეთოც იყო (კალამი 10 მანეთი იყო).

(ა. წულუკიანიც, როგორც ჩანს, ბ. ნიჟარაძეს ეყრდნობა). ასე რომ, მ. კეკელიას დაკვირვება „ლერქვაშთან“ დაკავშირებით სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. მორევი გასამრჯელოს იღებდნენ ხატზე დაფიცებისათვის იმათგან, ვინც მათ ხატზე აფიცებდა, კერძოდ, მხარეებისაგან. გასამრჯელოს ამ სახეს სვანეთში ეწოდება „ნალვრიელი“. ეგ. გაბლიანი გირგველიანებისა და ფარჯიანების საქმის გარჩევის აღწერისას აღნიშნავს, რომ მედიატორთა ფიცის დასრულების შემდეგ გირგველიანებმა მედიატორებს გადაუხადეს „ნალვრიელი“ „თითოსათვის სამ-სამი მანეთის საღირალი: არაყი, პური, ფული და სხვა ავეჯეულობა და ხარა-ხურა, დააწყვეს იქვე მახლობლად და შემდეგ ჩვენ (მედიატორებმა — გ.დ.) გავინაწილეთ. შემდეგ მორევი ფარჯიანებმა დააფიცეს და მათაც იგივე გაიმეორეს“.<sup>1</sup> მ. კეკელია გასამრჯელოს ამ სახეს ორმაგი სახელით მოიხსენიებს — „ნანბანიერ-ნალვრიელი“. მისი განმარტებით, მას ბალს ზემო სვანეთის ერთ ნაწილში (ლატალი-შესტია) უმუტესად ნანბანიერს უწოდებენ, ხოლო მეორეში (მულახი-უშგული) — ნალვრიელს.<sup>2</sup> შეიძლება ითქვას, რომ „ნანბანიერიც“ და „ნალვრიელიც“, ხატზე დაფიცებისათვის გათვალისწინებული გასამრჯელოა, რომელსაც მედიატორებს უხდიან მხარეები, ძირითადად, დაფიცების შემდეგ ან დაფიცების წინ. ამ გასამრჯელოს მორევი იღებდნენ ნებისმიერ საქმეზე, სადაც ადგილი ექნებოდა მხარეთა მოთხოვნით მათ მიერ ე.წ. ტოლობის ფიცის მიცემას, რაც ობიექტური განაჩენის დადგენის გარანტიად გვევლინება.

მ. კეკელიას ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ადრე ნალვრიელს თითოეული მხარე, ძირითადად, 5-5 მანეთის ოდენობით იხდიდა, შემდგომ პერიოდში კი 10-10 მანეთით განისაზღვრა იგი. თუ მხარეები მოინდომებდნენ, რომ მორვალს წმინდა კვირიკეს ეკლესიაში დაეფიცა, მაშინ მხარეს, რომელიც მორვალს აფიცებდა, 20 მანეთი უნდა გადაეხადა მედიატორთათვის.<sup>3</sup> მთელ თანხას აძლევდნენ რომელიმე მორევს, რომელიც შემდეგ ანაწილებდა მას.<sup>4</sup> ისედაც ხდებოდა, რომ მხარე მორვალს ფულის ნაცვლად პირუტყვს მისცემდა. ამ დროს, შესაძლოა, ერთ-ერთ

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

<sup>3</sup> კალის წმინდა კვირიკეს ეკლესიაში მიცემული ფიცი ყველაზე მძიმედ ითვლებოდა, აქ იყო დასვენებული მთელი სვანეთისათვის სათაყვანებელი ხატი „შალიანი“. მის წინაშე მთელ თაყისუფალ სვანეთს დაუფიცავს საერთო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილების ერთგულების ნიშნად, მაგალითად. ეს მოხდა 1875 წელს.

<sup>4</sup> იქვე.



მორევს დაეხსნა პირუტყვი, დანარჩენებისათვის კი პირუტყვის საფასური გაენაწილებინა.<sup>1</sup> თუ ორივე მხარე ერთად დააფიცებდა მორვალს, ეს უკანასკნელნი მხოლოდ ერთი ფიცისათვის მიიღებდნენ გასამრჯელოს – თითოეული მხარე ნახევარ-ნახევარს გადაიხდიდა.<sup>2</sup> თუ ცალ-ცალკე დააფიცებდნენ, როგორც ეს გვირგვლიანებისა და ფარჯიანების დავის დროს იყო, მაშინ ორივე მხარე სრული მოცულობით გადაუხდიდა მორვებს შესაბამის გასამრჯელოს.

რაც შეეხება „ათისთავს“, როგორც მედიატორთა გასამრჯელოს, მის არსებობას ადასტურებს რ.ზარაძე. იგი წერს, რომ მორვალი გასამრჯელოდ იღებდა მთელი გადასახადიდან, როგორც წორიდან, ისე საჩუქრებიდან 10%, რასაც ათისთავს უწოდებენ.<sup>3</sup> ამასვე ადასტურებს დ. დავითულიანიც.<sup>4</sup> მ. კეკელია მიუთითებს, რომ ნანბანიერ-ნაღვრიელისაგან განსხვავებით, „ათისთავი“ უკვე საკმაოდ მოძველებული გადასახადის სახეს წარმოადგენდა,<sup>5</sup> თუმცა მის მასალებში ეს ინსტიტუტი, „ლერქვამისაგან“ განსხვავებით, ძალზე ხშირად დასტურდება, რაც მისი განხილვის შესაძლებლობას იძლევა.

მასალებიდან აშკარაა, რომ „ათისთავი“, როგორც მორევთა გასამრჯელო, გათვალისწინებული იყო მორევთა მიერ დამნაშავეისადმი დაზარალებულის სასარგებლოდ დაკისრებული გადასახადის (კომპოზიციის) ოდენობაში და სრული გადასახადის ერთ მეათედს წარმოადგენდა. დაზარალებულისადმი მისაცემ გადასახადს აკლდებოდა მისი ერთი მეათედი მორევთა გასამრჯელოდ, განაჩენის აღსრულების დასრულების შემდეგ.<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მკვლევარი ერთი და იმავე სახის გასამრჯელოს სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეს ოდენობა ისტორიულად, დროთა განმავლობაში იცვლებოდა და განსხვავება საზოგადოებების მიხედვითაც შეიძინოდა.

---

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> რ. ზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

<sup>5</sup> დ. დავითულიანი საკვებით სამართლიანად თვლის დადებით მომენტად იმ გარემოებას, რომ მორევთა გასამრჯელო მოხილვად გადასახადში იყო ნაანგარიშები და მხარეთა ქონებრივ მდგომარეობაზე დიდ გავლენას არ ახდენდა, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკურად სუსტი მოსახლეობისათვის (დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 160). მისი თქმით, მორევები ხშირად გასამრჯელოზე უარს ამბობდნენ (დ. დავითულიანი, იქვე).

<sup>6</sup> იქვე, გვ. 127.

ფიცი, რომორც სასამართლო საქმისწარმოების  
ობიექტურობისა და განაჩენის აღსრულების  
ბარანტი

ფიცის ინსტიტუტს უარესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ჩვეულებით სამართალში. მას უპირველესი ადგილი ეჭირა სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში. ფიცი ეჭვმიტანილის მიერ თავის მართლების ყველაზე გაერცელებული საშუალებაა, განსაკუთრებული და გამორჩეულია მისი როლი სვანეთში. ეჭვმიტანილი თუ დაიფიცებდა, რომ მას არ ჩაუდენია ის, რასაც აბრალებდნენ, ყოველგვარი ეჭვი მის მიმართ გაქარწყლდებოდა. ფიცის ცერემონიალი ყველაზე მნიშვნელოვან, ძლიერ და გავლენიან ეკლესიებში ტარდებოდა, რასაც წინ უძღოდა „გარცამი“ (ხატზე გადაცემა საწყევარი სიტყვებით), ამიტომ სვანეთში წარმოდგენლად ითვლებოდა ვინმეს ტყუილად დაეფიცა ხატის წინაშე. ტყუილად დამფიცებელს, მის ოჯახს, შთამომავლობას, ხალხის რწმენით, საშინელი სასჯელი ელოდა. ბრალმდებელისათვის მთავარი იყო ფიცის გარეგანი მხარე. თუ ეჭვმიტანილი დაიფიცებდა, რომ ის დამნაშავე არ იყო, ამით იგი დაუმტკიცებდა ბრალმდებელს, რომ იგი მართალია და პასუხი არ მოეთხოვება. ბრალმდებელი ამ ცერემონიით დაკმაყოფილებული რჩებოდა, რადგან, თუ ეჭვმიტანილი მართალი იყო, იგი თავისი ფიცით ამას კიდევაც ადასტურებდა და ბრალმდებელს აღარაფერი ეთქმოდა, მაგრამ თუ მას დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, მაშინ საშინელი ღვთაებრივი სასჯელი მაინც არ ასცდებოდა.

საინტერესოა, რომ სვანეთში ფიცი არა მხოლოდ სასამართლო მტკიცებულებად, ე. ი. თავის მართლების საშუალებად გვევლინება. იგი სასამართლო პროცესის შემადგენელი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სწორედ ფიცი უზრუნველყოფს სასამართლო საქმის წარმოების ობიექტურობასა და განაჩენის აღსრულებას მხარეთა მიერ. ასე რომ, ფიცი სვანურ სასამართლო წარმოებაში სასამართლო მტკიცებულებაცაა და უშუალოდ სასამართლო წარმოების ელემენტიც.

ამ ნაშრომში ფიცის იმ სახეებს განვიხილავთ, რომლებიც სასამართლო წარმოების ელემენტებს წარმოადგენენ. მხედველობაშია სხვადასხვა სახის ფიცი, რომელსაც იძლევიან როგორც მოწინააღმდეგე მხარეები, ისე მორცალიც.

მაგალითად, მოდავე მხარეები მორევებს აძლევენ ფიცს, რომ თანახმანი არიან მორევალთ შერიგებაზე, არ გადაიფიქრებენ ამას და დაემორჩილებიან განაჩენს, ასევე იფიცებენ, რომ მორევებს სწორ ჩვენებას მისცემენ; გარდა ამისა, ღებენ ერთგულების ფიცს, კერძოდ, იფიცებენ, რომ განაჩენის ერთგულები იქნებიან და უყოყმანოდ, ზუსტად შესარულებენ მას, ასევე ღებენ ფიცს, ერთმანეთის ერთგულების შესახებ, რომ მათ შორის მტრობას ადგილი აღარ ექნება, მორევები კი მხარეებს აძლევენ ტოლობის ფიცს, რომ განაჩენის დადგენისას თანსწორად მიიჩნევენ მხარეებს, თითოეული მათგანი მათ ადგილას დააყენებს თავს და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას<sup>1</sup>. მორევები ასევე განაჩენის დადგენის შემდეგ ერთმანეთს აძლევენ ფიცს, რომ მის გამოცხადებამდე საიდუმლოდ შეიახავენ განაჩენის შინაარსს, რომ ეს განაჩენი საბოლოოა და მისი შეცვლა არავის ძალუძს<sup>2</sup>.

ამჯერად შევეხებით მორევებისა და მხარეების ერთმანეთისადმი მისაცემი ფიცის სახეებს. თითოეული მათგანი დამოუკიდებელია და სხვადასხვა საკითხს ეხება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ სხვადასხვა სახის ფიცს აუცილებლად ცალ-ცალკე იძლევიან. სრულიად შესაძლებელია ფიცის რამდენიმე სახის ერთად შერწყმა.

ძირითადი და გადამწყვეტი, ჩვენი აზრით, მაინც ორი ფიცია: ტოლობის ფიცი, რომელსაც მორევები აძლევენ მხარეებს და ერთგულების ფიცი, რომელსაც მხარეები ღებენ მორევების წინაშე. ხშირად ერთგულების ფიცში რამდენიმე სახის ფიცია გაერთიანებული, ჩვენც უმთავრესად ფიცის ამ ორ სახეზე გავამახვილებთ ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ მკვლევრები მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან ფიცის სახეებთან დაკავშირებით. სხვადასხვა სახის ფიცის არსისა და მნიშვნელობის შესახებ ცნობები ფაქტობრივად იდენტურია, მაგრამ სასამართლო პროცესის თუ რომელ სტადიაზე ტარდება ესა თუ ის ფიცი, ამ საკითხზე საკმაოდ განსხვავებულ მონაცემებს ვხვდებით. ცნობების მიხედვით ფიცის ზოგიერთი სახე ერთად სრულდება, ხოლო ზოგი — ცალ-ცალკე. ჩვეულებითი სამართლის ბუნებიდან გამომდინარე, ეს განსხვავება გასაკვირი არ არის. ცხადია, რომ მთელი სვანეთისათვის

<sup>1</sup> მ. კეკელია, ფიცი სვანეთის ჩვეულებით სამართალში, კრ. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, III, 1979, გვ. 135.

<sup>2</sup> მორევთა ფიცის ამ სახეს ჩვენ ქვემოთ შევეხებით მე-3 თავის მე-3 პარაგრაფში.

განსაზღვრული საერთო წესი არ არსებობდა. სხვადასხვა ან ერთსა და იმავე თემში, შესაძლოა, ესა თუ ის ფიცი პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ჩატარებულიყო.

საკითხის ნათელსაყოფად სხვადასხვა მკვლევართა ცნობებს დავეყრდნობით. ერთ-ერთია ბ.ნიჟარაძის მონაცემები. მისი თქმით, როდესაც მედიატორები განაჩენს დაადგენდნენ, აცნობებდნენ მხარეებს გამოცხადებულიყვნენ ადგილობრივი ეკლესიის კარზე ერთგულების ფიცის მისაღებად. მხარეები, ჩვეულებრივ, შეიარაღებულები მოდიან. პაპი (ადგილობრივი მღვდელი), რომელსაც მსაჯულები წინასწარ იბარებენ, ეკლესიიდან გამოსვენებს ხატს (არასდროს ჯვარს). თუ პაპი არ იქნა, მაშინ მის მაგივრობას ასრულებდა მომჩივანი. ეკლესიის გალავანში ხატის წინაშე, ერთ მხარეს ჩამწკრივებულნი, ქედმოხრილნი იდგნენ მედიატორები, მეორე მხარეს კი — მხარეები, ერთიმეორისაგან დაშორებით, მამაკაც ნათესავებთან ერთად. შემდეგ მედიატორები წარმოთქვამდნენ ტოლობის ფიცს, რომელსაც წინ უსწრებდა ჯერ მომჩივანის, ხოლო შემდეგ მოპასუხის „გარცამი“. თავისი „გარცამით“ ისინი მორევებისაგან მოითხოვდნენ, რომ განაჩენის დადგენისას თავიანთ ტოლად მიეჩნიათ ისინი, მათ ადგილას დაეყენებინათ საკუთარი თავი და გამოეტანათ ისეთი განაჩენი, რომელიც თვით მორევებს დააკმაყოფილებდა მხარეთა მდგომარეობაში რომ ყოფილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საშინელ წყევლა-კრულვას შეუთვლიდნენ მათ. ბ. ნიჟარაძე ასე აღწერს მომჩივანის გარცამს: „დიდება და მაღლი შენ, ქრისტე მაცხოვარო (ან რომელის წმინდანისაა ის ხატი), გთხოვ და გვედრები, ისმინე ჩემი ხვეწნავედრება! უკეთუ ჩემ მიერ ამორჩეულ და გაშვებულ მსაჯულთა სინდისიერად შეტყობის შემდეგ საქმის გარემოებისა რასმეში დავეჩაგრო, არ მიენიჭოსთ ჩემთვის იგი, რასაც ჩვენი ჩვეულებითი და სწორი სამართალი კმანძებს, მე დამამდაბლეს და ჩემი მოპასუხე აღამაღლეს, მაშინ, ჰოი, მაღალო ღმერთო, რამდენიც ციდამ თოვლი და წვიმა მოდის, რამდენიც დედამიწაზე ბალახია, ზღვაში ქვიშა — სანამ იმდენი ოქროს რქოსანი ხარი არ მოგიძღვნან, მანამ ამათ (მიათითებს მსაჯულებზე) ძესა და შთამომავალსა საშველს ნუ მისცემ, ამოსწყვიტე ესენი ძირიანბუდიანად; ავი სნეულების და ფათერაკის მეტს ნურას მოუვლენ თითონ ამათ და ამათს ოჯახებს... ეს ერთი დიდებულ ღმერთო! მეორე, — განაგრძობს იგივე მომჩივანი — თუ ამ მსაჯულებს ისე არ დავუყენებთ-ვარ მე, როგორც თვითოეული მათგანი დადგებოდა (ე.ი. ის არ მიესა-

ჯათ ჩემთვის, რასაც თითოეული მათგანი კანონით მოითხოვდა და იკმარებდა), თუ თავის სწორად და ტოლად არ დაეუყენებია, — მაშინ ისმინე ღმერთო, სანამ ამათ (მსაჯულებს) იესო ქრისტე თვისის თორმეტის მოციქულით მწირველად არ იშოვონ, სუფისკეერი იერუსალიმიდან მოტანილის ფქვილისა არ გამოუცხონ და იქიდანვე მოტანილი ღვინო ზედაშეთ არ დასდვან, — მანამ ამათ (მსაჯულებს) ავი ზნის მეტს ნურას მოუვლენ, შეაჩვენე ისე, რომ ამათი რძალი და ასული გველსა და ბაყაყს კშობდნენ“... იტყვის თუ არა ამას, იქვე მიწაზე (ეკლესიის გალავანში ბალახი ყველგან არის) ბალახს მოგლეჯს, გაფანტავს მალლა ქაერში და დადგება თავის ადგილას, შემდეგ წინ გამოვა მოპასუხე: ერთ ხელს ხატისკენ გაიწვდის, მეორეს მსაჯულებისაკენ და იტყვის: „მალალო ღმერთო! სწორი სამართლის მომავლინებელი შენა ხარ ქვეყანაზე, — თუ მსაჯულთ, გარეშე წესრიგის მოთხოვნილებისა, რაიმე მიუსაჯავთ ჩემგნით მომჩივანისათვის, მაშინ დასწყევლე ისინი ასე და ასე... (გაიმეორებს მომჩივნის წყევლას მცირე განსხვავებით, როგორც მოუხდება). ესეც რომ დაამთავრებს, ახლა მახეში, მსაჯულების თავს მდგომარე, მიუბრუნდება მომჩივან-მოპასუხეს და იტყვის: „ესაჲ და ბაბი! (ეთქვათ, მომჩივან-მოპასუხეთა სახელებია) ამ ხატის მადლმა (ხატზე მიუთითებს), რაც კი შევძელით, ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, ნამდვილი და სწორი სამართალი გაგვეჩინა თქვენს შორის. აესწონეთ საჩივარი, პასუხი, პასუხის პასუხი, ერთმანეთს დაუყენეთ, შეეუწონეთ ჩვენის წეს-რიგის თანახმად და გადავსჭერთ ისეთი სამართალი, რომელსაც თვითოეული ჩვენ მსაჯულთაგანი დასჯერდებოდა, თუ რომ ჩვენ თქვენს ადგილას ვყოფილიყავით“. დანარჩენი მსაჯულები ამაზედ ერთ ხმად წარმოსთქვამდნენ: „თანახმად ამ „გარცამისა“ ჩვენც ვფიცავთ, რომ რამდენადაც კი მივხვდით, ჭეშმარიტს სამართალზე გავიარეთ“

ტოლობის ფიცის შემდეგ მორევების მახეში მომჩივან-მოპასუხეს ერთგულების ფიცის მიღებას სთავაზობს. ორივე მხარე იფიცება: „ამის მადლმა (ხატზე ათითებს), რომ თუ შენ ჩემი ერთგული იქმნები, მეც ერთგული ვიქმნები და ვფიცავ, დღევანდელი საქმე არც მე და არც ჩემმა ძემ და მომავალმა არ გაგვიხსენოს“, იტყოდა მომჩივანი. ამას გაიმეორებდა მოპასუხეც და წავიდოდნენ თავ-თავის სახლებში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ბ. ნიუარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99-100.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 100.

აღსანიშნავია, რომ ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ტოლობისა და ერთგულების ფიცი იღება განაჩენის გამოტანის შემდეგ, მის გამოცხადებამდე. მოშივანი და მოპასუხე ცალ-ცალკე, რიგრიგობით ეუბნებიან „გარცამს“ მორევებს, და აფიცებენ მათ ტოლობაზე. „გარცამის“ პასუხად მორევები ტოლობის ფიცს უბრუნებენ მხარეებს. ბ. ნიჟარაძის მონაცემებით, ტოლობის ფიცს ცალ-ცალკე კი არ აძლევენ მხარეებს, არამედ ორივე მხარეს საერთო ტოლობის ფიცს ეუბნებიან<sup>1</sup>. მხარეები იძლევიან ფიცს, რომ ერთმანეთის ერთგულები იქნებიან. ამ შემთხვევაში არ ჩანს, რომ მორვალი ერთგულების ფიცის წინ „გარცამს“ ეუბნება მხარეებს და მოითხოვს მათგან, რომ ერთმანეთის ერთგულნი იყვნენ და აღარ განაახლონ ურთიერთმტრობა მომავალში. ბ. ნიჟარაძის ინფორმაციაში ბევრი კონკრეტული ნიუანსი არ ჩანს (ვინ ესწრება დაფიცებას, კონკრეტულად ვინ აფიცებს მორევებს და ა.შ.).

XIX საუკუნის ავტორთაგან მედიატორთა და მხარეთა ფიცს სვანეთში ეხება მ. კოვალევსკი, ა. სტოიანოვი, დ. ბაქრაძე. მ. კოვალევსკის დაკვირვებით, მორევები თავისი საქმიანობის დაწყებამდე, ვალდებული არიან დაიფიცონ, რომ ისინი როგორც საკუთარს, ისე მოეპყრობიან განსახილველ საქმეს (აქ მხედველობაში უნდა იყოს ტოლობის ფიცი). დაზარალებულის ერთ-ერთი ნათესავი მიმართავს მედიატორებს „დაიფიცონ იმაზე, რომ ისე გააჩრევენ საქმეს, როგორც საკუთარს, ობიექტურად, სამართლიანად და თუ დაარღვევენ ამ ფიცს, დაე, გაუბედურდეს და ამოწყდეს მათი შთამომავლობა. მოსამართლენი კი ამ „გარცამის“ საპასუხოდ იფიცებენ, რომ როგორც საკუთარს, ისე გადაწყვეტენ მოცემულ საქმეს. შემდეგ მოსამართლეები იწვევენ მხარეებს და დააფიცებენ, რომ აღასრულებენ მათ მიერ გამოტანილ განაჩენს. მედიატორები „გარცამით“ ეშუქრებიან მხარეებს, თუ ისინი არ დაემორჩილებიან და არ აღასრულებენ განაჩენს. მხარეებიც იფიცებენ, რომ წყეულნი იქნებიან, თუ ზუსტად არ შეასრულებენ დათქმულ პირობას<sup>2</sup>. მ. კოვალევსკისთან ჩანს, რომ ერთგულების ფიცის დადებისას მედიატორები „გარცამს“ ეუბნებიან მხარეებს, სწორედ ისინი აფიცებენ მათ. მხარეები კი, თავის მხრივ, ფიცს უბრუნებენ მორევებს, რომ ზუსტად შეასრულე-

<sup>1</sup> ასეთი რამ, როდესაც მორვალთა უფროსი მხეში ორივე მხარეს „გარცამზე“ პასუხს ერთად უბრუნებს, მ. კეკელიას მასალების მიხედვით, არც ახლად გამოცხადებული მოხდეს, ოღონდ ნაკლებ მნიშვნელოვან საქმეებზე (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 158).

<sup>2</sup> М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. 2, стр. 22-23.

ბენ განაჩენს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი „გარცამის“ მსხვერპლნი გახდებიან. მ. კოვალევსკის მიხედვით, მხარეები მხოლოდ განაჩენის ერთგულებაზე იფიცებენ, ერთმანეთის ერთგულების ფიცი კი არ ჩანს, რისი მიზეზიც ინფორმაციის არასრულყოფილება უნდა იყოს.

ა. სტოიანოვის მიხედვით, მედიატორები, პირველ რიგში, მხარეებს ართმევენ ფიცს, რომ ისინი დაემორჩილებიან გამოტანილ განაჩენს<sup>1</sup>. დ. ბაქრაძის თქმით, მორევები განაჩენის დადგენის შემდეგ ალებინებენ ორივე მხარეს ფიცს.<sup>2</sup> ამ ავტორთა მიხედვით, მხარეთა მიერ განაჩენის ერთგულებაზე ფიცი პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ხდება, ხოლო ფიცის სხვა სახეები მათთვის ცნობილი არ არის. ამ ავტორთა ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არც ისე ღირებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს.

სევანურ სასამართლო პროცესში ფიცის დადების შესახებ არსებული მასალა გაცილებით უფრო სრულყოფილია XX საუკუნის ავტორთა შრომებში.

ეგ. გაბლიანის მიხედვით, მხარეები ფიცით ადასტურებდნენ, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ მათ მიერვე არჩეული მორევების გამოტანილ განაჩენს. ეს ხდებოდა მანამ, სანამ მედიატორები შეუდგებოდნენ მხარეთა დაკითხვას.<sup>3</sup> ფიცით მხარეები გამოხატავდნენ თანხმობას მორევების მეშვეობით შერიგებაზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობდა, რომ მხარეები მედიატორთა მიერ გამოტანილ განაჩენს დაემორჩილებოდნენ.<sup>4</sup> მხარეებს განაჩენის დამორჩილებაზე რომ არ დაეფიცათ, მაშინ მორევები დაიშლებოდნენ<sup>5</sup>.

სამწუხაროდ, ეგ. გაბლიანი არ აღწერს მხარეთა ფიცის ცერემონი-ალს, სამაგიეროდ საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე დადებული ტოლობის ფიცის შესახებ.

<sup>1</sup> А. Стоянов, Путешествие по Сванетии, ЗКОИРГО, кн. X, вып. II, 1876, стр. 315.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Сванетия, ЗКОИРГО, кн. VI, 1864, стр. 55.

<sup>3</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

<sup>4</sup> როგორც აღინიშნა, მ. კეკელია ფიცის ცალკე სახედ გამოიყოს მხარეთა ფიცს მედიატორთა „გარცამის“ საპასუხოდ, რომ მართლაც თანახმანი არიან მორევთა მეშვეობით შერიგებაზე და არ გადაიფიქრებენ შერიგებას. ჩვენი აზრით, თანხმობა მორევთა მეშვეობით შერიგებაზე ფაქტობრივად ნიშნავს, რომ მხარეები თანახმანი არიან აღასრულონ მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენი, რადგანაც მორევთა მეშვეობით შერიგება სწორედ მათ მიერ გამოტანილი განაჩენის მეშვეობით მისი აღსრულებით შეიძლება მოხდეს. თუ მხარეები არ დათანხმდნენ განაჩენის აღსრულებას, ისინი ევრცე შერიგდებიან.

<sup>5</sup> ეგ. გაბლიანი, იქვე.

იგი აღნიშნავს, რომ მედიატორები, მომჩივანი და მოპასუხე, ჩვეულების თანახმად, ვალდებული იყვნენ დასაფიცებლად ადგილობრივ ეკლესიაში მისულიყვნენ, მაგრამ, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც გირგვლიანებისა და ფარჯიანების ერთად შეკრება ვერ მოხერხდა, მედიატორებმა გადაწყვიტეს გირგვლიანებისათვის ფიცი მიეცათ ადგილობრივი მაცხოვრის ეკლესიაში, ფარჯიანებისათვის კი – ენაშის ეკლესიაში. ამიტომ პირველად წავიდნენ გირგვლიანებთან ერთად ზემოხსენებულ ეკლესიაში. ეკლესიის კარები გაუღო მათ დარაჯმა, რომელმაც მოსულებს გამოუცხადა: „თუ ვინმე ურწყულ“ – უწმინდური ხარო, ე.ი. ისეთი ოჯახებიდან, სადაც ქალებს ყოველთვიური მენსტრუაციული ციკლი ჰქონდათ ან ნამშობიარევი იყვნენ, ხატებს მოერიდეთო. სამი კაცის გარდა ყველა ეკლესიაში შევიდა. როგორც ჩანს, ისინი „უწმინდური“ აღმოჩნდნენ და ეკლესიის კარებთან დარჩნენ. ეკლესიაში შესულებმა, როგორც წესია, ქუდები მოიხადეს, თავ-თავიანთ ჯოხებზე ჩამოაცვეს და ეკლესიის კარებთან დატოვეს, ხანჯლები და თოფები კი შიგნით, ერთ კუთხეში დააწყვეს და მწყრივად დადგნენ. მათ წინ ის პიროვნება დადგა, რომელიც გვარში ყველას სჯობდა ენამახვილობით (ეგ. გაბლიანი მას იხსენებს, როგორც „მუგურცამს“). მან „გარცამი“ უთხრა მედიატორებს, ე.ი. წყევლა-კრულვა შეუთვალა მათ იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი უსამართლო განაჩენს გამოიტანდნენ და მოცემულ მხარეს თავის ტოლად არ ჩათვლიდნენ. ეგ. გაბლიანის თქმით, იგი შემდეგი სიტყვებით აფიცებდა მედიატორებს: „დიდება და მაღლი შენ, ღმერთო დიდებულო და ამაღლებულო, გვედრები და ისმინე ჩემი ვედრება. მე რომ დღეს უბედური ვარ, საშვილიშვილო სამარცხვინო საქმე მჭირს, ამ საქმის გასარჩევად შენი ხატის წინაშე მდგომი მორევები მყავს არჩეული, თუ მათ სწორი სამართალი არ გამიჩინონ, რაც ჩვენში წესი და რიგია იმდენი არ მომისაჯონ, მე დამჩაგრონ, ჩემი დამჩაგვრელი მოპასუხე ჩემზე მაღლა დააყენონ ან ნათესავობით და მეგობრობით ან ფულის და საქონლის გულისათვის, თავის ტოლად და სწორად არ ჩამთვალონ, იმ რიგად გული არ გადამიშალონ და არ დამაკმაყოფილონ, რა რიგადაც თითოეული მათგანი, ამისთანა საქმე რომ ჰქონდეს, თავის თავს დააფასებდა და დააკმაყოფილებდა, ქრისტე ღმერთო, გვედრები... მამა ღმერთს შეევედრე, რომ სანამდე იმდენ ოქროს რქოსან თეთრ ხარს მსხვერპლად არ შეგწირავენ, რამდენიც ციდან წვიმა ჩამოდის, ტყეს ფოთოლი ასხია, დედამიწიდან ბალახი ამოდის, ზღვაში ქვიშა არის, მანამდე საშველს ნუ



მისცემ საშვილიშვილოთ, უკუღმა ატარე ისინი და მათ ოჯახებში მყოფი ამოსწყვიტე და მათ ნამოსახლარზე „ცაგ ი მერხელ“, ეკალი და ჭინჭარი ამოიყვანე, ამოაგდეს ძირი მათი... პატიებაზე, შებრალებაზე მანამდე არ იფიქროთ, სანამ თორმეტი შენი მოციქული მწირველად არ იშოვონ, ყირიმიდან და იერუსალიმიდან მოტანილი ფქვილი სებისკვერად არ გამოგიცხონ, მის გამომცხოვრებლად ღვთისმშობელი არ იშოვონ, 12 ცხენის საპალნე კახური ღვინო ზედაშედ არ მოგიტანონ, ქელაფანისა და ავი ზნის მეტს სიკეთეს ნუ მისცენ, შვილების მაგიერად გველი და ბაყაყი აშობინე ქალებს მათ ოჯახებში“. ამის შემდეგ იღებს ქუდს, მიწაზე მოიქნევს და იტყვის: „ასე დაამზე მათი სახლ-კარი და ყოფა-ცხოვრება, თუ რომ უტოლოდ ჩამაგდონ, ხოლო თუ სამართლიანად მომექცენ, აბედნიერე, დალოცე და ამრავლე ჩემი მორევები“. ამის შემდეგ მედიატორთა უფროსი ტოლობის ფიცს უბრუნებს მოცემულ მხარეს: „ამ ხატის მადლმა (ხელი ხატს უნდა მოკიდოს), რაც ძალა და ღონე მაქვს, ჩემ ჭკუა-გონებას შეუძლია, თუ მეცადინი და მსურველი არ ვიყვე თქვენი საქმის სწორად გარჩევისა, „იერუ ფხულაშალ“ — ორი თითი რომ ჩემთვის ერთნაირი მნიშვნელობის არის, ისე ერთნაირად თქვენ არ ჩაგაგდოთ, ამისთანა საქმე რომ თავად მე მქონდეს, რითაც მე ჩემს გულს დაეაკმაყოფილებდი, იმისთანა განაჩენი შენთვისაც არ გამოვიტანო“. ამის შემდეგ მორევები რიგრიგობით იმეორებენ ამ სიტყვებს და იფიცებენ, როგორც პირველი დამფიცებელი, თან ხატს ემთხვევიან.<sup>1</sup> ასე რომ, ტოლობის ფიცს ყველა მორვეი წარმოთქვამს. შემდეგ მორევები მიდიან იმ ეკლესიაში, სადაც მათ ფარჯიანები ელოდებოდნენ. აქ ყველაფერი ისევე განმეორდა, როგორც გირგვლიანებთან.<sup>2</sup>

ეგ. გაბლიანის აღწერით, გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე ტოლობის ფიცის ცერემონიალი ჩატარდა მორევთა მიერ მხარეებისა და მოწმეების დაკითხვის შემდეგ, მანამ, სანამ ისინი განაჩენის დადგენაზე მსჯელობას დაიწყებდნენ. ამ შემთხვევაში „მეგარცამედ“ (ანუ „გარცამის“ წარმომთქმელად) მოგვევლინა მხარის გვარეულობაში ყველაზე მჭევრმეტყველი პიროვნება, ხოლო მორევებმა ცალ-ცალკე მისცეს ტოლობის ფიცი, სხვადასხვა ეკლესიაში და ამიტომ ორივე მხარის წარმომადგენელთაგან ცალ-ცალკე მოისმინეს „გარცამი“.

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 102-104.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 104.

რ. ხარაძის მიხედვით, მორევებს მათი არჩევის შემდეგ აფიცებენ ტოლობაზე მხარეები, მისი ინფორმაციითაც მხარეები ცალ-ცალკე აფიცებენ მორევებს. ჯერ მოკლულის ჭირისუფალი, ხოლო შემდეგ მკვლელის მხარე. დაფიცება ხდება იმ ეკლესიაში, რომელიც ხალხის რწმენით უფრო „ძლიერი“ იყო. მორევებს აფიცებდა ერთი რომელიმე საუკეთესოდ მოლაპარაკე პირი (რ. ხარაძე მას „მეგარცამეს“ უწოდებს). მოკლული მხარის „მეგარცამე“ შემდეგნაირად აფიცებდა მორევალს: „თქვე კარგო კაცებო, ახალგაზრდებო, მე დღეს ცუდ საქმეში ვარ ამ ჩემი უბედურებით, თუ თქვენ სწორად შეხედავთ (ამ საქმეს) და ტოლად ჩამაგდებთ, მაშინ შეგეწიოთ, თქვენ (რომ) დღეს ჩემ ადგილზე იყოთ, მაშინ, როგორც თქვენ დასჯერდებოდით, თუ მეც ისე არ დამაყენოთ, მაშინ რაც ძალა არსებობდეს ქვემოთ თოთანამდე, ზემოთ უშგულის ბოლომდე, ის გაგწყრომოდეთ თქვენ და თქვენს ლუკამისაცემთ, მოგვარებებს, როცა თქვენ მე ტოლად ჩამაგდოთ, მაშინ შეგეწიოთ“. მორევალი მოკლულის ნათესავებს, თავის მხრივ, უბრუნებდა ფიცს: „შე კარგო კაცო, თქვე კარგო ხალხო, დღეს მართალია, რომ თქვენ ძალიან საცოდავი ხალხი ხართ, ჩვენ რამდენადაც თქვენთან მონაწილეობა მივიღოთ სიმართლეზე, იმდენი შეგვეწიოს ჩვენ და ჩვენს ამხანაგებს, რამდენადაც თქვენი საქმის სწორად მოთავება გვინდოდეს, იმდენად შეგვეწიოს, თუ არა, როგორც შენ დაგვაფიცე, ისე უკან გვდიოს“ (ფიცმა). შემდეგ მკვლელის მხარე აფიცებდა მორევალს: „პე, ამას თქვენ გეუბნებით, რაც ჩემგან გადაუწყვიტეთ, ეს რომ თქვენ ყოფილიყავით, თქვენც ამას თუ არ შესდგომოდეთ და არ გადაგეხადოთ, გადაჭარბებულად არ მიგესაჯოთ, თქვენ ამაში გული შემითოლოთ, — მაშინ შეგეწიოთ ეს ეკლესია და თუ არა თქვენ ამას არ შესდგომოდეთ, აქედან დაწყებული გაგწყრომოდეთ ეს ეკლესია თქვენ და თქვენ შთამომავლობას, ამოეწყვიტოთ, თუ ჩემი ქონება თქვენ არ დაგენანათ, ასეთ დროსა და ასეთ გადასახადს თქვენც წააწყდეთ. ამ ფიცის მიძღვებლებმა გულალალად თუ ვერ მიიღოთ, გაგწყრომოდეთ თქვენ და თქვენს შთამომავლობას. ეს ეკლესია თქვენი ძირფესვიანად ამომგდები იყოს“. მკვლელის დაფიცებას მორევალი ასე უპასუხებს: „შენ ძლიერ გვეცოდები, დღეს, რაც საშუალება და ღონე გვექნება, არ დავზოგავთ, თუ არა მაშინ გაგწყრომოდეს, თუ არა და რაც ჩვენის შეტყობით სიმტკიცე გქვონდეს, ამდენად შეგვეწიოს ჩვენ და ჩვენს ამხანაგებს, ჩვენს მოდემას“.

რ. ხარაძის მიხედვით, ასე ხდებოდა მკვლელისა და მოკლულის

ნათესავეებისაგან მორვალის დაფიცება და ამ უკანასკნელთა მიერ მათთვის ფიცის დაბრუნება. თავისი მხრიდან მორვალის აფიცებდა მკვლელსა და მოკლულის ნათესავეებს, რომ ისინი მორვალის საბოლოო გადაწყვეტილებას დამორჩილებოდნენ: „ჰე, შენ (როგორც) დღეს შენი ფიცი ჩვენ მივიღეთ, ასე შენ ჩვენი განსჯილი გწყენოდეს თუ არა, ასეთივე სიერთგულე თუ არ ჩაიგდო გულში, მაშინ გაგიწყრეს შენ და შენს ლუკმა მისაცემს, ნათესაობა-შთამავლობას, თუ ამაში შენ უკან დაიხიო რაიმე საქმეში, მაშინ შენ, შენი საძმოს კაცებს, ბავშვებს და ქალებს ძირ-ფოთლიანად ამოგადგებთ ეს ლაგურკა, თქვენ ლუკმამისაცემს და წყლის დასალევინებელს“. ასე დააფიცებდა მორვალი როგორც მკვლელს, ისე მოკლულის ახლობლებს – ძმას ან მამას ან თვით მკვლელს. მორვალის ეს სიტყვები თავისი შინაარსით „გარცამს“ წარმოადგენს, რომელსაც მხარეები შესაბამისი ფიცით უპასუხებენ: „... მაშინ გამიწყრეს მე, ჩემს ნათესაობა-შთამომავლობას, ჩემს სახლსა და საცხოვრებელს, თუ როგორმე შესაძლებელი იქნება და არ შევუდგე თქვენს განაჩენს“.

რ. ხარაძის თქმით, ასეთი იყო ის წინასწარი ფიცი, რომელსაც დებდა როგორც მკვლელის, ისე მოკლულის მხარე. ფიცისათვის ეკლესიაში მთელი „ძირიშ მეხუბარარი“ (ახლო ბიძაშვილები) იკრიბებოდა, მოდიოდა ასევე „ლანბაშნაც“ (ქალის ხაზით ნათესავეები), ასე რომ, ეკლესიაში თავს იყრიდა ყველა ის პირი, ვისაც ერგებოდა სისხლის აღება ან ვისზედაც შეიძლებოდა ესისხლათ.<sup>1</sup>

რ. ხარაძე აღნიშნავს, რომ განაჩენის დადგენის შემდეგ, მის გამოცხადებამდე, მორვალი აფიცებდა ორივე მხარეს, რისთვისაც იკრიბებოდა მხარეთა სამხუბი და „ქასუიშინიბაშინი“. მორვალი ასეთი სიტყვებით აფიცებდა მხარეებს: „დიდება მოგესლოდეს და მადლი მოგესლოდეს მაცხოვარს ლატალისას! მაცხოვარო ლატალისაო, დღეს შენი შეწუხება გვაპატიე მომჩივან-მოსამართლეებს ყველას, აბა ენაშის მაცხოვარო, აქ მოსულნი ორი თემიდან (აქ სახელებს ჩამოთვლიან), თუ მაგათ (ეს) ფიცი ან გულში, ანდა სიტყვით შეაბრუნონ, მაშინ შეაბრუნე ისეთ ადგილისაკენ, რომ სიტყვის მოქმელად მოისპონ, თუ არ შემობრუნონ (ფიცი), მაშინ მათ მწყალობელი იყავი, დიდების შესაწირო მაცხოვარო ლატალისაო; დიდების შესაწირო, მომარჯვე უშგულსა და ლალავერს

<sup>1</sup> რხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 26-29.

შუა, რაც სალოცავი ბრძანდებოდა და რაც ღმერთი იხსენიება, ყველა, და თითო საშინელი ელდა ჩაეცი, მათ სათითაოდ საცხოვრებელი სამყოფი, ნათესაობა, ყველაფერი ბლომად მიეცი, შემდეგ კი მოჰყვი ნაპირიდან, (მთელი) საცხოვრებელი სამყოფი მტრის სასარგებლოდ გახადე; ნათესაობა მათ ყველას გაუწყვიტე, სათითაოდ ფეხის ტერფიდან თავამდე დააღპე, რაც კი რამ ცუდი იქნება, სათითაოდ ყველას გაჭირვება ანახვე, (როგორც) მარტის დარი და ავდარია ცვალებადი, ისე უცვლილდე, ყველას მის მოგვარებას ერთგული კაცი მოუსპე, მიწიდან ბალახი (რომ) ამოდის, ზეციდან (რომ) წვიმა მოდის, ამდენი ხარი და ვერძი თუ შემოგიძღვნან, მაინც ყველაფერი ბოროტად წარუმართე, ესენი თუ ერთმანეთის ერთგული არ გახდნენ, ღამით თუ დღით, დილით თუ საღამოთი, გზაზე თუ მგზავრობაში, — თვისით (თუ) სხვისით, გულში თუ გაიფიქრონ ერთიმეორის ცუდი, საქმით ან სიტყვით თუ ჩაიღინონ, მაშინ ეს ფიცი მათ მოსასპობად გადააქციე, ფიცის მიმცემად და ფიცის მიმღებად გაწყვიტე. თუ შეასრულონ და ბოლომდე ერთმანეთის ერთგული დარჩნენ, წარუმართე მარჯვენა და მარცხენა ყველაფერი, თუ არა მარცხნივ ატარე, ნათესაობა მემკვიდრეობით მოსპე.<sup>1</sup> ამ ფიცს რ.ხარაძე ერთგულების ფიცს უწოდებს, რომელიც შერიგებულ გვართა მომავალი სიმშვიდის საწინდრად იყო მიჩნეული.<sup>2</sup> ამ შემთხვევაში გარკვეულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. რ. ხარაძის მიერ მოტანილი ტექსტი, რომელსაც იგი „ერთგულების ფიცს“ უწოდებს, ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ უნდა დავეთანხმეთ მ. კეკელიას, რომელიც ამ ტექსტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იგი წარმოადგენდა „გარცამს“ ანუ ხატზე გადაცემით ფიცის მოთხოვნას. ამით მორვალის მეგარცამე მიმართავდა თავშეყრილ მოდავე მხარეებს. შემდეგ „ერთგულების ფიცს“ წარმოთქვამდნენ მოდავე მხარეები.<sup>3</sup> რ. ხარაძესთან კი ფიცის ფორმულა, რომელსაც მხარეები წარმოთქვამენ მორვალის „გარცამის“ საპასუხოდ, არ ჩანს. ასევე ცხადია, რომ რ.ხარაძის მიხედვით, მხარეთა ფიცი განაჩენის აღსრულებისა (ანუ განაჩენის ერთგულების ფიცი) და ერთმანეთის მიმართ ერთგულების შესახებ სასამართლო პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ცალ-ცალკე ტარდებოდა.

<sup>1</sup> რ. ხარაძე, იქვე, გვ 32-33.

<sup>2</sup> იქვე, გვ 33.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 165.

სვანეთში მოსამართლეთა და მხარეთა ფიცი, როგორც სასამართლო პროცესის შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, XX საუკუნის II ნახევრის ეთნოგრაფიული მასალითაც ძალზედ სრულყოფილი სახით ფიქსირდება.

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ამ საკითხზე დავით დავითო-ლიანი. მისი მონაცემები 60-70-იან წლებშია დაფიქსირებული. იგი თავის ნაშრომში ხაზს უსვამს ფიცის უდიდეს მნიშვნელობას სვანეთში. მისი განმარტებით, მართლიერების ანუ განმწმენდი, გამამართლებელი ფიცის („ლიმწოდალე მალვრა“) გარდა, სვანურ სასამართლო პროცესში გამოიყენება ტოლობისა („ტოლობა მალვრა“) და ერთგულების ფიცი („ნაერთგულები მალვრა“). პროცესში მონაწილე მხარეებს ერთგულებ-ის ფიცი აუცილებლად უნდა მიეღოთ განაჩენის გამოცხადებამდე, მოგ-ვარეების თანდასწრებით, ეკლესიაში.<sup>1</sup>

დ. დავითულიანი აღნიშნავს, რომ ადათის მიხედვით ფიცი სრულდე-ბოდა რელიგიური რიტუალის უაღრესი პუნქტუალობით. მხარეთა მიერ არჩეული მორევები ქუდმოხდილნი უნდა ჩამწკრივებულებიყვნენ ეკლესიის ეზოში. სასამართლო შემადგენლობიდან ასაკით უფროსი ეკლესიიდან გამოიტანდა ხატს, რომლის წინ ერთმანეთის პირისპირ მუხლმოყრით დგებოდნენ დაზარალებული და ბრალდებული. მხარეები ჯერ მედია-ტორებს მიაღებინებდნენ ტოლობისა და ობიექტური განაჩენის გამოტ-ანის ფიცს, ხოლო შემდეგ მორევებიდან ერთ-ერთი უფროსი დააფიცებდა ორივე მხარეს. თავის მხრივ მხარეები იღებდნენ აგრეთვე განაჩენის უყოყმანოდ შესრულების ფიცს.<sup>2</sup>

დ. დავითულიანი სხვა მკვლევარების მსგავსად, ასევე გვაწვდის მასალას დაფიცებათა სხვადასხვა სახის შესახებ. მათი შინაარსი დაახ-ლოებით ისეთივეა, როგორც სხვა ავტორებთან. დ. დავითულიანის მიხედ-ვით, დაზარალებული მხარე ჯერ მორევებს აფიცებს, რომლის წარმო-მადგენელი „გარცამს“ ეუბნება მორევებს (დ. დავითულიანს მოჰყავს „გარცამის“ ლენჯერული და უშგულური ვარიანტები). ისინი მოის-მენდნენ რა ხატის წინაშე დაზარალებულის „გარცამს“, წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის გამოტანის დაუშვებლობაზე, თავის მხრივ, თვითონაც ხატის წინაშე ფიცს დებდნენ იმის შესახებ, რომ საქმეზე

<sup>1</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ 49-50.

<sup>2</sup> იქვე, გვ 59.

მხოლოდ სიმართლით ემსჯელათ, რომ წინასწარი შეცნობით სამართალი არ გაემრუდებინათ (დ. დავითულიანს მოჰყავს მორევთა ტოლობის ფიცის ლენჯერული და უშგულური ვარიანტები). ამის შემდეგ მორევებს აფიცებდა დამნაშავე, ბრალდებული მხარე (ასევე ლენჯერული და უშგულური ვარიანტებია მოცემული). დამნაშავე მხარის „გარცამზე“ მორვალმა ფიცით უნდა უპასუხოს.<sup>1</sup>

მას შემდეგ, რაც მხარეები მორევებს მიაღებინებდნენ სწორი და მიუდგომელი განაჩენის გამოტანის ფიცს („ტოლობის ფიცს“), ამის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობა დამნაშავესა და დაზარალებულისაგან მოითხოვდა განაჩენის უსიტყვოდ შესრულების საგარანტიო ფიცს. მორევიდან უფროსი წარდგებოდა ხატის წინაშე და შესაბამისი „გარცამით“ მიმართავდა ორივე მხარეს მათი სახელების მოხსენიებით (აქაც ლენჯერული და უშგულური ვარიანტებია მოყვანილი). ლენჯერული ვარიანტის შინაარსი ასეთია: „ჰეი, თქვენ (სახელებით მიმართავდა დაზარალებულსა და დამნაშავეს)! დღეს, როგორც თქვენ გარცამზე ჩვენ შემოგფიცეთ, ასევე ჩვენ განაჩენს თუ არ დასჯერდით, გაგიწყრეთ ამ ხატის მადლი. დღეიდან თუ გულში არ ჩაიდვათ ერთმანეთის ერთგულება, მაშინ გაგიწყრეთ ეს ხატი თქვენ და თქვენ შთამომავლობას, ეს განაჩენი თუ რაიმეთი შეცვალოთ, მაშინ თქვენ და თქვენ შთამომავლობას, გვარიშვილობას, ქალსა და ბავშვს უკან გღვეთ ამის ძალა ისე, რომ ამბავის მთქმელად ამოგწყვიტონ. თუ შეასრულოთ მაშინ შეგეწიოთ“. დაახლოებით ასეთივეა უშგულური ვარიანტიც.<sup>2</sup>

დ. დავითულიანის განმარტებით, მორევი აღნიშნულ ფიცს წართქვამდნენ მხარეთა დაკითხვის დაწყებამდე. მორევის მიერ დადებულ ტოლობის ფიცს, რომლის ძალითაც მათ ობიექტური განაჩენი უნდა გამოეტანათ და მხარეთა მიერ დადებულ ფიცს, რომლის ძალითაც მათ განაჩენი უსიტყვოდ უნდა აღესრულებინათ, მკვლევარი წარმოაჩენს როგორც მორევებსა და მხარეებს შორის დადებულ თავისებურ რელიგიურ ხელშეკრულებას. დ. დავითულიანის მიხედვით, მხარეთა დაკითხვის, სამსჯავრო გამოძიების დამთავრების შემდეგ მორევი ისევ შეკრებდნენ მხარეებს და მათ უახლოეს ნათესავებს, მიიყვანდნენ ეკლესიაში, სადაც რელიგიური რიტუალის დაცვით მიაღებინებდნენ ერთ-

<sup>1</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ 64-79.

<sup>2</sup> იქვე, გვ 80-82.

მანეთისადმი ერთგულების ფიცს – „ნაერთგულები მალვრას“. მორევების უფროსი ასეთ გარცამს ეუბნება მხარეებს (ლენჯერული ვარიანტი): „დიდება შენდა მუხვარი ლენჯერის! დღეს შენი შეწუხება გვაპატიე გასასამართლებელს და გამსამართლებელს. მუხვარი ლენჯერის! თუ შენთან აქ მოყვანილი თემის კაცებმა წინასწარ გარდმოცემული გულით ან სიტყვით რაიმეში, შეაბრუნონ, მაშინ შეაბრუნე ისინი ისე, რომ ამბვის მომყოლად ამოწყვიტო! თუ არ შეაბრუნონ, მაშინ შეეწიე მათ დიდებულო მუხვარი! დიდებულო მუხვარი ლენჯერის! მოიხმარე უმგულისა და ლალვერს შორის რაც რამ სამლოცველოა და რაც კი რაიმე ღმერთი არსებობს, ამისი შეშლისათვის თვითუულად დააშინე, ჯერ ბლომად მიეცი ცხოვრება სახლ-კარი და შეილთაშვილი, შემდეგ მიყევი ნაპირიდან; სახლკარი მტრის სასარგებლოდ გაუხადე, ნათესაობა შემოალიე, თვითუულად გახრწნე ფეხის თითიდან თავამდე, ცუდი რაც რაიმე გამწესებულა თვითუულ მათგანს მოუკლინე. მარტის დარი ავღარივით ერთმანეთზე უცვალე ჭირი, მიწიდან რაც ბალახი ამოდის, ციდან რაც წვიმა და თოვლი მოდის, აძღენი ხარი და ცხვარიც რომ მოგიძღვნან, მაინც ცუდად წარუვლინე ყოველივე! ამათ თუ ერთმანეთის ერთგულება გულში არ ჩაიდევან, დღისით თუ ღამით, გზაში თუ კვალში, ერთმანეთის ცუდი გულში გაიკარონ ან ჩაიღინონ ფიქრით თუ საქმით, მაშინ ამ გარდაცემამ ამოწყვიტონ! ამოწყვიტე ორივე თუმი გასამართლებად და გამსამართლებლად! თუ ბოლომდე მიყვნენ ერთმანეთის სიერთგულეს, მაშინ ყველაფერი შეეწიოთ, თუ არა და უკულმა მარტო არონიე!“

ასე რომ, დ. დავითულიანის მიხედვით, „ერთგულების ფიცს“ (მხედველობაშია ერთმანეთის მიმართ ერთგულების ფიცი) მხარეები წარმოთქვამენ სამსჯავრო გამოძიების, მხარეების დაკითხვის დასრულების შემდეგ, თანაც მკვლევარი აქ იმავე უზუსტობას იჩენს, რასაც რ. ხარაძესთან აქვს ადგილი. დ. დავითულიანს მოჰყავს მხოლოდ „გარცამი“, რომლითაც ერთ-ერთი მედიატორთგანი მიმართავდა მხარეებს. აი, ამ „გარცამის“ საპასუხოდ წარმოთქმული მხარეთა ფიცია ერთგულების ფიცი. მაგრამ დ. დავითულიანთანაც მხარეთა მიერ წარმოთქმული „გარცამის“ საპასუხოდ ფიცი არ არის მოცემული (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთმანეთისადმი ერთგულების ელემენტს მხარეთა ის ფიციც მოიცავს, რომელსაც ისინი წარმოთქვამენ მხარეთა დაკითხვამდე და რითაც გან-

<sup>1</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ 83-87.

აჩენის უსიტყვოდ აღსრულებას აღუთქვამენ მორევებს). აღსანიშნავია ისიც, რომ დ. დავითულიანთანაც მხარეები ერთმანეთის ერთგულებაზე ცალკე იფიცებიან, ხოლო განაჩენს უსიტყვოდ რომ აღასრულებენ – ცალკე, ისე როგორც ეს რ. სარაძესთანაა.

ა. წულუკიანის მიხედვითაც, მედიატორები და მხარეები საქმის გარჩევის დაწყებამდე ერთად უნდა წასულიყვნენ ეკლესიაში ხატზე დასაფიცებლად. მხარეები ვალდებული იყვნენ დაეფიცათ ხატზე, რომ მედიატორების მიერ გამოტანილ განაჩენს უყოყმანოდ დამორჩილებოდნენ, მედიატორები კი, თავის მხრივ, ხატზე იმასაც იფიცებდნენ, რომ ობიექტურად გადაწყვეტიდნენ საქმეს და ისევე მიუდგებოდნენ სადავო საკითხს, როგორც დავას საკუთარ შვილებს შორის. ასე რომ, ამ შემთხვევაში ორი სახის ფიცის მიღება ხდება ეკლესიაში: 1. მორვარების ფიცი, რომ სამართლიანობის საფუძველზე გადაჭრიან საქმეს; 2. მხარეების ფიცი, აღიარონ სიმართლე და უყოყმანოდ დაემორჩილნენ გამოტანილ განაჩენს. ამ რიტუალს წინ უძღვის „გარცამი“, რომელსაც ერთ-ერთი ნეიტრალური პირი წარმოთქვამდა (მღვდელი ან ის, ვისთანაც ეკლესიის გასაღები ინახება). გარცამის წარმოთქმის შემდეგ მედიატორები რიგრიგობით მიდიან ხატთან, ხელს ჰკიდებენ და წარმოთქვამენ: „ეფიცავთ, რამდენადაც მივხვდებით ჭეშმარიტ სიმართლეზე გავივლით“.<sup>1</sup>

ა. წულუკიანის მიხედვითაც მხარეთა „ერთგულების ფიცი“ განაჩენის დადგენის შემდეგ და მის გამოტანამდე იღება. ამისათვის ეკლესიაში ცხადდება მხარეთა ოჯახების ყველა მამაკაცი 17 წლის ზევით, ასევე მათი საგვარეულოს ყველა ოჯახის თითო მამაკაცი. ეკლესიაში შესვლამდე ყველა უნდა განიარაღებულიყო. ეკლესიის კარს შიგნით ორივე მხარეს ჩამწკრივებული მხარეები, მათი წარმომადგენლები ისმენდნენ „გარცამს“, რომელსაც წარმოთქვამდა ეკლესიის მესვეური. იგი მორვარებს მიმართავდა: „ღვთის გაჩენილნო კაცნო, თქვენ მოგეცათ განსასჯელად (მხარეებს დაასახელებს) საქმე, რომლის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, თქვენვე ფეხს ჩადგამთ იმ დიდ მადლში, რომელიც მოდაეუებს შევბას მოუტანს. თუ თქვენ მიკერძობებით გადაწყვიტეთ საქმე, შეგაჩვენოთ სევანეთის სალოცავენბმა, ნუ გელირსებათ ნაკურთხ მიწაზე დასაფლავება“ და ა.შ. მორვარები სათითაოდ მიდიან, ხელს

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62-63.



კვილებენ ხატს და წარმოთქვამენ: „ამენ! ვფიცავთ, რაც შეგვეძლო, სწორად განვსაჯეთ!“. იგივე პირი მხარეებს მიუბრუნდება: „თუ რომელიმე თქვენგანმა ნაფიცო საჯერო მორვარების გაჩენილი სამართალი არ ჩათვალთ საკადრისად და არ შეასრულთ ისე, როგორც ისინი მოგახსენებენ, თქვენ და თქვენს მომავალს ავისა და ფათურაკის მეტი არაფერი გღირსებოდეთ“. მხარეები იმავე წესით ეთანხმებიან „გარცამს“ და მორვარებს მიჰყავთ ისინი ერთიმეორესთან, ხელს ჩამოართმევენ და იწყება თანასწორობით ფიცის მიღება. ფიცის მიღება გამოიხატება შემდეგში: დამნაშავე პირი და მისი სახლობა გვარის წევრებითურთ შეპფიცავენ დაზარალებულ მხარეს, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში თვითონაც შეურიგდებოდნენ და არც მიაჩნიათ დაზარალებული დამცირებულად. ამის შემდეგ დაზარალებული მოვალეა დაიჭიროს ხელში ხატი და დაიფიცოს, რომ თვითონ, მისი სახლი და შთამომავლობა არასოდეს არ უხსენებს ამ საქმეს, ხოლო თუ მეორე მხარე ერთგული იქნება, თვითონაც უერთგულებს. თავის მხრივ, დამნაშავე მხარეც შეეფიცება ერთგულებაზე და ამით მთავრდება ეკლესიაში ჩასატარებელი პროცესი.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ა. წულუკიანის მიხედვით ერთგულების ფიცს, რომელიც ტარდებოდა განაჩენის გამოცხადებამდე, წინ უძღვის მორვეების ფიცი შესაბამისი გარცამის შემდეგ, სადაც ისინი აცხადებენ, რომ სამართლიანად გადაწყვიტეს საქმე, ხოლო მხარეები დებენ ფიცს, რომ დაემორჩილებიან განაჩენს. ამ ორი სახის ფიცს ა. წულუკიანის მიხედვით, მორვეები და მხარეები მხარეთა დაკითხვამდე წარმოთქვამენ და არა გვეგონია აუცილებელი ყოფილიყო მათი ხელმეორედ განმეორება (ეს ორი ფიცი სხვადასხვა საქმეზე, სხვადასხვა თემში შეიძლება პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ჩატარდეს და ერთი საქმის ფარგლებში სხვადასხვა საქმეზე არსებული მონაცემების გაერთიანება სწორი არ არის). ასევე ისიც უნდა ითქვას, რომ ა. წულუკიანის მიხედვით, როდესაც მხარეები საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე იფიცებენ იმას, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებიან განაჩენს, ამავე დროს, იფიცებენ იმასაც, რომ ჩვენების მიცემისას სიმართლეს იტყვიან. ეს პრინციპში ფიცის განსხვავებული სახეა (ერთია დაფიცება იმაზე, რომ სიმართლეს იტყვი და მეორეა, რომ დაემორჩილები განაჩენს). ა. წულუკიანთან კი ეს ორი ფიცი გაერთიანებულია და ერთი ფიცის ორი კომპონენტია. ეს ორივე

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

ასპექტი ერთი დაფიცების ფარგლებში წარმოითქმის. დაფიცების სხვადასხვა სახეთა ერთ ფიცში გაერთიანება სევანური ჩვეულებითი სამართლისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ყველაზე უფრო სრულყოფილ და ამომწურავ ინფორმაციას ფიცის შესახებ სევანურ ჩვეულებით სამართალში (მხედველობაშია ფიცი, როგორც სასამართლო წარმოების ელემენტი და არა როგორც მტკიცებულება) გვაწვდის მიხეილ კეკელია. მან აღნიშნულ საკითხს სპეციალური ნაშრომიც კი მიუძღვნა.<sup>1</sup> მ. კეკელიას მიერ შეგროვილმა ძალზედ სრულყოფილმა მასალამ ბაღს ზემო სევანეთის უმრავლეს თემებში, საშუალება მისცა მას დაენახა, რომ ტოლობისა და ერთგულების ფიცი, აგრეთვე ფიცის სხვა სახეები, შესაძლოა სხვადასხვა თემში პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ჩატარებულყო, იგივე ერთსა და იმავე თემშიც კი ხდებოდა. სხვადასხვა შემთხვევაში, თვით ფიცის ჩატარებაც კი განსხვავებული ჩანს.

მაგალითად, ერთ-ერთი მორევი ლატალიდან ამბობს, რომ ოჯახებში სარჩელების მოსმენის შემდეგ მორვალი მოდავე მხარეებს იმ ადგილობრივ ეკლესიაში იბარებდა, რომლის ხატიც ყველაზე ძლიერად ითვლებოდა. ისინი ეკლესიაში მისვლისას მწკრივად დგებიან, სადაც დაზარალებულის „მეგარცამე“, რომელიც დაზარალებულის ახლობელია, იჩოქებს ხატის წინ და წარმოთქვამს გარცამს, რის შემდეგაც მორევი სათითაოდ მიდიან ხატთან, ჰკიდებენ მას ხელს და ეთანხმებიან „გარცამს“. შემდეგ დამნაშავეს „მეგარცამე“ აფიცებს მორევის. როცა მხარეები ამთავრებენ მორევის დაფიცებას, ახლა უკვე მორევის „მეგარცამე“ მიდის ხატთან და „გარცამს“ ეუბნება მხარეებს, რომ თუ მიღებული გადაწყვეტილების ერთგულები არ იქნებიან, წყველიმც იყვნენ. დანარჩენი მორევი იძახიან: „ამინ! მორვალის „მეგარცამე“ ორივე მხარეს ერთად აფიცებს, როცა იგი გარცამს მორჩება, ხატთან ჯერ დაზარალებულები მიდიან, თითოეული ხელს ჰკიდებს მას და ამბობს: „ვიდრე არ მისაყვედურებენ, განაჩენის ერთგული ვიქნები, მაგრამ თუ ჩემი ყურით გავიგონე საყვედური: „ხომ გისიხლეთ, მაგრამ შეგირიგეთ, ფიცის გამტეხი ვარ“. ამასვე იმეორებენ დაზარალებულები.<sup>2</sup> მ. კეკელიას სხვა ლატალელი ინფორმატორი კი განსხვავებულ ცნობას იძლე-

<sup>1</sup> იხ. მ. კეკელია, ფიცი სევანეთის ჩვეულებით სამართალში, „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, III, გვ. 134-169.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 143-144.

ევა: „წინაღ... ვიდრე ოჯახში ჩავიდოდა მორვალი, მანამდე მიდიან ეკლესიაზე, სადაც მოდავე მხარეებს აფიცებდნენ სწორი ჩვენების მიცემაზე, მხარეები კი თავის მხრივ ტოლობაზე აფიცებდნენ მორვალს.. შემდეგ ჩადიოდნენ ოჯახებში სარჩელის მოსასმენად, აქედან კი განაჩენის გამოსატანად წავიდოდნენ, როცა დაადგენდნენ მას, შემდეგ მხარეებს ისევ იბარებდნენ ეკლესიაში, სადაც ახლა მორვალი აფიცებდა მათ ნამორავის (განაჩენის – გ.დ.) და ერთმანეთის ერთგულებაზე“. მომდევნო ხანებში ეს წესი შეცვლილა და ახლა მორვალსა და მხარეებს შორის ფიცი, ძირითადად, „ნამორავის“ გამოტანის შემდეგ ტარდება – ჯერ მხარეები თავიანთი „გარცამით“ მორვალს დააფიცებენ ტოლობაზე, შემდეგ კი, პირიქით, მორვალი ეუბნება „გარცამს“ მხარეებს და ისინიც იფიცებენ ერთმანეთისა და განაჩენის ერთგულებაზე.<sup>1</sup>

მესტიის კი მკვლელობის საქმეზე, როგორც მ. კეკელიას ინფორმატორი მოგვითხრობს, დაფიცება განაჩენის დადგენის შემდეგ ხდება, ჯერ, დაზარალებულის მეგარცამე (რომელიც შეიძლება ნათესავი იყოს, ან სულ გარეშე პირი) ტოლობაზე აფიცებს მორევებს. მორევების „მეგარცამე“ კი უბრუნებს ტოლობის ფიცს დაზარალებულს და „გარცამს“ მათთან ერთად სხვა მელიატორებიც ეთანხმებიან, ასევე აფიცებს მორევებს დამნაშავეს „მეგარცამეც“, შემდეგ მორევების „მეგარცამე“ აფიცებს ორივე მხარეს ერთად როგორც ნამორავის, ისე ერთმანეთის ერთგულებაზე, რის შემდეგაც მასთან მიდიან ცალ-ცალკე დაზარალებულისა და დამნაშავეს მხარის წარმომადგენლები, ართმევენ ხელს და ეუბნებიან: „თანახმანი ვართ გარცამისა“. დაზარალებულმა დამატებით უნდა თქვას: „თანახმა და ერთგული ვარ გარცამის მანამდის, ვიდრე დამნაშავე და მისი ახლობლები ცუდს არ გამაგონებენ შერიგების გამო, ხომ უსისხლეთ, მოგირიგდითო.“<sup>2</sup>

მესტიელ ინფორმატორთა მეორე ნაწილის გადმოცემით კი მოდავე მხარეები ოჯახებში „სარჩელების“ მოსმენის შემდეგ აფიცებენ მორვალს ტოლობაზე, ხოლო მორვალი, თავის მხრივ, მხარეებს განაჩენისა და ერთმანეთის ერთგულებაზე, განაჩენის დადგენის შემდეგ მის გამოცხადებამდე აფიცებს.<sup>3</sup> მულახში მიღებული წესით, ტოლობაზე, ასევე

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 145.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 144-145.

განაჩენისა და ერთმანეთის ერთგულებაზე ფიცი იღება განაჩენის დადგენის შემდეგ.<sup>1</sup> იგივე ფიქსირდება პადიშშიც. აქ მორევები და მხარეები არ ეხებიან ხატს ფიცის დროს.<sup>2</sup> მ. კეკელიას კალელი ინფორმატორიც ადასტურებს, რომ მორევებმა კონკრეტულ საქმეზე (მძიმე დაჭრის საქმე) განაჩენის დადგენის შემდეგ, მხარეები ეკლესიაში დაიბარეს. ისინი აქეთიქით გამწკრივდნენ, ხოლო მორევები შუაში დადგნენ. ყარაული შევიდა ეკლესიაში (მხოლოდ ის) და გამოიტანა ხატი, წინ წამოდგა დაზარალებულის მამა, და სათითაოდ ჩამოთვალა მორევების გვარ-სახელები და წარმოთქვა „გარცამი“ მორევების მიმართ, რაზედაც მორევებმა უპასუხეს ტოლობის ფიცით. ასევე დააფიცა მორევები დამნაშავეის მამამ. ამის შემდეგ მორევების „მეგარცამე“ აფიცებს მხარეებს, მათ „გარცამს“ ეუბნება ერთ-ერთი კარგი მოლაპარაკე მორევთაგანი (წინასწარი შეთანხმებით) და ორივე მხარის გასაგონად იწყებს „გარცამს“, რასაც ამინით უდასტურებენ სხვა მორევები. შემდეგ მხარეები წარმოთქვამენ ერთგულების ფიცს როგორც განაჩენის, ისე ერთმანეთის ერთგულებაზე. მხოლოდ დაზარალებული ამატებს: „შერიგებული ვიქნებით და ერთგულნი განაჩენის იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი ყურით არ გავიგონებთ საყვედურს და დაცინვას ამ შერიგების თაობაზე“. ფიცის ცერემონიის დამთავრების შემდეგ მორევებიცა და მხარეებიც სათითაოდ ჰკოცნიან ხატს.<sup>3</sup> მ. კეკელიას იგივე კალელი ინფორმატორი სხვა საქმესთან დაკავშირებითაც აღწერს ფიცის რიტუალს, რომელიც ასევე განაჩენის გამოტანის შემდეგ, მის გამოცხადებამდე ჩატარდა. ხატი აქაც ყარაულმა გამოიტანა (სხვა ვინმე არ შეჰყოლია გამოსატანად) და პირველად დაზარალებულის ძმამ დააფიცა მორევები, მისი „გარცამის“ საპასუხოდ მორევებმა თქვეს: „ამინ“ და შეჰფიცეს მას ტოლობაზე ანუ ტოლობა დაუბრუნეს, შემდეგ დამნაშავე მხარემ ჩამოართვა ტოლობის ფიცი მორევებს. მას კი მოჰყვა მორევების მიერ მხარეთა დაფიცება. ბოლოს კი დაზარალებულმა განაცხადა: „ვიდრე აქეთ არ დაგვაყვედრიან შერიგებას, შერიგებულები ვართ, ერთგული ვიქნებით განაჩენის და მაგათი; მაგრამ თუ წამომამახეს: „ხომ შეგირიგეთ, გვაპატიოს წმინდა კვირიკემ ფიცის გატეხვა“! იქვე ითქვა: „შერიგებაზე დაძრახვა“ არ დავიჯეროთ სხვისი ნათქვამით, ვიდრე ჩვენი ყურით არ გავიგონებთ ასეთს“.<sup>4</sup> აღნიშ-

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ, გვ. 146.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 147-148.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 149-150.

ნულის შემდეგ ხატს არ შეხებიან, არც უკოცნიათ.

უშუალოდ განაჩენის დაღვინის შემდეგ ეკლესიაში იბარებენ მხარეებს. „გარცამის“ შემდეგ, ჩვეულებრივ, მორევები იძლევიან ტოლობის ფიცს. ამ ფიცის მიცემისას მედიატორთა უფროსი წარმოთქვამს ფიცის ფორმულას და ამის შემდეგ მორევები სათითაოდ იმეორებენ მის ნათქვამს. მორევების შემდეგ ლუფხვილებს აფიცებს დაზარალებულის „მეგარცამე“. ლუფხვილებიც ისევე იფიცებენ მხოლოდ დაზარალებულის წინაშე, როგორც მორევები ორივე მხარის წინაშე. აღნიშნულის შემდეგ მორევები აფიცებენ მხარეებს. მორევების „მეგარცამე“ ორივე მხარისათვის წარმოთქვამს „გარცამის“ სიტყვებს და აფიცებს მხარეებს განაჩენისა და ერთმანეთის ერთგულებაზე. როცა იგი დაფიცებას მორჩება, მხარეები იძლევიან ერთგულების ფიცს (როგორც ერთმანეთის, ისე განაჩენის). დაზარალებული დამნაშავეისაგან განსხვავებით უმატებს: „ნამორავის ერთგული ვიქნები მანამდე, სანამ თვითონ დამნაშავე და მისი ნათესავები გასაგონად არ წამოგეძახებენ მორიგებით საქმის დამთავრებას, თუ წამოგეძახეს ვისისხლებთ“,<sup>1</sup> მ. კეკელიას ერთ-ერთი უშუალოდ ინფორმატორი მძიმე დაჭრის საქმეზე დაფიცების ცერემონიალს აღწერს ზოგიერთი განსხვავებული ნიუანსით: მორვალმა განაჩენის დაღვინის შემდეგ ეკლესიაში დაიბარა მხარეები, ინფორმატორი, რომელიც მორვად იყო მოცემულ საქმეზე ყვება: „ეკლესიის ეზოში ჩვენი მისვლისთანავე, მხარეებიდან თითო-თითო არჩეული კაცი (რომლებმაც უნდა დაგვაფიცონ ჩვენ), ყარაულთან ერთად შევიდნენ ეკლესიაში, გალავანში გამოიტანეს ხატი და მიგვიწვიეს ჩვენც (როცა მსუბუქი ხასიათის საქმეა, მაშინ გალავნის გარეთ დაფიცება ხდება). მივედით რა ხატთან ახლოს, ქუდები მოვიხადეთ. დაზარალებულის მიერ არჩეულმა კაცმა... ხატით ხელში სათითაოდ ჩამოუარა ყველა მორვეს და სათითაოდ უთხრა გარცამი: — მე ასე მითხრა, მაგალითად: „ონისიძე ნიუარაძე! შენ აგირჩიეთ ჩვენ მორვეად, თუ შენ ისე მიგვიჩინო, თითქოს საკუთარ თავზე მოგხდომოდეს ასეთი და ისე გაგერჩიოს როგორც საკუთარ თავისათვის ისურვებდი, შეგეწიოს ეს ხატი; და თუ ოდნავ უსამართლოდ გადახრილიყო რომელიმე მხარეზე და დაგეკარგოს ჩვენი სიმართლე: თქვენ, თქვენი შვილი, შვილთაშვილი... დაწყველილი და შეჩვენებული იყოს“. ამ სიტყვების (გარცამის) მოსმენის შემდეგ მე ვუპასუხე: „მე რაც

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ. გვ. 150-151.

შემეძლო, ჩემმა გონებამ რაც შესძლო, როგორც ჩემს საკუთარ თავზე ისე განესაჯე ეს საქმე, როგორც მე ვიყო მართალი და მიუმზრობელი, ისე შემეწიოს ეს ხატი“ – და ვაკოცე ხატს. ასე გაიმეორა მან ყველა მორევის მიმართ და ჩემებრ უპასუხეს ყველა მორეესაც. შემდეგ მოდის დამნაშავეის „დამფიცებელი“ და ახლა იგი მიგვაღებინეს სათითაოდ გარცამს, ხდება ისიც, რომ ცალ-ცალკე კი არა, ერთად გვაფიცებენ ყველას და ცალ-ცალკე მხოლოდ „ამინს“ ვეუბნებით და ვკოცნით ხატს. როცა მორჩა მხარეების მიერ ჩვენი დაფიცება, ახლა ჩვენმა წარმომადგენელმა... აილო ხატი, მივიდა დაზარალებულთან და ართმევს ერთგულების ფიცს“.<sup>1</sup> დაზარალებული აქაც უმატებს ერთგულების ფიცს: „ერთგული ვიქნები თუ დამნაშავე და მისი ოჯახის წევრები, ან ახლო ნათესავები არ წამომძახებენ შერიგების შესახებ ხომ დაგჭვრით, მაგრამ უსისხლოთ შევრიგდით“. ბოლოს კიდევ ერთხელ დააფიცეს მორევებმა მხარეები: „ჩვენი გასამართლებული („ნამორევი“), რასაც გაკისრებთ გადამხდელმა გადაიხადოს დათქმულ ვადაში, ხოლო მიმღებმა, მიიღოს“. ამის საპასუხო ფიცი ასეთი იყო: „თქვენ როგორ განაჩენსაც გამოიტანთ, ისე შევასრულებთ“.<sup>2</sup>

ჩვენ ზოგადად მოვიყვანეთ მკვლევართა ცნობები ფიცის, როგორც სასამართლო პროცესის შემადგენელი ელემენტის შესახებ სევანურ ჩვეულებით სამართალში. ამ მასალის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე საკითხი და ცალ-ცალკე განვიხილოთ ისინი.

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ის, თუ სასამართლო პროცესის რომელ სტადიაზე ტარდება ამა თუ იმ სახეობის ფიცის ცერემონიალი და რა თანამიმდევრობით.

მკვლევრები საკმაოდ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მათგანი ამტკიცებს, რომ პირველი დაფიცება ხდება სასამართლო პროცესის დაწყებამდე, კერძოდ, ეგ. გაბლიანის თქმით, მხარეთა ფიცი, რომლითაც ისინი უსიტყვოდ დაემორჩილებიან მორევების მიერ გამოტანილ განაჩენს, იდება მხარეთა დაკითხვის დაწყებამდე. ა. სტოიანოვიც და მ. კოვალევსკიც იგივეს ადასტურებენ, ხოლო რ. ზარაძე, დ. დავითულიანი და ა. წულუკიანი პროცესის ამ სტადიაზე მოიაზრებენ ტოლობისა და მხარეთა მიერ განაჩენის უსიტყვოდ აღსრულების ფიცის ჩატარებას.

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 151-152.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 152.

ეგ. გაბლიანის მიხედვით, ტოლობის ფიცი კონკრეტულ საქმეზე, რომელზეც იგი მოგვითხრობს, ჩატარდა მხარეთა დაკითხვის საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურის დამთავრების შემდეგ. რაც შეეხება ერთგულების, ფიცს, მკვლევართა უმრავლესობის მითითებით, მისი დადება მხარეთა მიერ ხდება განაჩენის დადგენის შემდეგ, მის გამოცხადებამდე. მხედველობაშია მხარეთა ფიცი ერთგულების შესახებ (ბ. ნიჟარაძე, რ. ხარაძე, დ. დავითულიანი, ა. წულუკიანი, მ. კეკელია). ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ამავე სტადიაზე იდება ტოლობის ფიციც. მ. კეკელიას ინფორმაციით უმრავლესობა ასევე ამტკიცებს, რომ ტოლობის ფიცი წარმოითქმის სწორედ განაჩენის გამოტანის შემდეგ. მ. კეკელიას მიხედვით, ერთგულების ფიცში მოიაზრება განაჩენის უსიტყვოდ აღსრულებაზე დადებული ფიციც, ე. ი. ერთგულების ფიცი გულისხმობს მხარეთა მიერ ერთმანეთისა და განაჩენის მიმართ ერთგულების ფიცს. დ. ბაქრაძეც მიუთითებს, რომ მხარეების ფიცი განაჩენის უსიტყვოდ აღსრულებაზე სწორედ ამ სტადიაზე წარმოითქმის. ასე რომ, მკვლევართა მითითებით, დაფიცება შეიძლება ჩატარდეს სასამართლო პროცესის თითქმის ყველა სტადიაზე: 1. უშუალოდ სასამართლო პროცესის დაწყებამდე, სანამ მედიატორები შეუდგებიან მხარეთა დაკითხვას, ე. ი. საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე; 2. მხარეთა დაკითხვის შემდეგ, მანამ, სანამ მედიატორები განაჩენის დადგენის შესახებ მსჯელობას დაიწყებენ; 3. განაჩენის გამოტანის, დადგენის შემდეგ, მის გამოცხადებამდე. ეს გარემოება მიუთითებს, რომ ჩვეულებითი სამართლით არ იყო ზუსტად განსაზღვრული, თუ სასამართლო პროცესის რომელ სტადიაზე უნდა ჩატარებულიყო ამა თუ იმ სახის ფიცის რიტუალი. კატეგორიული მტკიცება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ფიცი, მაინცდამაინც პროცესის რომელიმე კონკრეტულ სტადიაზე უნდა ჩატარდეს, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. კონკრეტულ საქმეზე ამა თუ იმ სახის ფიცი შესაძლოა, ჩატარებულიყო პროცესის საწყის სტადიაზე, სხვა საქმეზე (სხვა თემში) – განაჩენის გამოცხადების წინ. არ შეიძლება ერთ თემში არსებული წესი გავრცელდეს ბალს ზემო სვანეთის სხვა თემებზე. ასევე, შეუძლებელია, ერთ კონკრეტულ საქმეზე ჩატარებული დაკვირვების შედეგი გაავრცელოთ თუნდაც სვანეთის რომელიმე თემზე და მით უმეტეს მთელ სვანეთზე. მაგალითად, რ. ხარაძის ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ლატალის თემში მოპოვებულ მონაცემებზეა აგებული, დ. დავითულიანის, როგორც ჩანს, – ლენჯერსა

და უშგულში ჩაწერილ მასალებზე, ეგ. გაბლიანი ლატალში ჩატარებულ პროცესზე საუბრობს. ერთადერთი მ. კეკელიას ინფორმაცია მოიცავს ბაღს ზემო სვანეთის თითქმის ყველა თემში შეკრებილ შესაბამის მასალას და, აქედან გამომდინარე, მისეული ანალიზი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ყველაზე სრულყოფილია (ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ არ მიუთითებს, თუ რომელ თემში დაფიქსირებულ მასალას ეყრდნობა და სრულიად შესაძლებელია, რომ ისინი ერთ კონკრეტულ საქმეზე მიღებულ ცნობებს მთელ სვანეთზე ავრცელებენ). ცხადია, მხოლოდ ლატალში, ლენჯერში მიღებული წესი არ შეიძლება გავრცელდეს ბაღს ზემო სვანეთის სხვა თემებზე. ჩვეულებითი სამართლის პარტიკულარიზმი, ნაკლებრეგლამენტირებულობა, არსებული წესების არაერთგვაროვნების განმაპირობებელია სხვადასხვა თემში და, თუნდაც ერთსა და იმავე თემში სხვადასხვა დროს, თუ სხვადასხვა საქმეზე.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე სრულყოფილ სურათს მ. კეკელიას მასალები იძლევა. მისი მასალებითაც დასტურდება, რომ მედიატორთა ტოლობის ფიცი, შესაძლოა, ჩატარებულყოფილ მხარეთა დაკითხვამდე, როგორც ეს რ. ხარაძესთან, დ. დავითულიანთან, მ. კოვალევსკისთან და ა. წულუკიანთანაა მოცემული. იმავე სტადიაზე მ. კეკელიას მასალების მიხედვით, შესაძლოა, მხარეები დააფიცონ იმაზე, რომ სწორ ჩვენებას მისცემენ. ერთგულების ფიცს კი იძლევიან განაჩენის დადგენის შემდეგ. მედიატორთა ტოლობისა და, ასევე მხარეთა ფიცი, რომ უსიტყვოდ შეასრულებენ განაჩენს, ზოგიერთ შემთხვევაში ხდება მხარეთა დაკითხვის შემდეგაც, ე. ი. განაჩენის გამოტანაზე მსჯელობის დაწყებამდე. მ. კეკელიას ცნობები ადასტურებს რ. ხარაძის, დ. დავითულიანის მონაცემთა სისწორეს, თუმცა, ძირითადად, ლატალისა და მისი მომიჯნავე ლენჯერის თემთან დაკავშირებით მ. კეკელიას ლატალელი ინფორმატორების შესაბამისი ცნობები ჩვენ უკვე მოვიყვანეთ. მ. კეკელია საკუთარ მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ლატალის მსგავსად, ლენჯერშიც არ იყო გამორიცხული ფიცის სხვადასხვა სახეების გამოყენება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. ფიცის ცერემონიალები ლენჯერში შემდეგი თანამიმდევრობით შეიძლება ჩატარებულიყო: „სანამ საქმის გარკვევას შეუდგებოდნენ, მორევები მანამდე აფიცებდნენ ხატზე ორივე მხარეს, რომ მათ ყველაფერი სწორი ეთქვათ და ელიარებინათ მორვალის წინაშე, ხოლო მხარეები აფიცებდნენ მორევებს მაშინ, როდესაც მხარეები დაკითხული ჰყავდათ და განაჩენის გამოსატანად მიდოდ-



ნენ; ისინი აფიცებდნენ იმაზე, რომ მორევებს სწორად ემსჯელათ და სწორი განაჩენი გამოეტანათ, ხოლო როცა მორევები განაჩენს გამოიტანდნენ, მანამდე, სანამ მხარეებს თავის განაჩენს გააცნობდნენ, დააფიცებდნენ, რომ ისინი ყოფილიყვნენ მათი (განაჩენის) დამჯერნი და ურთიერთ შორის ყოფილიყვნენ ამის შემდგომ კარგ დამოკიდებულებაში<sup>1</sup>. ე. ი. მხარეთა ფიცი, რომ სიმართლეს იტყვიან, შეიძლება დადებულიყო მხარეთა დაფიცებამდე, ტოლობის ფიცი — მხარეთა დაკითხვის შემდეგ, ხოლო ერთგულების ფიცი — განაჩენის გამოტანის შემდეგ მის გამოცხადებამდე.

ამრიგად, ლატალსა და ლენჯერში, მასალების მიხედვით, სხვადასხვა სახის ფიცის რიტუალები სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება ჩატარდეს. კერძოდ, მედიატორთა ტოლობისა და მხარეთა ფიცი, რომ უცილობლად შეასრულებდნენ განაჩენს, შესაძლოა, ჩატარებულიყო პროცესის საწყის სტადიაზე. ამავე სტადიაზე ლატალ-ლენჯერში მხარეებს იმაზეც აფიცებდნენ, რომ სწორი ჩვენება მიეცათ მოსამართლეთათვის. აღსანიშნავია, რომ ფიცის ეს უკანასკნელი სახეობა მ. კეკელიას გარდა, ჩანს მხოლოდ ა. წულუკიანთან, რომლის მიხედვითაც იგი მხარეთა დაკითხვამდე იდება და გაერთიანებულია სხვა ფიცთან; კერძოდ, ა. წულუკიანის მიხედვით, პროცესის დაწყებამდე მხარეები იფიცებენ, რომ აღიარებენ სიმართლეს და უყოყმანოდ დაემორჩილებიან მედიატორთა მიერ გამოტანილ განაჩენს. იმავე თემებში მორევთა ტოლობისა და მხარეთა ერთგულების ფიცი, შეიძლება, შესრულებულიყო მხარეთა დაკითხვის შემდეგ, როდესაც მორევები ოჯახებში სარჩელების მოსმენას დაამთავრებდნენ (მორევთა ტოლობის ფიცი ამ სტადიაზე ეგ. გაბლიანთანაც ჩანს). უფრო ხშირად კი, ერთგულების ფიცი იდება განაჩენის გამოტანის შემდეგ, მის გამოცხადებამდე. ასეთი უნდა იყოს ორ თემში არსებული ტრადიციული წესი, რომლის განვრცობაც სხვა თემებზე არ არის მიზანშეწონილი.

რაც შეეხება ბალს ზემო სვანეთის სხვა თემებს, აქ შედარებით განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით. მ. კეკელიას მონაცემებით, რომლებიც მთელ ბალს ზემო სვანეთს მოიცავს, აშკარად ჩანს, რომ ფიცის ცერემონიალები, ძირითადად, ტარდება განაჩენის დადგენის შემდეგ, განაჩენის მხარეთათვის გამოცხადებამდე. მხედველობაშია ტოლობისა

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 141-142.

და მხარეთა ერთგულების ფიცი. ეს უკანასკნელი მ. კეკელიასთან აერთიანებს განაჩენის უსიტყვეოდ აღსრულების ფიცს, ე. ი. განაჩენის ერთგულების ფიცს და ასევე მხარეების ერთმანეთისადმი ერთგულების ფიცსაც (არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ტოლობისა და ერთგულების ფიცის დადება ამ სტადიაზე ჩანს ბ. ნიჟარაძესთანაც). ამას ადასტურებს მ. კეკელიას ინფორმატორთა ცნობები, რომლებიც ჩაწერილია მესტიასში, მულახში, ჰადიშში, კალასა და უშგულში. ეს ამ თემებში გავრცელებული ძირითადი წესია, თუმცა ერთი და იმავე თემშიც არ იყო გამოირიცხული ფიცის ზოგიერთი სახის ცერემონიალი პროცესის უფრო ადრინდელ სტადიაზე ჩატარებულყო (მაგალითად, მესტიასში ტოლობის ფიცი შეიძლება მხარეთა დაკითხვის მერე დაელოთ მედიატორებს). ამასთან დაკავშირებით, სრულიად სამართლიანად აღნიშნავს მ. კეკელია, რომ „საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე, ამა თუ იმ სახის ფიცის ჩატარებას, კატეგორიულად როდი ითხოვს ჩვეულებითი სამართალი. კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, ფიცმა შეიძლება საკითხის გარკვევის ერთი სტადიიდან მეორეში გადაინაცვლოს ან ზოგჯერ სრულიად არ იქნეს გამოყენებული. ფიცის გადატანა სამართალწარმოების ტრადიციულად დადგენილი ამა თუ იმ სტადიიდან ნაკარნახევია ორი გარემოებით: ან თვით პრაქტიკამ დააყენა საკითხი მისთვის ადგილის გადანაცვლებისა ან ამ კონკრეტულ შემთხვევას ასე უფრო შეეფერებოდა. ფიცის ასეთი გადაადგილება საქმის უკეთ წარმართვის საჭიროებით აიხსნება. ზოგჯერ ფიცის სრულიად გამოუყენებლობაც ამითაა ნაკარნახევი“<sup>1</sup>.

ძირითადად, სვანეთში მორევებსა და მხარეებს შორის ფიცის ცერემონიალი იმართებოდა სასამართლო პროცესის ბოლო სტადიებზე, კერძოდ, როდესაც განაჩენი დადგენილი და გამოტანილი იყო, მაგრამ ჯერ არ იყო გამოცხადებული. თავდაპირველად, სწორედ, ამ სტადიაზე უნდა დაწესებულყო ტოლობისა და ერთგულების ფიცის ცერემონიალის ჩატარება და, როგორც აღინიშნა, მხოლოდ კონკრეტული ვითარებით უნდა განისაზღვროს მათი ჩატარება საქმის განხილვის სხვადასხვა სტადიაზე, თანაც ადგილის გადანაცვლებით ფიცი რაიმე არსებით ცვლილებას არ განიცდიდა<sup>2</sup>. სვანების ფიცისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, არ უნდა ჰქონოდა არსებითი მნიშვნელობა, თუ პროცესის

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ. გვ. 139.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 142.

რომელ სტადიაზე ჩატარდებოდა დაფიცება. ფიცის მნიშვნელობა იგივე რჩებოდა. მაგალითად, მედიატორები განაჩენის გამოტანამდე მისცემდნენ მხარეებს ტოლობის ფიცს, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ, მათთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ფიცის დარღვევა, ხალხის რწმენით, ერთნაირ ღვაწლივით სანქციას მოუვლენდა მათ და ძირფესვიანად ამოწყვეტდა მათ ოჯახებს. მხოლოდ ფიცის ფორმულაში იქნებოდა მცირედი განსხვავება. ერთ შემთხვევაში, მედიატორები დაიფიცებდნენ, რომ სამართლიან განაჩენს გამოიტანენ, თავიანთ ტოლად მიიჩნევენ მორევებს, მეორე შემთხვევაში (რაც უფრო ხშირად უნდა მომხდარიყო სვანეთში), დაიფიცებდნენ, რომ განაჩენის გამოტანისას თავის ტოლად მიიჩნიეს მხარეები. მ. კეკელია აბსოლუტურად მართალია, როდესაც ფიცის ცერემონიალის განაჩენის დადგენის შემდგომ სტადიაზე ჩართვას, შორეული წარსულიდან მომდინარე წესად მიიჩნევს, როდესაც პიროვნება ტყუილად დაფიცებისათვის მთელი არსებით იყო შიშით შეპყრობილი და მნიშვნელობა არ ჰქონდა, როდის მოუწევდა დაფიცება — მოქმედების ჩატარებამდე თუ მანამდე<sup>1</sup>. აშკარაა, რომ გარკვეულ ეტაპზე ლატალ-ლენჯერში და ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა თემებშიც, უფრო მიზანშეწონილად მიუჩნევიათ ტოლობის ფიცის მიღება მორევების მიერ შესაბამისი მოქმედების, ე. ი. განაჩენის დადგენის წინ და არა მის შემდეგ, როგორც ეს ძირითადად ხდება სვანეთის სხვა თემებში.

2. გარკვეული მნიშვნელობა აქვს ასევე საკითხს, ამა თუ იმ სახის ფიცი დამოუკიდებლად ტარდებოდა თუ სხვა ფიცთან იყო შერწყმული. თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთი ფიცის სხვა სახის ფიცთან შერწყმით, მისი მნიშვნელობა არ კნინდება და საერთო წესით, ურთიერთშერწყმულ დაფიცებათა სახეების დამოუკიდებლად ჩატარება, შესაძლოა, ამა თუ იმ ფიცის პროცესის სხვა სტადიაზე გადანაცვლების საჭიროებით იქნეს განპირობებული.

ძირითადად, ოთხი სახის ფიცზეა საუბარი, კერძოდ, ესაა მედიატორთა ტოლობის ფიცი; მხარეთა ფიცი, რომ სიმართლეს იტყვიან; მხარეთა ფიცი განაჩენის ერთგულებისა და უსიტყვოდ აღსრულების შესახებ და მხარეთა ფიცი ერთმანეთის ერთგულების თაობაზე.

ტოლობის ფიცი პროცესის რა სტადიაზეც უნდა ჩატარდეს,

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 142-143.

დამოუკიდებელია და არასდროს სხვა ფიცთან შერწყმული სახით არ გვევლინება. რაც შეეხება მხარეთა ფიცს, ამ შემთხვევაში განსხვავებული ვითარებაა. მხარეებმა შესაძლოა მხოლოდ ერთხელ მისცენ ე. წ. ერთგულების ფიცი, რომელიც სხვადასხვა სახის დაფიცებებს მოიცავს, ანდა რამდენჯერმე მოუწიოთ დაფიცება პროცესის სხვადასხვა სტადიაზე; მაგალითად, ზოგიერთი მკვლევრის მონაცემით, მხარეთა ფიცი განაჩენის ერთგულებისა და უსიტყვო შესრულების შესახებ შესაძლოა, დაიდოს პროცესის ადრეულ სტადიებზე, ფიცის სხვა სახეებისგან დამოუკიდებლად (ეს მკვლევრები ამ ფიცს ერთგულების ფიცად არ მოიხსენიებენ). ამ შემთხვევაში ერთგულების ფიცი პროცესის ბოლო სტადიაზე, განაჩენის გამოცხადების წინ წარმოითქმის, და თავისი შინაარსით მოიცავს მხოლოდ მხარეთა ერთმანეთისადმი ერთგულების ფიცს და არა განაჩენის უსიტყვო აღსრულების ფიცს. ეს, ძირითადად, ლატალ-ლენჯერისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. სუანეთის სხვა კუთხეებში, ამ ორი ფიცის წარმოთქმა ერთდროულად ხდება ერთი დაფიცების ფარგლებში, რომელსაც ერთგულების ფიცი ეწოდება. ე. ი. მხარეთა ფიცი განაჩენისა და ერთმანეთის ერთგულებაზე ერთდროულად წარმოითქმის და ერთგულების ფიცის ფარგლებში მოიაზრება. იგივე ითქმის მხარეთა ფიცზე იმის შესახებ, რომ სიმართლეს იტყვიან დაკითხვისას. შესაძლოა, ეს ფიცი დამოუკიდებლად ჩატარდეს (ძირითადად, ეს მხარეთა დაკითხვის წინ ხდება ლატალ-ლენჯერში და, დაკითხვის დროს მხოლოდ იმას ალაპარაკებენ, ვისაც ეს ფიცი აქვს დადებული) ანდა სხვა ფიცთანაც იყოს შერწყმული, ვთქვათ, განაჩენის უსიტყვოდ აღსრულების ფიცთან, როგორც ამას ა. წულუკიანთან ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ მ. კეკელია მხარეთა ფიცზე, რომ სიმართლეს აღიარებენ, საუბრობს მხოლოდ ლატალ-ლენჯერთან დაკავშირებით. მისი ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, მორევები მხარეთა დაკითხვამდე აფიცებენ მათ, რომ სიმართლეს იტყვიან და დაკითხვის დროს მხოლოდ იმ პირებს ალაპარაკებენ, რომლებიც დაფიცებულნი არიან<sup>1</sup>. სუანეთის სხვა თემებთან დაკავშირებით, მ. კეკელია ფიცის ამ სახეზე არ საუბრობს. მისი თქმით, ტოლობისა და ერთგულების ფიცი (ამ უკანასკნელში იგულისხმება როგორც განაჩენის ერთგულებაზე, ისე ერთმანეთთან ერთგულებაზე ფიცი, რომლებიც,

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

ძირითადად, ერთი დაფიციებით წარმოითქმის ერთი „გარცამის“ პასუხად) სეანურ ჩვეულებით სამართალში ფიცის ინსტიტუტის ხერხემალს წარმოადგენს. დანარჩენი სახის ფიცი მხოლოდ საშუალებაა მათი განუხრელად შესრულებისათვის. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, დროთა ვითარებაში ტოლობისა და ერთგულების ფიცს ემატება ან აკლდება რომელიმე ელემენტი, მათი ფორმულები იხვეწება. მიზანი ერთია: უკეთ მიესადაგოს არსებულ რეალობას<sup>1</sup>. ეს მომენტი დ. დავითულიანთანაც გამოჩნდა. მხარეთა ფიცი, ერთმანეთის ერთგულებისა და განაჩენის უსიტყვოდ აღსრულების, ე. ი. განაჩენის ერთგულების შესახებ, ძირითადად, ფიცის ერთ ფორმულაშია მოქცეული. მათი ცალ-ცალკე ჩატარება, ზოგადსეანური თვალსაზრისით, მაინც გამონაკლისის სახით ხდება.

ტოლობისა და ერთგულების ფიცი (თავისი ორივე კომპონენტით) მართლაც უმნიშვნელოვანესია სეანურ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს განაჩენის სამართლიანობას, მის უსიტყვოდ აღსრულებას და სამედიატორო სასამართლოს, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის საბოლოო მიზნის განხორციელებას – მხარეთა შერიგებასა და მათ შორის მტრობის საბოლოო აღკვეთას.

3. შემდეგი საკითხი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია, არის ის, თუ სად ტარდებოდა ფიცის ცერემონიალი (იძისდა მიუხედავად, თუ რა სახის ფიცია) და რა ვითარებაში. ზოგადად უკვე აღვნიშნეთ, რომ ფიცის ცერემონიალი ტარდებოდა ეკლესიაში ხატის წინაშე. დაფიციებას საჯარო ხასიათი ჰქონდა. განაჩენის დადგენის შემდეგ (როცა, ძირითადად, ტარდებოდა ფიცის ცერემონიალი), მორვალეები ატყობინებდნენ მოდავე მხარეებს, რომ გამოცხადებულიყვნენ ეკლესიაში ფიცის ცერემონიალის ჩასატარებლად. თუ რომელ ეკლესიაში უნდა ჩატარებულიყო ფიცი, ეს დამოკიდებული იყო განსახილველი საქმის სიმძიმესა და აგრეთვე იმაზეც, თუ რომელი თემიდან, სოფლიდან იყვნენ მოდავე მხარეები. ეკლესიის შერჩევა შეიძლება დაზარალებულის შეხედულებითაც გადაწყვეტილიყო.

დ. დავითულიანის განმარტებით, ნაკლებად მძიმე საქმეზე ფიცი სოფლის ჩვეულებრივ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო, ხოლო მკვლელობასა და სხვა მძიმე საქმესთან დაკავშირებით, თითოეულ სოფელში

<sup>1</sup> მ. კაკელია, დასახ. ნაშრ. გვ 153, 167.

რამდენიმედან გამოარჩევენ ერთ ან ორ ეკლესიას. ასეთებად დღემდე მიაჩნიათ: სოფელ ლატალში მაცხოვრის ეკლესია, ლენჯერში – მუხვარის, მესტიამი – წმინდა გიორგის, მულახში – მაცხოვრისა და წმინდა გაბრიელის, კალაში – წმინდა კვირიკესა და ივლიტეს (იგი მთელ ბაღს ზემო სვანეთში ყველაზე ძლიერ ეკლესიად ითვლება „შალანის“ წყალობით), უშგულში – ლამარიას ეკლესიები<sup>1</sup>. ეს ნიშნავს, რომ ტოლობისა და ერთგულების ფიცის მიცემა სვანეთში ხდებოდა მოცემული ადგილის, სოფლის ყველაზე ძლიერ ეკლესიაში (სადაც მეტი წმინდა ნაწილი ინახება). თუ მოდავე მხარეები სხვადასხვა ადგილის მცხოვრებნი იყვნენ, მაშინ გამოირიცხული არაა, რომ მათი დაფიცება ცალ-ცალკე, სხვადასხვა ეკლესიაში მომხდარიყო იმისდა მიხედვით, თუ რომელი დასაფიცებელი პირი სად ცხოვრობდა. ერთგულების ფიცის ცერემონიალი ერთ ეკლესიაში უნდა ჩატარდეს ორივე მხარის თანდასწრებით<sup>2</sup>.

4. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ასევე დამფიცებელთა წრეც, კერძოდ, ვის უნდა დაჰკისრებოდა ფიცი, ვინ მოიაზრებოდა დაზარალებულ და დამნაშავე მხარედ. მკვლევართა განმარტებით, დაზარალებული და დამნაშავე, ან თუნდაც მათი ოჯახის წევრები დასაფიცებლად მარტო არ ცხადდებოდნენ. მათთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ მათი მოგვარეები, სამხუბის წარმომადგენლები; მაგალითად, ა. წულუკიანი განმარტავს, რომ ერთგულების ფიცის მიღებისათვის ეკლესიაში უნდა გამოცხადებულიყო მხარეთა ოჯახის ყველა მამაკაცი 17 წლის ასაკის ზევით, ასევე მათი საგვარეულოს ყველა ოჯახის თითო მამაკაცი<sup>3</sup>. უფრო ზუსტი ინფორმაციას ამ საკითხზე გვაძლევს რ. ხარაძე. სასისხლო საქმეზე ორივე მხარის სამხუბის მონაწილეობა იმით იყო განპირობებული, რომ ერთი სამხუბის წევრის მიერ მეორის მოკვლის შემთხვევაში, არა რაიმე შეურაცხყოფის მიყენებისას, ორივე სამხუბი ერთმანეთს უპირისპირდებოდა. მოკლულის მთელი ახლო ნათესაობა ხდებოდა მსხვერპლი ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულისა<sup>4</sup>. მედიატორთა მიერ სასისხლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული ფიცის მიღებისათვის ეკლესიაში მიდიოდა როგორც მკვლელის, ისე მოკლულის სამხუბი.

ეკლესიაში უნდა მისულიყო აგრეთვე ლანბაშნაც. ასე რომ, აქ

<sup>1</sup> დ. დავითიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 58-59.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

<sup>3</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

<sup>4</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

იკრიბებოდა ყველა ის პირი, ვისაც ეეისრებოდა სისხლის აღება ან ვინც შეიძლება გამხდარიყო სისხლის აღების ობიექტი<sup>1</sup>. მ. კეკელიაც ადასტურებს ამას. იგი მოფიცართა შორის ასახელებს დედულეთის წარმომადგენლებს ანუ „ლადიარსაც“<sup>2</sup>. იფიცებდნენ მხოლოდ სრულწლოვანი მამაკაცები.

5. ახლა ზოგადად იმის შესახებ, თუ როგორ ტარდებოდა ტოლობისა და ერთგულების ფიცის რიტუალები. ჩვენ ცალკეულ მკვლევართა ინფორმაციას შევხვებით ფიცთან დაკავშირებით, სადაც კარგად გამოჩნდა, თუ როგორ აღწერენ ეს მკვლევრები სხვადასხვა სახის ფიცის ცერემონიალს. ცხადია, გარკვეული ნიუანსები ფიცის რიტუალის ჩატარებისა სხვადასხვაა, თუმცა, ძირითადად, საერთო პრინციპების დაცვით ტარდებოდა.

მასალების მიხედვით, დაფიცების რიტუალი ტარდებოდა ეკლესიის გალავანში, რისთვისაც ეკლესიიდან გამოასვენებდნენ ხატს ან, შესაძლოა, ფიცის ცერემონიალში მონაწილე პირები ეკლესიაში შესულიყვნენ და ხატის წინ დაეფიცათ. მ. კეკელიას მასალებით, ასევე არაა გამორიცხული დაფიცება ეკლესიის გარეთ, როდესაც ხატი გარეთ არ გამოქჷონდათ. მხოლოდ ეკლესიის კარს აღებდნენ ისე, რომ გარეთ მყოფ პირებს ხატი დაენახათ. მ. კეკელიას ზოგიერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ რთულ და სერიოზულ საქმეებზე ხატის გამოტანას ერიდებოდნენ; მაგალითად, მკვლევლობისას. შესაძლოა, ეს იმიტაც იყო განპირობებული, რომ ხალხის სიმრავლის გამო ეკლესიაში შესვლის საშუალება არ არსებობდა. ფიცის დროს, უფრო ხშირად, ხატი თავის ადგილზე იდო და ხალხი გარკვეული მანძილიდან უცქეროდა მას<sup>3</sup>. ასეთ შემთხვევას მ. კეკელიას ქადიშელი ინფორმატორიც აფიქსირებს, რომლის თქმითაც, მხარეები მივიდნენ ეკლესიის ღია კართან, საიდანაც ჩანდა ხატი<sup>4</sup>.

მხარეებს ფიცის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად მედია-

---

<sup>1</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29. რ. ხარაძის განმარტებით, სამზუები ანუ ლამზუები წარმომადგენდნენ სისხლით ნათესაობის ნიაცაზე შექმნილ გაერთიანებებს, რომელთა წევრები მომხუბად, ზოლო თვითონ გაერთიანებები სამომხად იწოდებოდნენ. ეს უკანასკნელი „ძირიშ მეხუბარარისა“ და „ქახიქა მეხუბარარის“, ე. ი. უახლოესი და შორეული მომხუების სახით ნაწილდეზან, ზოლო „ქასუიშ ნიბაშინი“, იგივე ლანბაშნა — ძმისწული, დისწული, შვილიშვილი. აგრეთვე ქლის ხაზის ნათესაებთ არიან (რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20).

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 154.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 146.

ტორები იწვევდნენ. მხარეები შეიარაღებულნი მიდიოდნენ. თუ ეკლესიის შიგნით ტარდებოდა ფიცის, ყველა უნდა განიარაღებულიყო. ასე მოხდა გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე დაფიცებისას. ისინი შეიარაღებულნი გამოცხადდნენ ეკლესიაში. დარაჯმა ეკლესიის კარები გააღო, ისინი ეკლესიაში შევიდნენ, ქულები მოიხადეს, ხოლო ხანჯლები და თოფები ეკლესიის შიგნით, ერთ კუთხეში დააწყვეს. ა. წულუკიანი იმასაც ამტკიცებს, რომ მხარეებს ეკლესიაში რკინის ბალთიანი ქაშრებითაც კი ეკრძალებოდათ შესვლა, არათუ თოფებითა და ხანჯლებით<sup>1</sup>.

მხარეებს მორევები ატყობინებდნენ, რომ ეკლესიაში უნდა გამოცხადებულიყვნენ. დ. დავითულიანის მიხედვით, ერთ-ერთი მორევთაგანი მივიდოდა ეკლესიაში, სადაც ზარების რეკვით აცნობებდა მხარეებს, რომ ეკლესიაში მოსულიყვნენ<sup>2</sup>. მხარეთა დაბარებას ეკლესიაში ზარის რეკვით, შესაძლოა, რაღაც კონკრეტულ შემთხვევებში ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ამ წესის გავრცელება ყველა შემთხვევაზე, რაც ფაქტობრივად ჩანს დ. დავითულიანთან, არასწორად მიგვაჩნია. მოდავე მხარეები ფიცის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ერთდროულად ცხადდებოდნენ, მაგრამ თუ მათ შორის ძალზე გამწვავებული მდგომარეობა იყო, მაშინ მორევები რიგრიგობით იბარებდნენ მხარეებს, რათა ფიცის ცერემონიალი ცალ-ცალკე ჩაეტარებინათ. ერთ მხარეს რომ გაუშვებდნენ, შემდეგ მეორე მხარე მოჰყავდათ. ზემოთ ხსენებულ ფარჯიანებისა და გირგვლიანების საქმეზე იმდენად იყო გართულებული მდგომარეობა, რომ მორევებმა ტოლობის ფიცის მხარეებს სხვადასხვა ეკლესიაში მისცეს – მხარეთა ერთად შეხვედრა შეუძლებელი აღმოჩნდა.

თუ დაფიცება ეკლესიის ეზოში, გალავნის შიგნით ხდებოდა, მაშინ, როგორც ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, წინასწარ დაბარებული პაპი (ანუ მღვდელი) ეკლესიიდან გამოასვენებდა ხატს. თუ პაპი არ იყო, მაშინ მომჩივანი მხარის წარმომადგენელს უნდა გაეკეთებინა ეს.<sup>3</sup> ხატის გამოსვენება შექმლო მორევებს შორის უფროსსაც, როგორც ეს დ. დავითულიანთან ჩანს, ასევე ეკლესიის ყარაულსაც. იგი შესაძლოა მარტო

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

<sup>3</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.



შესულიყო ეკლესიაში ხატის გამოსასვენებლად (როგორც ეს მ. კეკელიას კალელ ინფორმატორთან ჩანს), ან მხარეების მიერ არჩეულ თითო-თითო კაცთან ერთად (როგორც ეს მის უშუალო ინფორმატორთანაა).

თუ მხარეები ერთდროულად მონაწილეობდნენ ფიცის ცერემონიაში, მაშინ ერთ მხარეს ჩამწკრივდებოდა დამნაშავე და მისი ნათესაობა, ხოლო მეორე მხარეს – დაზარალებული და მისი ნათესაობა. მათ შორის, შუაში, ხატის წინ ქუდმოხდილნი იდგნენ მორევები.

ტოლობის ფიცის ცერემონიას იწყებდა დაზარალებული მხარე, მისი „მეგარცამე“ (ეს შეიძლება ყოფილიყო, მაგალითად, მოკლულის, დაზარალებულის მამა, ძმა ან სამხუბის ერთი რომელიმე საუკეთესო მჭევრმეტყველი, ის, ვინც გვარში ყველას სჯობდა ენაწყლიანობით, თუმცა კონკრეტულ შემხვევაში, იგი გარეშე პირიც შეიძლება ყოფილიყო, რომელიც მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა)<sup>1</sup> „გარცამს“ ეუბნებოდა მორევებს (შესაძლოა, დაჩოქილი ხატის წინაშე) და ტოლობაზე აფიცებდა მათ. მასალებიდან ჩანს, რომ „მეგარცამე“ ასახელებდა ყველა მორვალის სახელსა და გვარს. ისინი უპასუხებდნენ „გარცამზე“ ტოლობის ფიცის წარმოთქმით, ე. ი. უბრუნებდნენ ფიცს და „მეგარცამეს“ „ამინ“ ეტყობდნენ, რის შემდეგაც, პირველ რიგში, მედიატორთა უფროსი წარმოთქვამდა ტოლობის ფიცს, შემდეგ ყველა მედიატორი ცალ-ცალკე უბრუნებდა დაზარალებულ მხარეს ტოლობის ფიცს, წარმოთქვამდა რა ტოლობის ფიცის შემკველ ფორმულას (შეიძლება დაზარალებულის „მეგარცამემ“ ცალ-ცალკე ჩამოუაროს მორევებს, სათითაოდ უთხრას „გარცამი“ გვარსახელების დასახელებით, თითოეული მორვეი კი ცალ-ცალკე დაუბრუნებს მას ტოლობის ფიცს). „გარცამის“ შემდეგ შესაძლოა, მორევები სათითაოდ მისულიყვნენ ხატთან, ადებდნენ ხელს და წარმოთქვამდნენ მხოლოდ ამ ფრაზას: „რაც მეგარცამმა თქვა, თანახმა ვარ!“ ე. ი. დაეთანხმებიან „გარცამს“. ასევე შესაძლებელია, რომ მორევებს ჯერ ხელი ჩემოერთვათ დაზარალებულის მეგარცამისათვის და

<sup>1</sup> მ. კეკელიას დაკვირვებით, მძიმე დანაშაულებათა საქმეებზე, უმეტეს შემთხვევაში, მეგარცამე მოკლულისა თუ მძიმედ დაჭრილის მამა ან ძმა. როცა ხატზე გადაცემას (გარცამს) მოკლულის მამა ან ძმა წარმოთქვამდა, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა დასაფიცებელზე. მეტად შთაბეჭდილია შავებში ჩაცმული, წერძნოვანი მამაკაცის აგრძობილი ღაღადის ხატის წინაშე უფრო ნაკლები მნიშვნელობის საქმეებზე, როცა დაზარალებულის სიტყვა ასეთ უფკტს მოკლებულია, „გარცამი“ შეიძლება გარეშე პირმაც წარმოთქვას. მისი გარცამი უფრო ობიექტურობისაკენ მოწოდებაა, ვიდრე სიძარაულის აღმძვრელი (მ. კეკელია, დასახ. ნაშ., გვ. 138).

შემდეგ ეთქვათ, რომ მომხრენი არიან „გარცამის“. საერთოდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც „გარცამზე“ პასუხისას დამფიცებელი თანხმობას ამბობს გარცამზე და თვით ფიცის ფორმულას აღარ წარმოთქვამს. ტოლობის ფიცის დროს ხატისათვის ხელის მოკიდება და ხატის კონკრეტული ხშირად გვხვდება მასალებში კონკრეტული შემთხვევის აღწერისას. თუმცა სხვა შემთხვევებში მსგავს მოვლენას შეიძლება არც ჰქონოდა ადგილი. თუ ხატი ეკლესიაში დევს, დამფიცებელი თვით მიდის მასთან სამთხვევად, თუ ხატი გარეთაა გამოსვენებული, შესაძლოა, იგი მეგარცამემ ან ეკლესიის ყარაულმა ჩამოატაროს<sup>1</sup>.

მას შემდეგ, რაც დაზარალებული ტოლობაზე დააფიცებდა მორვალს, ანალოგიურად, ტოლობაზე აფიცებდა დამნაშავე (მოპასუხე) მხარის „მეგარცამე“. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, მედიატორთა უფროსი ორივე მხარეს ერთად უბრუნებდა ტოლობის ფიცს და არა ცალ-ცალკე, როგორც ეს ბ. ნიჟარაძის შემდგომდროინდელი მასალებიდან ჩანს (იშვიათი გამონაკლისის გარდა). მ. კეკელია, თავის მასალებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ასეთი რამ არც ახლაც გამოვიცხვებულა, ოღონდ ნაკლებ მნიშვნელოვან საქმეებზე. მისივე განმარტებით, „მორვალის მიერ ტოლობის მოთხოვნაზე საპასუხო ფიცის დაბრუნებას „გარცამი ლიხტე“ ჰქვია. იგი მორვეის დასტურს წარმოადგენს იმაზე, რომ თავის ტოლად მიაჩნია დამფიცებელი მხარე“<sup>2</sup>.

ახლა, რაც შეეხება ერთგულების ფიცს, რომელსაც მხარეები აძლევენ მორვეებს. მორვეები „გარცამს“ ეუბნებოდნენ მხარეებს, მხარეები კი ეთანხმებოდნენ ამ გარცამს და დებდნენ ფიცს, რომ განაჩენისა და ერთმანეთის ერთგულები იქნებოდნენ.

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, მხარეებს აფიცებდა და მათ გარცამს ეუბნებოდა მედიატორთა უფროსი, რომელმაც პირველმა უპასუხა მხარეთა „გარცამს“ ტოლობის ფიცის მიცემისას. დ. დავითულიანიც ადასტურებს იმას, რომ სწორედ მორვეების უფროსი წარდგებოდა ხატის წინაშე, სახელებით მიმართავდა მხარეებს და გარცამს ეუბნებოდა მათ. ზოგიერთი მონაცემით, მორვეები ურთიერთშეთანხმებით, წინასწარ არჩევდნენ თავიანთი რიგებიდან ყველაზე მჭკვერმეტყველს, რომელიც ორივე მხარის გასაგონად წარმოთქვამდა „გარცამს“. „მეგარცამე“ მჭ-

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 158.

ვერმეტყველებით ამკარად გამოირჩევა სხვებისაგან. მ. კეკელიას განმარტებით, სვანეთში „გარცამის“ ოსტატურად წარმოთქმით ცნობილი პირნი არსებობდნენ. თუ ისინი მორვალის შემადგენლობაში მოხედუბოდნენ, ამ მოვალეობას მას დააკისრებდნენ, ხოლო თუ დაზარალებულის ან დამნაშავეის ახლობელი იყო, მაშინ ვერ ასცდებოდა მეგარცამეობა<sup>1</sup>.

ძირითადად, მორვალის „მეგარცამე“ ორივე მხარისათვის საერთო „გარცამს“ წარმოთქვამდა, რომელსაც მხარეები ეთანხმებოდნენ და ამბობდნენ „ამინ“ და გარცამის საპასუხოდ უბრუნებდნენ მორვებს ერთგულების ფიცს. გარცამის შემდეგ, ჯერ დაზარალებული მხარის წარმომადგენლები მიდიოდნენ ხატთან და თითოეული წარმოთქვამდა ერთგულების ფიცს, შემდეგ ასევე იქცეოდა დამნაშავე მხარე.

ნ. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ბოლოს შეეხებოდა, ეს არის ფიცის შინაარსი, მისი მნიშვნელობა და დანიშნულება. ჩვენ ფიცის არაერთი ფორმულა მოვიყვანეთ და აქ აღარ გავიშორებთ მათ სრული მოცულობით. მხოლოდ ფიცის შინაარსისა და მნიშვნელობის განხილვით დავეკმაყოფილდებით.

როგორც აღვნიშნეთ, ტოლობისა და ერთგულების ფიცის ცერემონიალის ჩატარებისას მორვები და მხარეები ერთმანეთს აფიცებდნენ. ჯერ მხარეები მორვალს, ხოლო შემდეგ მორვები — მხარეებს. უფრო ზუსტად, ჯერ მხარეები ეუბნებოდნენ ცალ-ცალკე გარცამს მორვებს, იმის შესახებ, რომ განაჩენის დადგენისას თავიანთ ტოლად მიიჩნიონ ისინი. მორვები კი ამის საპასუხოდ უბრუნებდნენ მხარეებს სათითაოდ ტოლობის ფიცს, ასევე მორვებიც ეუბნებოდნენ მხარეებს „გარცამს“, რომ მათ შეასრულონ განაჩენი და ერთმანეთის ერთგულნი იყვნენ. ფიცის რიტუალის ჩატარებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფიცის შინაარსს, რომელიც წარმოითქმება დაფიცებისას. ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, მორვებიცა და მხარეებიც ფიცის ფორმულის წარმოთქმელად ირჩევენ მჭევრმეტყველ ადამიანს. იმ პიროვნებას, რომელიც აფიცებს სვანურად „მეგარცამე“ ჰქვია, ხოლო სიტყვებს, რომელსაც იგი წარმოთქვამს — „გარცამი“. „გარცამი“ ხატზე გადაცემას ნიშნავს და სრულდება ისეთივე სიტყვებით, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში ხატზე გადაცემის დროს წარმოითქმის. „გარცამზე“ ფიცის დაბრუნებას „გარ-

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

ცამ ლახტიხ“ ანუ „ფიცი დაბრუნა“ ეწოდება. სვანური გამოთქმა: „გარცამი უთხრას, იგივეა, რაც „დაიფიცოს“<sup>1</sup>.

ხატზე გადაცემა მთელ საქართველოში ძალზე გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. თანამედროვე ინფორმატორებიც შესანიშნავად იცნობენ მას და ახლაც დიდი შიში აქვთ ხატზე გადაცემის (მაგალითად, იმერეთში, გურიაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, აჭარაში 1988 და 1989 წელს დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მასალაში ინფორმატორები საკმაოდ სრულყოფილ ინფორმაციას გვაძლევენ ამ ინსტიტუტზე). საერთოდ, ხატზე გადაცემა თავისი არსით წყველათ, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს გარკვეული რიტუალური მოქმედება (მაგალითად, წყველის დროს ხატის წინაშე სანთლის ანთება, რამდენიმე სანთლის გადაგრეხვა, ეკლესიის კედელში ან ეკლესიის ტყის ერთ-ერთ ნაძვში ლურსმნის ჩარჭობა და სხვა).

საქართველოში ხატზე გადაცემის იმდენად ეშინოდათ, რომ იგი დამნაშავეის გამოტეხვის საკმაოდ გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა. დაზარალებული წინასწარ გამოაცხადებდა, რომ დამნაშავეს ხატზე გადასცემდა და ამის შიშით, არცთუ იშვიათად, დამნაშავე აღიარებდა მის მიერ ჩადენილ ქმედებას (ეს, ძირითადად, ქურდობის შემთხვევაში ხდებოდა). მაგალითად, ფშავეში წყველის სიტყვები, ხატზე გადაცემა, რომელსაც ხევისბერი წარმოთქვამს, წინ უძღვის ეჭვიმიტანილის განმწმენდ ფიცს. სვანეთში კი ნებისმიერ ფიცს – ეს იქნება ეჭვიმიტანილის განმწმენდი ფიცი, ტოლობისა თუ ერთგულების ფიცი, წინ აუცილებლად უძღვის გარცამი – ხატზე გადაცემა საწყევარი სიტყვებით. გარცამის გარეშე დაფიცებას აზრი არა აქვს, ფიცი სრულყოფილი არ იქნება.

ამრიგად, ფიცის ცერემონიალი ორ ეტაპად იყოფა: ჯერ გარცამს იტყვის, ვინც აფიცებს, ხოლო შემდეგ იფიცებენ ფიცის მთქმელნი<sup>2</sup>. მ. კეკელია მოკლედ და ძალზე ნათლად წარმოაჩენს გარცამის შინაარსს, მისი თქმით, გარცამი გაფრთხილებაა, მიმართული ფიცის წარმომთქმელისადმი იმის თაობაზე, თუ სიმართლე არ თქვას, გულწრფელად არ დაიფიცოს, ხატმა, რომელზეც იფიცებს, ყველაფერი ავი (სიკვდილი, ამოწყვეტა, გადაშენება) მოუვლინოს მას, მის ოჯახსა და ჩამომავლო-

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 137.

<sup>2</sup> იქვე.

ბას<sup>1</sup>. ასეთი „გარცამის“ შემდეგ ტყუილად დაფიცება სვანეთში, ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო.

თავდაპირველად განვიხილოთ ტოლობის ფიცი, რომელიც, ძირითადად, ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ერთგულების ფიცს. ჯერ დაზარალებული მხარე აფიცებდა ტოლობაზე მორევებს, ეუბნებოდა „გარცამს“. „გარცამში“, უპირველეს ყოვლისა, ჩანს ის, თუ რას მოითხოვდა დაზარალებული მხარე მორევთაგან. იგი მოუწოდებდა მორვალს არ დაეჩაგრა, არ დაემდაბლებინა ისინი და მოპასუხე არ აემალლებინა, მიენიჭებინა ის, რაც ჩვეულებითი სამართლით იყო დადგენილი. მთავარი კი ისაა, რომ „მეგარცამე“ სთხოვდა მედიატორებს იმის თაობაზე, რომ საქმის განხილვისას, თავიანთ ტოლად მიეჩნიათ ისინი, თითოეულ მედიატორს საკუთარი თავი მათ მდგომარეობაში ეგულისხმა და ისე გადაწყვიტა საქმე. თუ ასე მოიქცეოდნენ, მაშინ ღმერთი და ეკლესია შეეწეოდათ, თუ არადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საშინელ წყევლა-კრულვას უვლენდა მათ, ე. ი. მორვალს ხატზე გადასცემდა, ანუ სვანურად გარცამს ეუბნებოდა მათ. მაგალითად: „ამათ ძესა და შთამომავალსა საშველს ნუ მისცემენ, ამოსწყვიტე ესენი ძირიან-ბუდიანად; ავი სნეულების და ფათერაკის მეტს ნურას მიუვლენ თვითონ ამათ და ამათს ოჯახებს“, ან „... საშველს ნუ მისცემ საშვილიშვილოთ, უკუღმა ატარე ისინი და მათ ოჯახებში მყოფი ამოსწყვიტე და მათ ნამოსახლარზე... ეკალი და ჭინჭარი ამოიყვანე, ამოაგდე ძირი მათი...“, ან „... ეს ეკლესია თქვენი და თქვენი შთამომავლობის ამომწყვეტი იყოს“, ან „რომელმა მორევმაც თავის ტოლად არ მიმიღოს, ჩემი დარდი და მწუხარება გულთან არ მიიტანოს და ისე არ დასაჯოს დამნაშავე, როგორც თვითონ ისურვებდა ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, ხატო ძლიერო, მასაც მოუკალი გულის საყვარელი, შეამთხვიე ის, რაც მე მომივლინე, ისე ამოწყვიტე მისი ჩამომავალი, როგორც ჩემი“<sup>2</sup>.

ნათელია, რომ „მეგარცამე“ „გარცამის“ თქმისას აქცენტს აკეთებს მორევთა ოჯახის ამოწყვეტაზე, განადგურებაზე, შთამომავლობის მოსპობაზე, ყოველივე იმაზე, რაც მაქსიმალური უბედურების მომტანი შეიძლება იყოს ადამიანისათვის, თუ, რა თქმა უნდა, თავის ტოლად არ

<sup>1</sup> შ. კველია, დასახ. ნაშრ. იქვე.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 138.

მიიჩნევენ დაზარალებულებსა და მოცემულ საქმეს შესაბამისად არ გადაწყვეტდნენ.

საინტერესოა, რომ „გარცამი“ საკმაოდ ხშირად შეიცავდა უსამართლობის ჩამდენი მორვალისათვის, რომელიც დაზარალებულის აზრით, უნდა იმსახურებდეს დაწყველას, გადაშენებას, ამოწყვეტას, გარცამისაგან გათავისუფლების, წყევლა-კრულვის თავიდან აცილების ფანტასტიკურ, მოკვდავი ადამიანისათვის წარმოდგენილ საშუალებას. გარცამის ფორმულაში ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად სწორედ ეს ადგილი წარმოითქმის, მაგალითად, ასე მიმართავდნენ ხატს: „... რამდენიც დედამიწაზე ბალახია, ზღვაში ქვიშა, – სანამ იმდენი ოქროს რქოსანი ხარი არ მოგიძღვნან, მანამ ამათ (მიუთითებს მსაჯულებზე) ძესა და შთამომავლობას საშუალებას ნუ მისცემ...“ ე. ი. ხატმა შეიძლება საშველი მისცეს უსამართლო მორვალსა და მის შთამომავლობას, თუ იმდენ ოქროს რქოსან ხარს შესწირავს ხატს, რამდენიც დედამიწაზე ბალახია და ზღვაში ქვიშაა, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ან „სანამ ამ კაცებმა ღმერთო! კახური ღვინო ზედაშით არ დაგიღვან, იერუსალიმიდან ფქვილი არ მოგიტანონ, იმ ფქვილიდან ლამარაის სეზისკვერი არ გამოაცხოზინონ, რამდენი ცვარ ციდან ცვივა, იმდენი შესაწირი არ მოგიტანონ, მანამ მოსპე ეს მორვეები და მათი შვილიშვილი“, ან „... რამდენი ნამი ციდან ჩამოსულიყოს და მიწაზე ბალახი ამოსულიყოს, ხეზე ფოთოლი დასხმულიყოს, რაც ზღვაში ქვიშაა, იმდენი ხარი და ვერძი თუ არ შეგეწიროთ ამ ხატისათვის, 12 აქლემის ტვირთი კახური ღვინო არ მოგეტანოთ, იერუსალიმიდან სეფისკვერი არ მოგეტანოთ, მანამდე არ იყოს თქვენი საშველი, ამოწყდით თქვენ და თქვენი შთამომავალი“, ან „სანამ ამათ (მსაჯულებს) იესო ქრისტე თავისის თორმეტის მოციქულით მწირველად არ იშოვონ, სეფისკვერი იერუსალიმიდან მოტანილი ფქვილის არ გამოუცხონ და იქიდანვე მოტანილი ღვინო ზედაშეთ არ დასდვან – მანამ ამათ (მსაჯულებს) ავი ზნის მეტს ნურას მოუვლენ...“ თუ რატომ ხდება ასეთი ფრაზების ჩართვა გარცამის ფორმულაში, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ეს გარცამის გამძაფრებისა და ობიექტზე მეტი შთაბეჭდილების მოზღდენის მიზნით ხდება.

ანალოგიური შინაარსის გარცამს მორვეებს ეუბნებოდა დამნაშავე მხარის „მეგარცამეც“. ისიც მოითხოვდა მორვეებისაგან, რომ არ დაემდებლებინათ ისინი მორვეებს, თავის ტოლად მიეჩნიათ და ისე გადაეწყვი-

ტათ საქმე, თუ არადა, ისეთივე წყველა-კრულვას უთვლიდა მათ, როგორსაც დაზარალებული მხარის „მეგარცამე“. თუმცა, როგორც მასალებიდან ირკვევა, მკვლელობისა და სხვა მძიმე საქმეებზე დაზარალებული, როგორც დაწავრული, გაუბედურებული მხარე, რომელმაც უახლოესი ადამიანი დაკარგა, უფრო მძაფრად მოითხოვს მედიატორებისაგან, რომ თავის ტოლად მიიჩნიონ ისინი და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღონ. „გარცამის“ დროს ისინი თავის უბედურ მდგომარეობაზე ამახვილებენ ყურადღებას, მით უმეტეს, ამ დროს უფრო ხშირად მოკლულის მამა ან ძმა „მეგარცამე“, რაც ძალზე შესაბრალის შთაბეჭდილებას ახდენს მორევებზე. მხარეთა „გარცამს“ მორვალი ცალცალკე უბრუნებს ტოლობის ფიცს.

მორვალის „მეგარცამე“ ტოლობის ფიცის წარმოთქმისას მიმართავს დაზარალებულ მხარეს, რომ იგი ძალზე შესაბრალისია და მორევებმა გაითვალისწინეს მისი ასეთი მდგომარეობა და იფიცებს, რომ, რაც შეეძლოთ, ყველა ღონისძიება იხმარეს სამართლიანი განაჩენის გამოსატანად (ან ყველა ღონეს იხმარენ ამისათვის, თუ ტოლობის ფიცის მიცემა განაჩენის დადგენამდე ხდება და არა მის შემდეგ), შეუფარდეს ერთმანეთს სარჩელი, პასუხი, პასუხის პასუხი და ისეთი განაჩენი გამოიტანეს (ან გამოიტანენ), რომელსაც თითოეული მორვალი დასჯურდებოდა დაზარალებულის ან დამნაშავის ადგილას რომ ყოფილიყო, ე. ი. მათ ტოლად იგულისხმებს საკუთარი თავი. თუ ეს ასე არ იყო, მაშინ წარმოთქმული „გარცამი“ სდევდეს მათ და გაუწყრეს ხატის ძალა. ე. ი. თუ რაღაც მცირედი მიკერძოება გამოიჩინეს, რაც გარცამში წყველა იყო, დაე, გავრცელდეს მათზე, მათ ოჯახსა და შთამომავლობაზე. დანარჩენი მედიატორებიც წარმოთქვამენ, რომ თანახმანი არიან გარცამისა და იფიცებენ, რომ, რაც შეეძლოთ სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანეს. შესაძლოა, მორევები უბრალოდ დაეთანხმონ გარცამს.

ტოლობის ფიცი მართლაც ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელების უმთავრესი გარანტიაა. ამ ფიცით მორევები კისრულობდნენ ვალდებულებას ხატის წინაშე, საშინელი გარცამის ქვეშ, რომ თავის ტოლად ჩათვლიდნენ მოდავეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი იქნებიან მათთვის, საქმის განხილვისას მხარეთა მდგომარეობაში ჩააყენებენ საკუთარ თავს და ისე გამოიტანენ განაჩენს, ე. ი. ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელსაც თვითონაც დაყაბულდებოდნენ მხარეთა მდგომარეობაში მყოფნი. მორვალის მიერ

მხარეთა მდგომარეობაში თავის ჩაყენება და ამის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს მაქსიმალურად შესაძლებელი ობიექტურობის გამოჩენას მორევების მხრიდან. ამრიგად, ტოლობის ფიცით მორევები ხატის წინაშე ადასტურებდნენ, რომ მათ მიერ გამოტანილი განაჩენი იქნება შეძლებისდაგვარად ობიექტური, მიუკერძოებელი, ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი, საბოლოო ჯამში კი, სამართლიანი. სწორედ, ამ ფიცის შიშით არიდებდნენ სვანები თავს მედიატორად ყოფნას. ხომ შეიძლება, რაღაც ფაქტი არ გარკვეულიყო და სრულიად უნებურად, მათი ნებისაგან დამოუკიდებლად არცთუ სამართლიანი გადაწყვეტილება გამოეტანათ. მსგავსი შემთხვევისაგან დაზღვეული არავინ იყო. მაგრამ ასეთ დროსაც (რომ აღარაფერი ვთქვათ განზრახ მიკერძობების გამოჩენაზე) მორვალი და მისი შთამომავლობა, ხალხის რწმენით, გარტამით გათვალისწინებული წყველა-კრულვის მსხვერპლი გახდებოდა. სვან მორევებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ აბსოლუტურად სამართლიანი განაჩენის დადგენა შეუძლებელი იყო. ამის გამო, როგორც მ. კეკელია აღნიშნავს, ტოლობის ფიცის დაბრუნებისას მორვალი მხოლოდ სურვილს გამოთქვამდა, რომ ეცდებოდა, სამართლიანად გადაეჭრა დავა. სწორედ, ამიტომაც ფიცში ჩაურთავდნენ: გადაწყვეტთ (ან გადაწყვიტეთ) ისე, „როგორც „მივხვდით“, „ჩვენი მოსაზრებით“, ან „როგორც სამართლიანად მივიჩნიეთ“. ფიცში არასოდეს არის თქმული კატეგორიულად, რომ მათი დადგენილება საკითხის მართებულად გადაჭრის შეუცდომელი და ერთადერთი გზაა. ე. ი. გამოტანილი განაჩენის სავსებით შეუცდომლობაში მორვალის სასამართლო თვითონვე არ იყო დარწმუნებული<sup>1</sup>.

ტოლობის ფიცზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ერთგულების

---

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ, გვ. 138-139. მ. კეკელიას მოყვანს ერთი ძალზე საინტერესო მაგალითი. რომელშიც შესანიშნავად ჩანს, თუ რაოდენ რთულია მორევებისათვის ტოლობის ფიცის დადება, განსაკუთრებით კი, დაზარალებულის ტოლად თავის დაყენება. მულაში ერთი ოჯახიდან ორი კაცი მოკლეს. მომავალში მტრობისა და შუღლის შეწყვეტით დაინტერესებული დაზარალებული შერგებულზე დათანხმდა. დაზარალებულმა მხარემ, მორვალის მიერ საქმის განხილვის ჩაშლის რიღით, არც ის ისურვა, რომ ტოლობის ფიცი ჩამოერთვა მორვალისათვის. გაირჩა საქმე, დაზნაშავეს დააკისრეს პასუხისმგებლობა, მაგრამ ორი კაცის მოკვლისათვის გათვალისწინებული „წორის“ (საზღაურის) გადახდას დაზნაშავე ვერ შეტლებდა, ამიტომაც მორვალთა სასამართლომ შეძლებისდაგვარად შეამცირა მისი რაოდენობა. ეს თანხა ძალზე მცირე იყო და არ შეესაბამებოდა იმას, რაც ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ეკუთვნოდა დაზარალებულს. მედიატორებმა ასეთი განაჩენის დადგენა იმიტომ დაუშვეს, რომ დაზარალებულმა ისინი ტოლობაზე არ დააფიცა. ეს რომ მომხდარიყო, ისინი, ცხადია, ასეთ განაჩენს ვერ გამოიტანდნენ (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ, გვ. 161).



ფიცი, რომელიც, ძირითადად, მოიცავდა მხარეთა ფიცს განაჩენის მორჩილების, ერთმანეთის ერთგულებისა და შუღლის შეწყვეტის შესახებ. ერთგულების ფიცს მორევები ადებიანებდნენ მხარეებს. მორევთაგან ყველაზე მჭევრმეტყველი „გარცამს“ ეუბნებოდა მხარეებს, მხარეებიც ერთგულების ფიცს ეუბნებოდნენ მორევებს. თუ მხარეები ცალკე იფიცებდნენ იმაზე, რომ უსიტყვოდ აღასრულებდნენ განაჩენს და ცალკე ერთმანეთის ერთგულებაზე (ასე, ძირითადად, პროცესის სხვადასხვა სტადიაზე ხდებოდა), მაშინ მორევთა „გარცამიც“ ცალ-ცალკე წარმოითქმოდა. ხოლო თუ განაჩენის უსიტყვოდ აღსრულებისა და ერთმანეთის ერთგულების ფიცი დაფიცების ერთ ფორმულაშია გაერთიანებული, მაშინ, ბუნებრივია, რომ მას წინ უძღვის ერთი საერთო „გარცამი“.

ყველა „გარცამი“ ფორმით ერთნაირია. განსხვავებულია მხოლოდ ის მოთხოვნა, რომელსაც „მეგარცამე“ უყენებს დამფიცებლებს, და რომლის შეუსრულებლობისთვისაც უთვლის წყველა-კრულვას ხატის წინაშე. მორვალის „მეგარცამე“ მიმართავს მხარეებს, რომ როგორც ამ შემთხვევაში, ისე მომავალშიც ისევე უნდა იყვნენ, უყოყმანოდ უნდა აღასრულონ განაჩენი და ერთგულნი იყვნენ როგორც განაჩენის, ისე ერთმანეთის, ხოლო თუ ამას არ გააკეთებენ, მაშინ დაწყველილები

---

ეს მაგალითი ნიშანდობლივია იმითაც, რომ მასში კარგად ჩანს სამუდამო სასამართლოს მთავარი დანიშნულება – მხარეთა შერიგება. დაზარალებულს შესანიშნავად ესმის, რომ ორი კაცის მოკვლისათვის გათვალისწინებულ „წორს“ დამნაშავე მხარე ვერ გადაიხდის. მორევები კი განაჩენის გამოტანისას შეზღუდული არიან ტოლობის ფიციით. მათ ჩვეულებითი სამართლის მოთხოვნების ზუსტი დაკვირვება უნდა გამოიჩინონ განაჩენი. ტოლობის ფიცი არ აძლევს მათ საშუალებას, შეამცირონ კომპოზიციის ოდენობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დაზარალებულს რომ მოეთხოვა მორევებისათვის ტოლობაზე დაფიცება, მაშინ მორევები სრული ოდენობით დააკისრებდნენ „წორს“ დამნაშავე მხარეს, რასაც ის ვერ გადაიხდიდა და მხარეთა შერიგება და ტოლობის შეწყვეტა არ მოხდებოდა. ამიტომ ამ სახით პროცესის ჩატარებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. მორევები არც დათანხმდებოდნენ ასეთ პროცესში მონაწილეობას, სწორედ, შერიგების ინტერესებიდან გამომდინარე, რომ პროცესი საერთოდ ჩატარებულიყო და შედეგიც გამოეყო, დაზარალებულმა მხარემ მელატიორები ტოლობაზე არ დააფიცა და მათ ამით საშუალება მოსცა, გამოეტანათ შესრულებადი განაჩენი. ე. ი. დამნაშავე მხარისათვის დაეკისრებინა ისეთი კომპოზიცია, რომლის გადახდასაც იგი შეძლებდა და ამით მხარეთა შერიგება იქნებოდა უზრუნველყოფილი. მორვალის განაჩენი კი მხარეთათვის საეაღლებული იყო, რადგანაც ისინი ნებისმიერ შემთხვევაში იძლეოდნენ განაჩენის ერთგულების ფიცს. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, დაზარალებული მხარე, ერთგულების ფიცის ძალით გადღებულ იყო, რეალური ვარაუდების არაადეკვატური განაჩენი შეესრულებინა. მთ უმეტეს, დაზარალებული საკუთარი ინიციატივით წავიდა იმაზე, რომ ასეთ განაჩენი შესაძლებელი ყოფილიყო, რადგანაც მან შერიგება და სისხლისღერის შეჩერება ყველაფერზე მაღლა დააყენა. ასეთ შემთხვევებში, არ იყო გამორიცხებული, როგორც ეს მაგალითი გვიჩვენებს, შეგნებულ დაზარალებულს (ან დამნაშავე მხარეს) არ მოეთხოვა მორვალისათვის ტოლობაზე დაფიცება.

იქნებიან, მკვლელობა, უბედურება არ მოიშლება მათ ოჯახებში, ამოწყდება მათი საგვარეულო და შთამომავლობა და სხვა (ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში მოცემული ამ გარცამის ფორმულები), ე. ი. მორვალნი მოითხოვს მხარეებისაგან, რომ მათ აუცილებლად შეასრულონ მათი განაჩენი და ასევე იყვნენ ერთმანეთის „ერთგულნი“, საბოლოოდ შერიგდნენ და მათ შორის მტრობა სამუდამოდ აღიკვეთოს, ხოლო თუ ამას არ შეასრულებენ დაწყველილნი იქნებიან. ამ „გარცამზე“ პასუხად მხარეები სათითაოდ წარმოთქვამენ ერთგულების ფიცს და აცხადებენ, რომ უყოყმანოდ აღასრულებენ განაჩენს, იქნებიან განაჩენის ერთგულნი და ერთმანეთის ერთგულნი — ამიერიდან მათ შორის აღარავითარი მტრობა აღარ იქნება და ისინი შერიგებულნი არიან. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, დაზარალებული ერთგულების ფიცს ასე წარმოთქვამს: „თქვენი განაჩენით შერიგებულები ვართ, ისე შეგეწიოთ ღმერთი, შერიგებული ვიქნებით და ერთგულნი ვიქნებით განაჩენის იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი ყურით არ გავიგონებთ საყვედურს და დაცინვას ამ შერიგების თაობაზე“. დამნაშავე მხარე კი ამბობს: „თუ შემირიდებიან, ვალდებული ვარ, გადავიხადო ის, რაც თქვენი განაჩენითაა გათვალისწინებული და ამიერიდან ცუდი არაფერი მოვიმოქმედო მათ მიმართ“<sup>1</sup>.

ერთგულების ფიცის დადების შემდეგ შეიძლება მხარეებმა ერთმანეთის ხელი ჩამოართვან ან გადააკონონ. ცხადია, თუ დამნაშავე მხარე დათქმულ დროს არ გადაიხდიდა განაჩენით დადგენილ კომპოზიციას, მაშინ ერთგულების ფიცი დარღვეულად ითვლებოდა (კერძოდ, განაჩენის უსიტყვოდ აღსრულების ფიცი) და ეს მეორე მხარესაც, ანუ დაზარალებულსაც ათავისუფლებდა ერთგულების ფიცისაგან. ამ შემთხვევაში, ერთგულების ფიცის გატეხვა, შეუსრულებლობა მისი მხრიდან, სრულიად გამართლებულია; მას უფლება აქვს, მტრობა განაახლოს დამნაშავე მხარესთან.

ერთგულების ფიცთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს, რომელზეც არ გაუმახვილებია ყურადღება ავტორთა უმრავლესობას. მხოლოდ მ. კეკელიამ დაუთმო ამ საკითხს განსაკურთხებული ყურადღება. ა. წულუკიანი კი მხოლოდ გაკვრით შეეხო მას. იგი აღნიშნავს, რომ, თუ ოდესმე დამნაშავე მხარის

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

ოჯახის წევრი ან ნათესავი უსაყვედურებდა რაიმეს დაზარალებულს, მიღებული ფიცი და ჩვეულება უფლებას იძლეოდა მოშლილიყო გარეგების ყველა პირობა სისხლის ასაღებად ან შურისსაძიებლად<sup>1</sup>. ავტორი არ აკონკრეტებს, თუ რა შინაარსის საყვედური შეიძლება გამხდარიყო მხარეთა შორის შუღლის განახლების კანონიერი საფუძველი. მ. კეკელია კი საკუთარ მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დამნაშავეის მიერ განაჩენის აღუსრულებლობის გარდა, დაზარალებულის მხრიდან ერთგულების ფიცის გატეხვის გამამართლებელი მოტივი შეიძლება გამხდარიყო დამნაშავეის მხრიდან დაზარალებულის დაცინვა და აბუჩად აგდება იმასთან დაკავშირებით, რომ მას სისხლი არ აუღია და, მიუხედავად ამისა, მაინც დაითანხმეს შერიგებაზე. მაგრამ ეს დაცინვა და აბუჩად აგდება დაზარალებულებმა საკუთარი ყურით უნდა გაიგონონ. მხოლოდ შეურაცხყოფის საკუთარი ყურით გაგონება ანიჭებს უფლებას დაზარალებულს დაარღვიოს ფიცი. ჭორი ან სხვისი ნათქვამი მხედველობაში არ მიიღება და ერთგულების ფიცის გატეხვის მოტივად ვერ გახდება<sup>2</sup>. ამიტომაც დაზარალებული, დამნაშავე მხარისაგან განსხვავებით, ერთგულების ფიცის ფორმულას უმატებს ერთ დამატებით კომპონენტს, რომ იგი მეორე მხარის ერთგული იქნება და ფიცს არ გატეხს მანამ, სანამ საკუთარი ყურით არ გაიგონებს საყვედურს, დაცინვას იმის შესახებ, რომ სისხლი არ აუღია და მაინც შერიგეს.

მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, დაზარალებული ერთგულების ფიცის დადებისას ხატს ჰკიდებს ხელს და ამბობს: „ვიდრე არ მისაყვედურებენ, განაჩენის ერთგული ვიქნები, მაგრამ თუ ჩემი ყურით გავიგონე საყვედური: „ხომ გისისხლეთ, მაგრამ შეგირიგეთ, ფიცის გამტეხი ვარ“<sup>3</sup>. მეორე ინფორმატორიც ადასტურებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ერთგულების ფიცის მიცემისას დაზარალებულმა დამატებით თქვა: „თანახმა და ერთგული ვარ გარცამის მანამდის, ვიდრე დამნაშავე და მისი ახლობლები არ გამაგონებენ შერიგების გამო, „ხომ უსისხლეთ, მოგირიგდით“<sup>4</sup>. ერთგულების ფიცის ეს კომპონენტი მ. კეკელიას ყველა ინფორმატორთან დასტურდება, რომლებიც ერთგულების ფიცს ეხებიან.

<sup>1</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 165.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 148.

ცნობილია, რომ სვანეთში სირცხვილად ითვლება სისხლის აუღებლობა და როდესაც დაზარალებული მხარე, რომელსაც სისხლი არ აულია, მანც თანხმდება სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით, მისი განაჩენის საფუძველზე შერიგებას (მის ამაზე დაყოლიებას, როგორც ენახეთ, შუამავალთა უდიდესი ძალისხმევა სჭირდება), იგი აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამის გამო მას არაფერი უსაყვედურებს ან დასცინებს. ამის გარანტიას კი მას აძლევს სწორედ ერთგულების ფიცი, რომლის მიხედვითაც დამნაშავე მხარე მისი ერთგული უნდა იყოს და არასდროს არ უნდა წამოაძახოს ის, რომ მან სისხლი არ აიღო და მანც შეირიგა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავისუფლდება ფიცისაგან და შეუძლია, მაგალითად, ისისხლოს მისი ახლობლის მკვლეელი ან სამაგიერო გადაუხადოს მის დამჭრელს, რის საშუალებასაც მას თვით ერთგულების ფიცის ფორმულა აძლევს. იგი ისეა აგებული, რომ გამოსავალს უტოვებს დაზარალებულს, დამნაშავე მხარისაგან მისი შეურაცხყოფის შემთხვევაში (ეს შეურაცხყოფა მან საკუთარი ყურით უნდა გაიგონოს), დაარღვიოს ერთგულების ფიცი. ამრიგად, ერთგულების ფიცი საშუალებას აძლევს დაზარალებულს, დაიკვას საკუთარი ღირსება, თუ მას დამნაშავე მხარე ხელყოფს.

ერთგულების ფიცის შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი როლი და მნიშვნელობა მართლაცდა უდიდესია სასამართლო პროცესში. ერთგულების ფიცის გარეშე, საერთოდ, წარმოუდგენელია სვანეთში სამედიატორო სასამართლოს ჩატარება. შესაძლოა, მხარეებმა მორევებს რაიმე კონკრეტულ შემთხვევაში არ მოსთხოვონ ტოლობის ფიცის დადება, ერთგულების ფიცის მიცემა მხარეთა მიერ კი ყოველთვის ხდება ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. რომ არა ერთგულების ფიცი, მედიატორები არც დათანხმდებოდნენ თავიანთი ფუნქციის შესრულებას. სწორედ, ერთგულების ფიცია იმის გარანტი, რომ მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენი შესრულდება და მათი საქმიანობა ტყუილუბრალოდ არ ჩაივლის. ასევე ერთგულების ფიცია იმის გარანტიც, რომ სამედიატორო სასამართლო თავის ძირითად მისიას შეასრულებს – შეარიგებს და მოსპობს მათ შორის ყოველგვარ მტრობას. ერთგულების ფიცის ფორმულა, სწორედ, შესაბამისი კომპონენტებისაგან შედგება. ასე რომ, მორვალის საქმიანობას ერთგულების ფიცი ამაგრებს. იგი ძირითადი მექანიზმია, რომელიც სავალდებულოს ხდის მხარეთათვის განაჩენის უსიტყვოდ აღსრულებასა და მხარეთა საბოლოო შერიგებას.

საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ სამედიცინო სასამართლოს განაჩენი ფაქულტატურია და მისი აღსრულება, ძირითადად, მხარეებზეა დამოკიდებული. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ხვესურულ ჩვეულებით სამართალში. სვანეთში კი აშკარად იკვეთება სამედიცინო სასამართლოს განაჩენის სავალდებულოდ ქცევის ტენდენცია. სამედიცინო სასამართლოს განაჩენის სავალდებულობის უზრუნველყოფი კი, სწორედ, ერთგულების ფიცია — მხარეების ხატის წინაშე დაფიცება, რომ უსიტყვოდ შეასრულებენ განაჩენს, თუ არადა, საშინელი წყევლა-კრულვის მსხვერპლი გახდებიან. ხატისადმი უაღრესად დიდი შიში და კრძალვა წარმოუდგენელს ხდიდა სვანისათვის ერთგულების ფიცის შეუსრულებლობას. ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცრუ ფიცის შემთხვევაში ამოწყდებოდა მათი ოჯახი, შთამომავლობა და ყოველგვარი უბედურება მათი ახლობლების თანმდევი იქნებოდა, ე. ი. ის, რაც „გარცამშია“ ნათქვამი, თავს დაატყდებოდა მათ. ამიტომ სვანეთში ერთგულების ფიცის შეუსრულებლობა იშვიათი შემთხვევა ყოფილა. ეს ფიცი უძლიერეს ზემოქმედებას ახდენდა მხარეებზე და ძალზე ეფექტური იყო განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასეთი ფიცის პირობებში განაჩენის ფაქულტატურობაზე საუბარი არ შეიძლება, იგი განაჩენის აღსრულების სავალდებულობას განაპირობებდა, უფრო ეფექტურად, ვიდრე ამას ნებისმიერი, თუნდაც უძლიერესი სახელმწიფოს იძულებითი აპარატი განახორციელებდა (ასე რომ, თითოეული ეპოქა სამართლის ნორმათა შესრულების საკუთარ მექანიზმს ქმნის, რომელიც უფრო გამოსადეგი და შედეგიანი იქნება მოცემული ეპოქის ადამიანებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მათი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით. ადრეულ ეტაპზე ეს არის ფიცი, შემდგომ ეტაპზე კი, როდესაც ღმერთისადმი სუსტდება რწმენა და აღარაა ისეთი საყოველთაო, საზოგადოება უკვე სხვა გამოსავალს ეძებს, კერძოდ, ქმნის სახელმწიფოს და უპირატესობას სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელ ელემენტებს ანიჭებს).

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამედიცინო სასამართლოს ძირითადი მიზანი, დანიშნულება დაპირისპირებულ მხარეთა შორის მტრობის, შურისძიების აღკვეთაა, ხოლო ერთგულების ფიცი ამის უზრუნველყოფია, უნდა ვთქვათ, რომ ერთგულების ფიცი ის მთავარი მექანიზმია, რომელზეც დაფუძნებულია მთელი სასამართლო პროცესი. ამ თვალსაზრისით, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტოლობის ფიცსაც. მხარეები

იმიტომ თანხმდებოდნენ ფიცის ქვეშ უსიტყვოდ აღესრულებინათ მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენი და ამ განაჩენის საფუძველზე შერიგებოდნენ მეორე მხარეს – მოესპოთ ერთმანეთში ყოველგვარი მტრობა, რომ დარწმუნებულნი იყვნენ მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენის სამართლიანობასა და ობიექტურობაში. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ მორევები ტოლობის ფიცს აძლევენ ორივე მხარეს. სწორედ, ამ ფიცის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ მორევები ობიექტურ, სამართლიან და მიუკერძოებელ განაჩენს გამოიტანდნენ. ასეთი ფიცით დაიმედებული მხარეები უკვე ერთგულების ფიცს იძლევიან. ამრიგად, ტოლობისა და ერთგულების ფიცი ავსებენ ერთმანეთს და სვანეთში სასამართლო პროცესის ქვაკუთხედს წარმოადგენენ.

სასამართლო პროცესი

§1. საქმის არსებითი განხილვა

მხარეთა მიერ მორევთა არჩევის შემდეგ, უშუალოდ იწყება სასამართლო პროცესი. თავდაპირველად ხდება მორვალის მიერ საქმის შინაარსის შესწავლა, რაც მხარეთა და საჭიროებისას, მოწმეთა დაკითხვით ხორციელდება. ფაქტობრივად, ადგილი აქვს სასამართლო გამოძიებას. მორევები თვითონვე თანხმდებიან, თუ როდის დაეწყოს ეს პროცედურა. მორევთა მიერ მხარეების დაკითხვა მათივე ოჯახებში ხდებოდა. მხარეებს გარკვეული „ხარჯი“ უნდა გაეწიათ და უხვად გამასპინძლებოდნენ მათთან ოჯახში მოსულ მორევებს. დადგენილი წესის მიხედვით, პირველად ეს მოვალეობა მომჩივანს ეკისრებოდა. მორევები საქმის შინაარსის გარკვევას, სწორედ, მისი დაკითხვით იწყებდნენ. მორევების მთელი შემადგენლობა ერთად მოიყრიდა თავს და გაემართებოდა დაზარალებულის ოჯახში, სადაც, უპირველეს ყოვლისა, მოისმენდა დაზარალებულის სარჩელს, შემდეგ კი დამნაშავეს ოჯახს ესტუმრებოდა და მის ჩვენებას ისმენდა (დამნაშავე მხარის ჩვენებას, მ. კეკელიას განმარტებით, ასევე „სარჩელი“ ეწოდება)<sup>1</sup>. ახლა უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ სასამართლო გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

დაზარალებულის ოჯახში მისულ მორვალს მასპინძელი უდიდესი პატივისცემით ხვდება. იგი წინასწარ ემზადება, სუფრას შლის, სადაც უხვადაა პური, ხორცი, არაყი, ყველი და სხვა<sup>2</sup>. მორვალის გამასპინძლება საარაკო უნდა ყოფილიყო. მასპინძლებიცა და სტუმრებიც სხდებიან სუფრასთან. სუფრის თავში ოჯახის უფროსი ჯდება. იგი იღებს პირველ სასმისს და ახსენებს უფალს: „დიდება შენდა უფალო, რომელმაც ჩემს ოჯახში მშვიდობის დასამყარებლად ეს პატიოსანი ხალხი შეჰყარა“<sup>3</sup>, შემდეგ კი მიმართავს მორევებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მიმართვა განსხვავებული სიტყვებისა თუ ფრაზების შემცვე-

<sup>1</sup> მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი II, თბ., 1981, გვ. 113.

<sup>2</sup> მორვების გასამასპინძლებელ სუფრას, რომელიც იშლება როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავეს ოჯახში, „მორვალი-ტაბავს“ ეწოდებენ (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 114).

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

ლია, მაგრამ მისი შინაარსი, აზრი ყოველთვის ერთია. აქ გამოხატულია მადლიერების გრძნობა მორევთა მიმართ, რომ ისინი შეწუხდნენ და ცდილობენ მხარეთა გარიგებაზე, ასევე მოითხოვენ არ დაჩაგრონ ისინი და მათ ტოლად ჩათვალონ. ოჯახის უფროსი გამოთქვამს იმედს, რომ მორევთა ოჯახებს ღმერთი ასეთ სუფრებს ააცილებს და მომავალში მის ოჯახსაც. ბ. ნიჟარაძესთან ეს მიმართვა ასეა ჩამოყალიბებული: „ჩემი მადლი თქვენ გქონდესთ, ჩემს მოწყალე-შემწე კაცებს; ღმერთმა ჰქნას, რომ ამგვარი შემთხვევა არ მენახოს თქვენს ოჯახებში. ღმერთმა გიზღოთ ამის მაგიერი, რასაც დღეს თქვენ ჩემთვის შრომას ჰსწევთ!“<sup>1</sup>. მ. კეკელიას ერთ-ერთი ინფორმატორის მონაყოლის მიხედვით, ოჯახის უფროსი ასე მიმართავს მორევებს: „... თქვენის წყალობით უფალმა სიკეთე მოიტანა ჩემს სახლში, წყალობა, რომ ერთმანეთს არ შევაწყდეთ, თქვენა ხართ ჩვენი სულის შემრჩენელები, უფალი გფარავდეთ და გიხდიდეთ სამაგიეროს, საქონლისა და კაცის სიყვარული, მშვილობა კაცთა შორის იყოს თქვენთან – ჩვენთან. ღმერთი შეგეწიოთ ყველას“<sup>2</sup>. ამის შემდეგ ოჯახის უფროსი ცლის სასმისს და სხვებიც ასე იქცევიან<sup>3</sup>. ასე რომ, პირველი სადღეგრძელო ღმერთისადმი მიმართული და როგორც რ. ხარაძე აღნიშნავს, განკუთვნილია ოჯახის კეთილდღეობისა და შერიგებისათვის<sup>3</sup>.

მეორე სადღეგრძელოთი მოიხსენიებენ მთავარანგელოზს (მიქელ თარნგზელის), მესამე სასმისი კი წმინდა გიორგის (ჯგრაგ) ეძღვნება<sup>4</sup>. უპირველეს ყოვლისა, სწორედ, ამ სამ სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ მორევებს შეეძლოთ მხოლოდ პირველი სასმისი შეესვათ, დანარჩენი კი წარმოეთქვათ რა თქმა უნდა, ამ სამი სადღეგრძელოს გარდა, სხვაც შეისმებოდა, მაგრამ მორევები არასდროს თვრებოდნენ<sup>5</sup>. ეგ. გაბლიანი გირგვლიანებსა და ფარჯიანებს შორის დაპირისპირების საქმეზე მორევთა მისვლას ბრალმდებელი მხარის – გირგვლიანების ოჯახში ასე აღწერს: „ჩვენ მზად დაგვხვდა პური, ხორცი, ყველი და ხაჭაპურებით საუსე ტაბაგები. მისვლისთანავე სუფრას შემოუუსხდით, რიგისამებრ დაისხა კათხებში უხვად არაყი და თითო კათხა ყველას ჩამოგვირიგეს. ამ დროს სუფრის თავში მჯდომი

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ 96.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 113-114.

<sup>3</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ 29.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 114.



თემის მახვში (გვარეულობის უფროსი) ადგა, კათხა ხელში დაიჭირა და მოგემართა: „ხოჩა მორვალ (კარგო მორვებო) დღეს სამარცხენო „ტაბაგი“ (სუფრა) სღვას ჩვენს ოჯახში. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დარცხვენილი და საბრალონი ჭართ. ამისთანა სუფრა და საქმე ღმერთმა ააშოროს თქვენს ოჯახებს. ჩენი საბრალობა და მწუხარება ღმერთმა ნურც ერთ თქვენგანს ნუ მისცეს. მარტო სალხინოდ მოსულიყოს ყველა თქვენს ოჯახებში და ჩემი მადლი თქვენ მოგეცეთ, თუ ამ სირცხვილეულ გარიგებაში მაინც არ დაგეჴაგროთ, თქვენს სწორად და ტოლად ჩაგვაგდოთ“. ჩვენ აეხმაურდით და, როგორც წესია, მივმართეთ: „ღმერთმა ამიერიდან შენს ოჯახში მარტო კარგი სუფრა დადგას. დღეს რომ საქმეზე ვართ მოსული, ამისთანა საქმეზე მოსვლა და ხარჯი ააშოროს შენს სახლს და ამიერიდან სალხინოდ და სამხიარულოდ მოვსულიყვეთ შენსას ყველანი“ და სხვა. მერე ყველამ არაყი გადაეკარით. ამის შემდეგ მახვში ჴამას შეუღვა. ჩვენც ყველამ ჴამა დავიწყეთ და სამ-სამი კათხა დაველიეთ წესისამებრ“<sup>1</sup>.

მესამე სადღეგრძელოს დროს სრული სიჩუმეა, რაც რამდენიმე წუთს გრძელდება. ყველა ჴამას თავს ანებებს. შემდეგ გამოდის ოჯახის უფროსი, დგება შუა ადგილას, ყველა მას უყურებს – მორვალიცა და იქ შეკრებილი ხალხიც. იგი ამ დროს მოსარჩელედ, „სარჩელის მთქმელად“ გვევლინება. თავდაპირველად, იგი ახსენებს ღმერთს, შემდეგ მიუბრუნდება მორვებს და ეხვეწება, რომ ეცადონ, სამართლიანად გადაწყვიტონ საქმე და შემდეგ დაწერილებით აყალიბებს თავის „სარჩელს“, მორვებს მოახსენებს საქმესთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსს: როგორ მოხდა დანაშაული, რა შედეგი მოჴყვა მას და სხვა<sup>2</sup>. ბ. ნიჴარაძე აღნიშნავს, რომ სარჩელის დასრულების შემდეგ მოსარჩელე გამოსცლის კათხას, მორვები კი აიმედებენ, რომ ჯეროვნად დააბოლოებენ საქმეს. მერე მოჴყვებიან ჴამა-სმას. ბოლოს, ოჯახს დატოვებენ და თავიანთ სახლებში მიდიან. ძალზე შთაბეჭდავად აღწერს ეგ. გაბლიანი ზემოაღნიშნულ საქმეზე დაზარალებული მხარის მიერ წარმოთქმულ სარჩელს. მისი მონათხრობი ასეთია: „ადგა სუფრის თავში მჯდომი 80 წლის მოხუცი, გირგვლიანების გვარეულობის „მახვში“ ბაძუ გირგვლიანი. გაჩერდა კერასთან, დაებჯინა ჯოხს და დაიწყო თავისი „სარჩელის“ წარმოთქმა.

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 100-101.

<sup>2</sup> რ. ზარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

ამ დროს მედიატორები, როგორც წესი, ჭამა-სმას თავს ანებებენ, ყველა სმენადაა გადაქცეული და ყურადღებას მოსარჩელეს მიაპყრობენ. სიტყვის დაწყებისთანავე, ამ მოხუცმა გადმოყარა ცრემლები, მის გვარეულობის მრავალრიცხოვან წევრებს შორის ატყდა ტირილი, ქვითინი, ახალგაზრდები იმდენად აღელდნენ, როცა მათი მოკლული წინაპრის მკვლელობაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ სახლში ვერ გაჩერდნენ<sup>1</sup>. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ ხშირად ყოფილა ასეთ საქმეებზე მედიატორად, მაგრამ ამგვარი სურათი არ უნახავს. მახუშმა თვალებიდან ჩოხის კალთებით ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო თავისი გრძელი ოთხსაათიანი სარჩელის მჭევრმეტყველურად წარმოთქმა. სიტყვის გათავების შემდეგ, ამდენ ხანს სმენად გადაქცეულმა მედიატორებმა ჭამა-სმა განაგრძეს. ამ დროს მედიატორთა მხრივ ბევრი დიპლომატიური სიტყვა წარმოითქვა. სადილი რომ გათვდა, აიღეს სუფრა და მორევები ოჯახს გამოეთხოვნენ<sup>1</sup>.

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, მორევთა შორის გამოიყოფოდნენ პირები, რომელთაც სიტყვასიტყვით უნდა გადაეცათ საჩივარი მოპასუხისათვის. ეგ. გაბლიანთანაც კარგად ჩანს ასეთივე ფუნქციით აღჭურვილი ორი მედიატორი. იგი აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, ორ მედიატორს, რომლებიც მეხსიერებითა და ენის სიმკვეთრით ყველას სჯობდნენ, დაევალებათ, დაწვრილებით და დალაგებით გადაეცათ მოპასუხისათვის მოძივანისაგან მოსმენილი სარჩელის შინაარსი<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, სვანეთში მედიატორები თავიანთი რიგებიდან ასახელებენ ორ მორევალს, რომლებიც გამოირჩევიან კარგი მეხსიერებითა და მჭევრმეტყველებით და მათ ავალებენ გარკვეული ფუნქციების შესრულებას, კერძოდ, მხარეთა სარჩელის განსაკუთრებული გულისყურით მოსმენას, დამახსოვრებასა და შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით მეორე მხარისათვის გადაცემას<sup>3</sup>. ამავე დროს, სარჩელის გადაცემისას მათ თავიანთი მჭევრმეტყველებაც უნდა გამოავლინონ და გარკვეული დიპ-

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

<sup>2</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 96. ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

<sup>3</sup> მ. კეკელია აღნიშნავს, რომ მის მასალებში უკვე აღარ ჩანს ამჟამად ორი ასეთი მორევალის საეცალური გამოყოფა. მ. კეკელიას მასალებით ფიქსირდება „დამამახსოვრებლის“ ინსტიტუტი. მაგრამ აქ დამამახსოვრებელი ერთი მხარის მიერ სარჩელის მეორეზე გადაცემა კი არ არის, არამედ მხოლოდ ზუსტი გამსწნებელი იმისა და საჭიროებისას მორევალისათვის ცნობის მიწოდებული იმაზე, რაც მოწინააღმდეგე მხარის ოჯახში ითქვა ძირითადი მოსარჩელისა თუ სხვა პირის მიერ მისი თქმით, მორევალი დამამახსოვრებლის არჩევის საკითხს, უმეტესად, დაზარალებულის ოჯახში.

ლომატიურობაც. ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ მორევთა სიტყვა-პასუხი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სირბილითა და ტკბილზმოვანებით, ისინი ისე გადასცემდნენ საჩივარს მოპასუხესა და მომწივარს, რომ ორივეს ერთმანეთის მთხოვნელად, მომწივანებლად და სიმართლის მაძიებლად წარმოადგენდნენ. ამიტომ, როდესაც მორევები ჩაერეოდნენ საქმეში, მაშინ იგი ყოველთვის სიამტკბილობით მთავრდებოდა<sup>1</sup>. ასე რომ, მორევების ფუნქცია მხარეებს შორის შემრიგებლური ატმოსფეროს შექმნასაც გულისხმობდა.

მორევები სარჩელის მოსმენის შემდეგ, მეორე დღეს მიდიან მოპასუხის ოჯახში, რომელმაც იცის მათი მოსვლის შესახებ და მომზადებულია ამისათვის<sup>2</sup> (ფარჯიანებისა და გირგულიანების საქმეზე მედიატორები იმ დღესვე მივიდნენ მოპასუხის ოჯახში, როგორც კი მოსარჩელე მხარესთან ვახშამი გაათავეს). აქაც მასპინძელი მორევებს იმავე წესების დაცვით ხელდება, როგორც მოსარჩელე მხარე. სუფრაზე ორჯერ ჩამოატარებენ სავსე კათხებს და მესამედ რომ აავსებენ სასმისს, ფეხზე დგება ორი მორვალი და დაწვრილებით გადასცემს საჩივარს მოპასუხეს, ხოლო თუ ამ ორს რაიმე დაავიწყდებოდა, მაშინ დანარჩენ მორევებს უნდა გაეხსენებინათ<sup>3</sup>.

მოპასუხე (დამნაშავე) მხარე მოისმენს რა მორევთაგან დაზარალებულის სარჩელს, იგი იმავე წესით, როგორც მოსარჩელე, მოახსენებს მორევებს თავის ჩვენებას და პასუხს გასცემს მათ მისი პასუხის დამახსოვრება განსაკუთრებით ორი მორვალის მოვალეობა იყო. პასუხის მოსმენის შემდეგ კვლავ გრძელდება ჭამა-სმა, ბოლოს კი სახლებში მიდიან<sup>4</sup>. მეორე დღეს მორევები ისევ მომწივანის ოჯახში ბრუნდებიან დამნაშავე მხარის პასუხის გასაცემად. თუ მომწივანი რამეს დაუმატებდა, მორევები კვლავ დამნაშავის ოჯახში უნდა მისულიყვნენ და დანა-

---

სუფრასთან წყევტხ. იშუათად, ოჯახში მიხელამდე ჰყავთ იგი ამორჩეული (მ. ყველია, დასახ. ნაშრ., გვ. 115). იგი ასევე აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს, ბოლო ათეულ წლებში საერთოდ არ ირჩევენ დამახსოვრებელს. ყველა მორვალი კეთილება მისთვის საინტერესო საკითხზე და ყველა იმახსოვრებს (მ. ყველია, დასახ. ნაშრ., გვ. 116). დ. ღვითულაიანის მიხედვითაც, დაზარალებულის სარჩელს ყველა მორვალი ერთნაირად, დიდი გულისყურით იხშენს და იმახსოვრებს, ხოლო ერთი, „კარგად მოლაპარაკე“ მორვალი გადასცემს დამნაშავეს დაზარალებულის სარჩელს და, პირიქით, დ. ღვითულაიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 149).

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 96-97.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 97.

ბარები გადაეცათ. დამნაშავეის შესაბამისი პასუხის შემთხვევაში, ისევე მომჩივანთან დაბრუნდებოდნენ და ა. შ.<sup>1</sup> მორვალთა მოვალეობაა დაწერილებით შეისწავლონ საქმესთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, ყველა ნიუანსი. ამისათვის მათ შეიძლება ორივე მხარესთან რამდენჯერმე მისვლა დასჭირდეთ და ყოველი მისვლისას, თუ რაიმე სიახლეს მოისმენენ მხარისაგან, ეს უნდა გადასცენ მეორეს. მისგან მოისმინონ შესაბამისი ახსნა-განმარტება და ა. შ. ეს მისვლა-მოსვლა მხარეებთან ჩვენებათა ჩამოსართმევად (ამას სევანურად, დ. დავითულიანის განმარტებით, ეწოდება „ლიმციქულ“)<sup>2</sup>, შესაძლოა, ორისამი დღე ან რამდენიმე კვირაც გაგრძელდეს.

ეგ. გაბლიანი აღწერს მორვალთა მისვლას ფარჯიანების (მოპასუხის) ოჯახში, სადაც ასევე გაიშალა სუფრა და აქაც ისე, როგორც მომჩივანის ოჯახში, დაიწყო ჭამა-სმა, მომჩივანის „სარჩელის“ გადაცემა, საპასუხო სიტყვის თქმა, რამაც კარგა ხანს გასტანა. გათენებისას, ვინც ახლომახლო სოფლებიდან იყო, წავიდნენ დასაძინებლად თავიანთ სახლებში, დარაჩენებმა იქვე დაიძინეს. მეორე დილით ყველამ მოიყარა თავი, ისაუზმეს და შემდეგ მომჩივანის ოჯახში წავიდნენ. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ თუ მოპასუხის მიერ ისეთი რამ იქნება ნათქვამი, რაც მომჩივანს თავის სიტყვაში არ აღუნიშნავს, მაგრამ მას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაშინ მედიატორები ვალდებული არიან, ისე დაბრუნდნენ მოსარჩელეს ოჯახში, ამის შესახებ მოახსენონ მას და მისგან პასუხი მოისმინონ. ამ საქმეში მოპასუხემ ბევრი რამ ისეთი თქვა, რაც მომჩივანისათვის უნდა გადაეცათ მორევებს და მათგან პასუხი მოესმინათ. მედიატორთა მისვლა-მოსვლა მომჩივან-მოპასუხის ოჯახებში ამ კონკრეტულ საქმეზე ორ დღეს გაგრძელდა<sup>3</sup>. დ. დავითულიანი ამტკიცებს, რომ მხარეებს მორევების გასამაჰსინძღებელი „ხარჯი“ მხოლოდ პირველი სტუმრობისას ეკისრებოდათ. ამის შემდეგ, გამოძიება თუნდაც ერთ თვეს გაგრძელებულიყო, მათ არავითარი „ხარჯის“ გადახდა აღარ უწევდათ. საერთოდ, მორევების სტუმრობა საკმაოდ მძიმედ აწვა პროცესში მონაწილე მხარეთა ოჯახებს<sup>4</sup>. დ. დავითულიანის მიერ მოყვანილი საქმის გარჩევის კონკრეტული მაგალითიდან ირკვევა, რომ

<sup>1</sup> ბ. ნიგარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

<sup>3</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

მედიატორები მხარეებს შორის მოციქულობდნენ კვირაზე მეტ ხანს, ისმენდნენ სარჩელებს და ყველაფერს აზუსტებდნენ<sup>1</sup>.

როგორც აღინიშნა, მორევთა მიერ სასამართლო გამოძიების ჩატარება, მხარეთა დაკითხვა, მათი ჩვენებების მოსმენა, მხარეთა ოჯახებში ხდება განსაზღვრული ცერემონიებისა და რიტუალური ელემენტების დაცვით (რა თქმა უნდა, სასამართლოსთვის განკუთვნილი სპეციალური შენობა სენათში არ არსებობდა, რადგანაც სპეციალიზებული, მულტიმედიური სასამართლო ორგანო, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი, აქ არ იყო და მედიატორებს მხოლოდ საჭიროებისას ირჩევდნენ მხარეთა ნება-სურვილით). მასალებიდან ასევე კარგად ირკვევა, რომ სენათში, ისევე როგორც ხევსურეთში, გამორიცხულია მხარეთა დაპირისპირება. მიზეზიც ანალოგიური უნდა იყოს. სამედიატორო სასამართლოს ძირითადი ფუნქცია მხარეთა შერიგებაა. მხარეთა ერთად თავშეყრამ კი შეიძლება ძალზე დაძაბოს ვითარება, მით უმეტეს, თუ მათ ჩვენებებს შორის განსხვავებაა. ამ დროს დაპირისპირების ჩატარება მხარეთა შორის ნამდვილად მიზანშეუწონელი იქნებოდა, განსაკუთრებით მკვლელობის ან სხვა მძიმე საქმეზე, როდესაც სისხლი არ არის აღებული. შეხვედრისას, შესაძლოა, რომელიმე მხარის (უფრო დაზარალებულის) წარმომადგენელს, არ მოეწონოს მოპირდაპირე მხარის სიტყვა, მისი ჩვენება, თავი ველარ შეიკავოს და ამან უთანხმოება, შეზღა-შემოზღა, ანდა სულაც სისხლის ღერა და, ცხადია, შერიგების პროცესის ჩაშლა გამოიწვიოს. სწორედ ამიტომაც, რომ მედიატორები ყველანაირად ცდილობენ, თავისი სიტყვით, დიპლომატიურობით შეარბილონ დაპირისპირება. ხევსურეთის მსგავსად, აქაც ისინი მხარეებს ერთმანეთის მიმართ მთხოვნელებად, მომნანიებლებად სახავენ, მხარეთა მკვეთრ გამონათქვამებს არბილებენ ან საერთოდ მალავენ და სხვა.

მხარეთა მიერ ჩვენების მიცემა, შესაძლოა, საკმაოდ ღირხანს გაგრძელებულიყო. მორევებს, ცხადია, უფლება ჰქონდათ შეკითხვები დაესვათ მხარეთათვის და ესა თუ ის საკითხი დაეზუსტებინათ ძირითადი მოსარჩელისა თუ მოპასუხის გარდა, მორევებს შეეძლოთ სხვებისგანაც მიეღოთ ესა თუ ის ინფორმაცია. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ ფარჯიანებისა და გირგვლიანების საქმის განხილვისას აღმოჩნდა ერთი 120 წლის მოხუცი ქალი, გირგვლიანების გვარში, რომელიც მაშინ, როცა

<sup>1</sup> დ. ლავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 147-149.

პირველი მკვლევლობა მოხდა, დაბადებული ყოფილა, ხოლო მეორე მკვლევლობის შემდეგ, მოწმე ყველაფერი იმისა, რაც ამ ორ გვარეულობას შორის მომხდარა. მან ბევრი საინტერესო ცნობა შემატა მომჩივან-მოპასუხის ნააპბობს (ეგ. გაბლიანს ყოველივე მისი ნააპბობი რვეულში ჩაუწერია მედიატორებისათვის მოსახსენებლად. იგი რამდენიმე თავკაცთან ერთად იყო მისული მასთან)<sup>1</sup>. მორეები იმდენჯერ დაჰკითხავდნენ მხარეებს, იმდენჯერ მივიდოდნენ მათთან, რამდენჯერაც ეს საჭირო იყო. მათ შეეძლოთ მოწმეებიც დაეკითხათ. დ. დავითულიანი მიუთითებს, რომ სვანეთში მოწმე მეტად იშვიათად იყო გამოყენებული და ფიცის გარეშე მის ჩვენებას არავითარი ღირებულება არ ჰქონდა<sup>2</sup>. ბ. ნიჟარაძის მიხედვით კი, მოწმეები აუცილებელნი იყვნენ, როდესაც რაიმე ძველი შემთხვევა იყო გასახსენებელი. ამის მომსწრე მოსუცი კაცების ჩვენება მეტად მნიშვნელოვანი იყო საქმისათვის<sup>3</sup>. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, მოხუცი ქალის დაკითხვა ეგ. გაბლიანის მიერ. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს „მასხოვარ“ მოწმის ინსტიტუტთან, რომელიც საკმაოდ ცნობილი ინსტიტუტია ძველ ქართულ სამართალში. სვანეთში ვხვდებით „მთხრობლის“ ინსტიტუტსაც. საჭიროების შემთხვევაში, საქმის გამრჩევ მორეებს, შესაძლოა, მთხრობელი პირზე დაეყენებინათ ეჭვმიტანილისათვის<sup>4</sup>.

თუ ბრალდებული მხარე უარყოფდა ამა თუ იმ ფაქტს და ამას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მორეები დააფიცებდნენ მას სვანეთში მიღებული წესის შესაბამისად და ფიცის შედეგებს ითვალისწინებდნენ განაჩენის გამოტანისას. ხევსურეთის მსგავსად, სვანეთში სამედიატორო სასამართლო ურთიერთდაკავშირებულ დანაშაულობებს (ერთსა და იმავე მხარეებს შორის) ერთობლივად განიხილავდა, კერძოდ, თუ მკვლევლობას შურისძიების ნიადაგზე მოჰყვებოდა მკვლევლობათა და სხვა დანაშაულთა მთელი ჯგუფი, სამედიატორო სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარეები ამ ინსტიტუტის მეშვეობით, ბოლოს და ბოლოს, შერიგებას გადაწყვეტდნენ, ყველა ამ დანაშაულს ერთად განიხილავდა, ყველა ეპიზოდთან დაკავშირებით, დაწვრილებით ინფორმაციას

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

<sup>3</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

<sup>4</sup> მ. კაკელია, „მთხრობელი“ ბაღს ზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, №2, 1973, გვ. 78.

შეკრება. სრულიად შესაძლებელია, რომელიმე ეპიზოდთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მხარის დაფიცება გამხდარიყო საჭირო, გარკვეული ფაქტის დადასტურებისა თუ უარყოფისათვის. ასე მოხდა გირგვლიანებისა და ფარჯიანების დავის განხილვისას, როდესაც სადავო გახდა პირველი მკვლელობა. გირგვლიანებს დააკისრეს ფიცი. სხვა მკვლელობებთან დაკავშირებით კი, რომელიმე მხარისადმი ფიცის დაკისრება არ გამხდარა საჭირო<sup>1</sup>. მთელ საქართველოში და ასევე სვანეთშიც საკმაოდ ხშირად ხდებოდა ფიცის, როგორც თავის მართლების საშუალების გამოყენება. თუ ერთი პიროვნება მეორეს აბრალებდა რაიმე დანაშაულის ჩადენას, ეს უკანასკნელი კი უარყოფდა ამას, მაშინ ეჭვმიტანილ მხარეს ხატზე დააფიცებდნენ და ამით მას შეეძლო თავის მართლება და ყოველგვარი ეჭვისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. ფიცს, როგორც სასამართლო მტკიცებულებას, სვანეთში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთივე მნიშვნელობის იყო იგი მედიატოროთათვისაც და ფიცის შედეგებს განაჩენის გამოტანისას ისინი, ცხადია, ცალსახად და უდავოდ ითვალისწინებდნენ.

## §2. მედიატოროთა მსჯელობა განაჩენის დასადგენად და განაჩენის გამოტანა

მედიატოროთა მიერ განსახილველი საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად შესწავლისა და მხარეთაგან ამომწურავი ინფორმაციის მიღების შემდეგ ხორციელდებოდა სასამართლო პროცესის შემდგომ სტადიაზე გადასვლა. იგი გულისხმობდა მსჯელობას განაჩენის ირგვლივ და განაჩენის, ანუ „ნამორავის“ დადგენას. ადგილს, სადაც მედიატორებმა განაჩენზე უნდა იმსჯელონ, თვით მედიატორები შეარჩევენ. ადგილის შერჩევა დამოკიდებულია წელიწადის დროზე, ამინდზე, ასევე გარემო პირობებზე – იგი ისეთ ადგილას უნდა შემდგარიყო, რომ მედიატოროთა თათბირი საიდუმლოდ დარჩენილიყო.

ზაფხულში მორევები სოფლის განაპირას, ხეებით დაჩრდილულ ადგილას, სათბობში ან მინდორში იკრიბებოდნენ, ხოლო ზამთარში, ხელისშემშლელი კლიმატური პირობების დროს – ავდარში, თოვლში ან ქარში – სოფლის რომელიმე უკაცრიელ სახლში. მაგალითად, ფარ-

<sup>1</sup> ვე. გაბლიანი, დასახ. ნაშრ. ვვ. 105.

ჯიანებისა და გირგვლიანების საქმეზე განაჩენის დასადგენად, მედიატორები სოფლის განაპირას, მინდორში გავიდნენ და ხეებქვეშ ითათბირეს, რადგანაც კარგი ამინდები იყო და ერთი კვირის განმავლობაში, სწორედ, ამ ადგილას იყრიდნენ თავს<sup>1</sup>.

დ. დავითულიანის ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც მედიატორი იყო კონკრეტულ საქმეზე, აღნიშნავს, რომ მედიატორები განაჩენის დასადგენად სოფლის უკაცრიელ სახლში შეიკრიბნენ და არა სოფლის განაპირას, რადგანაც შემოდგომაზე ხდებოდა საქმის განხილვა და ცუდი ამინდები იყო<sup>2</sup>. მ. კეკელიას განმარტებით კი, მორევებს, თუ ღამით უხდებოდათ მსჯელობის დაწყება, ძირითადად, უკაცრიელ სახლში მიდიოდნენ, დღე კი – ღია ადგილას, თუ, რა თქმა უნდა, ამინდიც შეუწყობდა ხელს<sup>3</sup>.

როგორც აღენიშნეთ, განაჩენის გამოსატანად ადგილის შერჩევა მედიატორთა თათბირის საიდუმლოების უზრუნველყოფის აუცილებლობით იყო განაპირობებული. მედიატორთა მსჯელობა ძალზე გასაიდუმლოებულ ვითარებაში ტარდებოდა და განაჩენის მხარეთათვის გამოცხადებამდე არ შეიძლება გამჟღავნებულიყო საქმის ესა თუ ის გარემოება, ვთქვათ, როგორ წარიმართა მედიატორთა მსჯელობა, ვის რა პოზიცია ჰქონდა (რომელ მხარეს ემხრობოდა) და რა განაჩენი იქნა გამოტანილი. თუ საიდუმლო გამხელილ იქნებოდა, ორივე მხარეს უფლება ეძლეოდა მოემალა ყველა პირობა და არ დამორჩილებოდა განაჩენს<sup>4</sup>.

ამიტომ მედიატორები სათათბიროდ ისეთ ადგილს არჩევდნენ, რომ გზა განმარტობული და მიუვალი ყოფილიყო. შემოდამებულზე ცეცხლს არ ანთებდნენ, რათა გამჟღავნება ყურადღება არ მიექციათ. ამ დროს, ისინი ან იშლებოდნენ და მეორე დღისთვის გადაჰქონდათ შეკრება ან სიბნელეში აგრძელებდნენ მსჯელობას, ზოგჯერ კი უკაცრიელ სახლში გადადიოდნენ. ისედაც მომხდარა, რომ გვიან ღამით დაუმთავრებით სარჩელების მოსმენა, პირდაპირ სახლებში წასულან და მეორე დღეს კი, დათქმულ დროზე, ისევ შეკრებილან<sup>5</sup>. ასე რომ, მედიატორები

<sup>1</sup> ვ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ 104.

<sup>2</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ 145.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 116.

<sup>4</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ 67.

<sup>5</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 116-117.



გარკვეულ ზომებს იღებდნენ, რომ მოსმენის ყოველგვარი შესაძლებლობა გამოერიცხათ!

შერჩეულ ადგილას მედიატორები იკრიბებიან და იწყებენ მსჯელობას.<sup>2</sup> მსჯელობის მიმდინარეობა გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა. პირველად მოსაზრებას გამოთქამდა ასაკით ყველაზე უფროსი. იგი თანამიმდევრობით იმეორებდა საქმის გარემოებებს, წარმოაჩენდა ყველაზე არსებითს მხარეთა სარჩელებში, ხაზს უსვამდა იმ ფაქტებს, რომლებიც დამტკიცდა ან არ დამტკიცდა, შემდეგ კი მიუთითებდა, თუ ჩვეულებითი სამართლით რა სასჯელს ითვალისწინებდა მოცემული დანაშაული, რა კომპოზიცია იყო ამისათვის გათვალისწინებული, ე. ი. დაასახელებდა სასჯელის ზომას. შემდეგ აზრს გამოთქამდნენ სხვა მორევები ასაკის მიხედვით. ასე რომ, ახალგაზრდა მედიატორები ბოლოს ებმებოდნენ მსჯელობაში. მორევები ერთმანეთს არასდროს აწყვეტილებდნენ აზრის გამოთქმას, რაც უნდა უსაფუძვლოდ მოსჩვენებოდათ იგი. თავისი შეხედულებების გამოთქმა ყველას შეეძლო დაწესებული რიგის მიხედვით. ასე რომ, დაცული იყო უფროს-უმცროსობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპი<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, უპირანი იქნებოდა, ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელ მორევალს გამოცდილი მედიატორის შემდეგ გამოეთქვა თავისი მოსაზრება, რაც მ. კეკელიას აზრით, უფრო საფუძვლიანს გახდიდა ახალბედა მორევალის მოთხოვნას. იგი დაუკვირდებოდა გამოცდილთა ნათქვამს და ამით შეავსებდა გამოუცდელობით განპირობებულ ხარვეზს მის ცოდნაში<sup>4</sup>.

საგულისხმოა, ა. წულუკიანის მითითება, რომლის მიხედვითაც, იყო შემთხვევები, როდესაც პირველად მედიატორებს თავის აზრს მოახსენებდა ასაკით უმცროსი, რადგანაც იგი არ დაჩვეულიყო მხოლოდ სხვების მოსმენას და სხვისი აზრის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო<sup>5</sup>. როგორც ჩანს, საჭიროებისას, უკვე გამოცდილი სვანი მორევები ახალ-

<sup>1</sup> იხ. დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55; დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 150; ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 66, ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

<sup>2</sup> რასაც, როგორც რ. ხარაძესთან ჩანს, ქვეია - „ლაზაროუ-თელიზი“ (რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31); მ. კეკელიას მიხედვით კი, „ლაზაროუთე ლიზი“ (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 117).

<sup>3</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98; დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 150; მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 117-118.

<sup>4</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>5</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ბელა მორევა და მოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებისათვის ზრუნავდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, საერთოდ, სამედიატორო სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის.

მკვლევართა მასალებიდან ირკვევა, რომ განაჩენზე მსჯელობისას მორევი, ძირითადად, კი ხანშიშესულნი, იხსენებდნენ სვანეთში მომხდარ მსგავს შემთხვევას და მასზე გამოტანილ განაჩენს, ნამორავს. ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ ასაკით უფროსი მორვალი იხსენებს რამდენიმე მსგავს შემთხვევას და მაგალითს წარსულის ცხოვრებიდან<sup>1</sup>. მ. კეკელიაც მიუთითებს, რომ მსჯელობისას ხანდაზმული მორვალი ცდილობს გაიხსენოს მათთან, თუ სვანეთის სხვა კუთხეში მომხდარი ასეთივე შემთხვევა, ნამორავის შინაარსი, რომელიც იმ საქმეზე იყო გამოტანილი. შეკრებილთ მოაგონებს ისეთ საქმესაც, რომელიც „ჰარაკად“ გაუგონია ან რომლის განხილვაშიც თვით მიუღია მონაწილეობა, ან მონაწილეობდა მისი გვარის კაცი ან ახლობელი<sup>2</sup>.

ზოგადად, ცნობილია, რომ ჩვეულებით სამართალში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო პრეცედენტს – მსგავს საქმეზე სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, რომელსაც მომავალში მედიატორები ითვალისწინებენ. ეს პრეცედენტი, შეაძლოა, „ჰარაკის“ სახითაც იყოს მოღწეული. „ჰარაკი“ სვანეთში ეს იყო მაგალითის სახით შემონახული წარსულის გადმოცემა, რომლითაც მომავალი თაობა სარგებლობდა. ასე განმარტავს ხევსურულ „ანდრეზს“ რ. ხარაძე. „ჰარაკი“ ხევსურული „ანდრეზის“ ანალოგია. ეს საკითხი რ. ხარაძემ სპეციალურად შეისწავლა. მისი თქმით, „ანდრეზი“, როგორც ნიმუში, უნდა გამოყენებულიყო ხევსურეთში ბჭეების მიერ საქმის განხილვის დროს. ხევსურული „რჯული“ ყოველთვის ხელმძღვანელობდა წინათ მომხდარი და გადმოცემაში დაცული კონკრეტული შემთხვევით<sup>3</sup>. ხევსური მედიატორები განაჩენზე მსჯელობისას, სწორედ, „ანდრეზს“ იხსენებდნენ და მასზე აფუძნებდნენ თავიანთ განაჩენს. მედიატორები სვანეთშიც ითვალისწინებდნენ „ჰარაკად“ გადმოცემულ მსგავს საქმეზე გამოტანილ განაჩენს.

როდესაც ყველა მედიატორი საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამდა და

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>3</sup> რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი – ხალხური სამართლის წყარო, მიმოხილველი, ტ. II, 1951, გვ. 387.

ერთმანეთთან შეაჯერებდა, ამის შემდეგ „მუწური“ ანუ „ნევსაჩუ მგენე“ თავის პოზიციას ჩამოაყალიბებდა. მედიატორები საუბრობდნენ დანაშაულის, სამართალდარღვევის ხასიათზე, სიმძიმეზე და მსჯელობდნენ გადასახადის (კომპოზიციის) ოდენობაზე. თათბირის ბოლოს საერთო, შეთანხმებულ გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ. ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ მედიატორთა შორის იშვიათად თუ ექნებოდა ადგილი აზრების შეუთანხმებლობას, რადგანაც ყველა მედიატორმა კარგად იცოდა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, რომელი დანაშაულისათვის რა სასჯელი იყო გათვალისწინებული<sup>1</sup>.

რასაკვირველია, სევანეთში მორევად მხოლოდ ისეთ პიროვნებას ირჩევდნენ, რომელმაც შესანიშნავად იცოდა სევანური ჩვეულებითი სამართალი, თითოეული სამართალდარღვევისათვის დაწესებული კომპოზიცია. მაგრამ მედიატორთა განსახილველი შეიძლება ყოფილიყო ძალზე რთული, მრავალეპიზოდური საქმე, როდესაც მედიატორებს მსჯელობა უწევდათ საკმაოდ დიდი ხნის მოვლენებზე. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ კონკრეტული საქმის განაჩენზე მსჯელობისას მედიატორებს შორის ყოფილიყო აზრთა სხვადასხვაობა, კამათი. მით უმეტეს, რთული იყო ერთსულოვნების მიღწევა მრავალრიცხოვანი მორვალის საქმეში მონაწილეობის დროს. მაგალითად, რ. ხარაძე მიუთითებს, რომ ხშირად მორვალნი ნამოროვოს ოდენობის შესახებ ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ და მათი „ლაშროუ-თელიში“ 10-15 დღეს გასტანდა ხოლმე<sup>2</sup>. გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე განაჩენის შესახებ მსჯელობას ერთი კვირა მოანდომეს<sup>3</sup>. მედიატორთა თათბირი გრძელდებოდა მანამ, სანამ ისინი საერთო შეთანხმებამდე არ მივიდოდნენ. ამ თათბირის დიდი ხნით გაგრძელების მიზეზი მედიატორთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. ეგ. გაბლიანი პირდაპირ მიუთითებს, რომ ფარჯიანებისა და გირგვლიანების საქმეზე მედიატორებს შორის ცხარე კამათი იყო და ძალზე ძნელი შეიქნა შეთანხმება და საერთო დასკვნის გამოტანა<sup>4</sup>. მორევთა შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო შეთანხმების მიუღწევლობისას იყო შემთხვევები, როდესაც ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ ადგილის გამოცვლას და სხვაგან გადადიოდნენ<sup>5</sup>. მაგალითად,

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

<sup>2</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

<sup>3</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

<sup>4</sup> იქვე.

ასე მოხდა გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე განაჩენის დადგენისას. მრავალრიცხოვანმა მორვალმა ვერ მიაღწია ერთსულოვან გადაწყვეტილებას და ამიტომ უფრო გამოცდილმა და ზანშიშესულმა მედიატორებმა შესთავაზეს სხევებს ადგილი გამოეცვალათ და სხვა ადგილას გადასულიყვნენ. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი გავრცელებული ცრურწმენაა, რომლის მიხედვითაც, ზოგიერთ ადგილს ეშმაკები ეპატრონებოდნენ და თუ ამისთანა ადგილი შეხვდებოდათ და არ გამოიცვლიდნენ, მაშინ საქმის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. ისინი ასეთ დროს უნდა გადასულიყვნენ იმ ადგილას, სადაც ანგელოზები განაგებდნენ და ბედნიერ ადგილად ითვლებოდა. მედიატორებმა გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმის განხილვისას მართლაც გამოიცვალეს ადგილი, თუმცა ამ ახალ ადგილზეც გაჭირდა მორვალთა ერთ აზრზე დაყენება<sup>2</sup>.

როდესაც საქმე მარტივია, მორვალიც არაა მრავალრიცხოვანი და აზრთა სხვადასხვაობას ადგილი არა აქვს, ასეთ დროს მორევები სათითაოდ გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას და საბოლოოდ, ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე მიდიან. მაგრამ, როდესაც აზრთა სხვადასხვაობის გამო მორევთა შეთანხმება და ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე მისვლა რთულდება, შესაძლოა, შეთანხმების მიღწევის მიზნით, განაჩენის დადგენის ერთობ თავისებური წესი ყოფილიყო გამოყენებული (ჩვეულებითი სამართლის რეკლამენტაციის მეტად დაბალი ხარისხი, განაპირობებდა იმას, რომ მედიატორები განაჩენის დადგენის განსხვავებულ წესებზე შეთანხმებულიყვნენ). მ. კეკელია სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მორევთა მიერ განაჩენის დადგენის სხვადასხვა წესზე გვაწვდის ცნობებს. კერძოდ, დაზარალებულის მორვალი ცალკე გადის სათათბიროდ და დამნაშავის — ცალკე. იმსჯელებენ, იკამათებენ და როცა საერთო აზრს ჩამოაყალიბებენ, შემდეგ ისევ შეერთდებიან და ერთმანეთს გააცნობენ თავიანთ მოსაზრებებს. ამის შემდეგაც შეთანხმების მიღწევამდე შესაძლოა, გაგრძელებულიყო კამათი, თუ ამის საჭიროება იქნებოდა. განაჩენის დადგენის ასეთი წესი უფრო მაშინ გამოიყენებოდა, როდესაც განსაკუთრებით რთული მკვლელობის საქმეზე თითოეული მხრიდან 12-12 მორვალი არჩევდა საქმეს<sup>3</sup>. შესაძლოა, შემდეგნაირადაც

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>2</sup> ვ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 104-105.

<sup>3</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

მომხდარიყო — ორივე მხარის მორვალი თავიანთი რიგებიდან ტოლი რაოდენობით გამოყოფდა მორვალს, რომელსაც ევალეობდათ ცალ-ცალკე ემსჯელათ და საერთო გადაწყვეტილებამდე მისულიყვნენ. შემდეგ თავიანთი გადაწყვეტილება მედიატორთა მთელი შემადგენლობისათვის უნდა მოეხსენებინათ. ამის შემდეგ უკვე ყველა ერთად იმსჯელებდა, თუ რამდენად სამართლიანი იყო გადაწყვეტილება<sup>1</sup>. ცხადია, მორევთა შედარებით მცირე რაოდენობა უფრო ადვილად მიაღწევდა შეთანხმებას, ვიდრე მათი მთელი შემადგენლობა და განაჩენის დადგენის ასეთი ხერხი საკმაოდ ეფექტური შეიძლება ყოფილიყო კონკრეტულ ვითარებაში, როდესაც ერთსულოვანი განაჩენის დადგენა ჭიანურდებოდა, თუმცა მორევთა ცალკე გამოყოფილი ჯგუფი შესაძლოა, ვერ შეთანხმებულყო და საერთო გადაწყვეტილებამდე ვერ მისულიყო.

განაჩენის დადგენის მსგავს წესთან გვაქვს საქმე გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე. თუმცა აქ მ. კეკელიას მიერ მოტანილი განაჩენის დადგენის წესისაგან განსხვავებულ მომენტებსაც ვხვდებით. ეგ. გაბლიანის მიხედვით, როდესაც ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება გაჭირდა, მედიატორებმა გადაწყვიტეს საბოლოო დასკვნის გამოტანის უფლება მიენიჭებინათ ხუთი კაცისათვის იმ პირობით, რომ, რასაც ისინი გადაწყვეტდნენ, ყველა იმას უნდა დათანხმებულყო. განსხვავებულად მოაზროვნე ჯგუფებიდან შერჩეულ იქნა თითო კაცი. მათ უფრო დააჩქარეს და გააადვილეს მედიატორთა საქმე. ამ ხუთი კაცის მიერ გამოტანილი დასკვნა გამოეცხადა მედიატორებს და ყველამ ერთხმად, უყოყმანოდ დაადასტურა განაჩენი<sup>2</sup>. ეს კონკრეტული შემთხვევა ცალსახად ადასტურებს, რომ მედიატორთა მიერ მათივე წრიდან პირთა შეზღუდული რაოდენობის გამოყოფა, რომელსაც განაჩენის გამოტანა ევალეობდა, ეფექტურ შედეგს იძლეოდა. ცხადია, თვით მედიატორები წყვეტდნენ, თუ განაჩენის გამოტანის რა წესისთვის უნდა მიემართათ, როდესაც მათი შეუთანხმებლობის გამო, განაჩენის გამოტანა ფერხდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში, მორევთა გამოყოფა ცალ-ცალკე, მხარეთა მიერ არჩეული მორევების მიერ კი არ მომხდარა,

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 119; აღსანიშნავია, რომ, როდესაც მორვალი ცალკე გადის, მის შემადგენლობაში არაა „ნევსარუ მუგნე“. იგი მაშინ გამოთქვამს თავის მოსაზრებას, როცა ისევ შეიკრიბებიან და გაერთიანებულნი იწყებენ მსჯელობას.

<sup>2</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

არამედ ხუთმა სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ჯგუფმა თავისი თითო წარმომადგენელი გამოყო და თითო პიროვნებამ წარმოადგინა ხუთი სხვადასხვა პოზიცია, რომელთა შეჯერება ამ პიროვნებებმა შედარებით ადვილად და სწრაფად განახორციელეს, ვიდრე ამას 24 მორევი შეძლებდა. თანაც, მედიატორები წინასწარ შეთანხმდნენ, რომ, რასაც ეს ხუთი კაცი გადაწყვეტდა, ყველა ვალდებული იყო დათანხმებოდა მათ განაჩენს და ადგილი არ ჰქონია გადაწყვეტილების განხილვას დანარჩენ მედიატორთა მხრიდან, როგორც ამას მ. კეკელიასთან ვხვდებით.

მ. კეკელია ერთ-ერთ ინფორმატორზე დაყრდნობით გვაწვდის ცნობას, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, მკვლელობის საქმეზე, მორევებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა და ერთ-ერთ მორევს მიანდეს გადასასდელი კომპოზიციის („წორის“) რაოდენობის განსაზღვრა.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ასეთ ფაქტს გამონაკლის შემთხვევაში თუ ექნებოდა ადგილი. სვანური სამედიატორო სასამართლოს საქმიანობა მინც განსხვავებულ მოსაზრებათა შეჯერების მიღწევისაკენაა მიმართული, რაც შეიძლება, გარკვეული კომპრომისის შედეგიც იყოს. განაჩენის დადგენის სხვადასხვა წესიც ამ პრინციპზეა დაფუძნებული.

თეორიულად შესაძლებელია, განაჩენის დადგენის ერთპიროვნული უფლება ერთი რომელიმე მორევისათვის მიეცათ, თუ უკლებლივ ყველა მედიატორის თანხმობა იქნებოდა. კონკრეტულ შემთხვევაში ამას, შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა, როგორც ეს მ. კეკელიასთან გამოჩნდა (აღბათ, მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მედიატორს საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტი და სამართლიანი კაცის სახელი ექნებოდა მოხვეჭილი). მაგრამ არა გვკონია, მედიატორებს ხშირად მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება და მხოლოდ ერთი პიროვნების მოსაზრებაზე დაეფუძნებინათ განაჩენი. მ. კეკელიაც მიუთითებს, რომ მას მხოლოდ ერთი ასეთი ცნობა აქვს.

შესაძლებელია, მორვალის შეუთანხმებლობის გამო, განაჩენის გამოტანა საერთოდ ვერ განხორციელებულიყო. ეს კი მაშინ ხდებოდა, როდესაც მოსაზრებათა განსხვავებულობის გამო მედიატორები ვერ თანხმდებოდნენ და საქმე იშლებოდა განაჩენის დასადგენად მსჯელობის სტადიაზე. ისინი მოდავე მხარეებს არ უმხელდნენ, თუ რამ გამოიწვია განაჩენის გამოუტანლობა<sup>2</sup>. მ. კეკელია განმარტავს, რომ ფორმალურად თითქოს საკითხს ხმის უმრავლესობით წყვეტდნენ, მაგრამ რთულ და

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 122.

სერიოზულ საქმეზე რამდენადმე მაინც ერთხმოვანება იყო საჭირო. მისი თქმით, ზოგჯერ მერყევი მორევი მცირე უპირატესობაში დარწმუნებული, მხარს უჭერდა რომელიმე მოსაზრებას. სწორედ ამ დროს იგი ემორჩილებოდა უმრავლესობის ნებას და თავს არ გამოიღებდა თავისი მოსაზრების დასაცავად<sup>1</sup>.

ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ირკვევა, რომ მკვლელობისა და სხვა მნიშვნელოვან საქმეებზე მორევები საერთო დასკვნამდე მიდიან და ურთიერთშეთანხმებული განაჩენი გამოაქვთ. განაჩენის დადგენის განსხვავებული წესებიც, სწორედ, მორვალს შორის დაპირისპირების შემთხვევაში, შეთანხმებული განაჩენის მისაღწევად გამოიყენება. ის, რომ არცთუ იშვიათად, მორევთა მსჯელობა განაჩენის დასადგენად საკმაოდ დიდხანს (ვთქვათ, კვირაზე მეტხანს) გრძელდებოდა, განპირობებული იყო, სწორედ, მორევთა შორის აზრთა სხვადასხვაობით, შეუთანხმებლობითა და შეთანხმების მიღწევის აუცილებლობის გაცნობიერებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაჩენი ვერ იქნებოდა გამოტანილი და მხარეთა შორის მტრობა გაგრძელდებოდა, ზოლო შერიგების შანსი მედიატორთა გამო ჩაიშლებოდა. ამრიგად, მედიატორთა მიერ გამოტანილი განაჩენი, „ნამოროვო“, მათი საერთო შეთანხმების შედეგია. შედარებით იოლ საქმეზე, როდესაც მორევთა რაოდენობა ნაკლებია, საერთო შეთანხმება გაცილებით ადვილად მიიღწევა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სვანეთში სამედიატორო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, შესაძლოა, წერილობითაც გაფორმებულიყო, რასაც წინ უძღოდა მხარეთა პირობა, რომ თანახმანი იქნებიან მათ მიერ არჩეული მედიატორების მიერ გამოტანილი განაჩენის. ჩვენ რამდენიმე ასეთ პირობაზე უკვე ვისაუბრეთ. ახლა იმავე გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე საილუსტრაციოდ განაჩენსაც მოვიყვანთ: „1926 წ. 20 ივნისს. ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი მედიატორენი ფ-ბისა და გი-ბის ამორჩეულნი, რიცხვით 9 კაცმა მოვისმინეთ რა საჩივარი ნუა, აბი, ნესტორ და ესავ ფ-ბის და პასუხისგება დავით, ნიკო, ალექსანდრე, ალექსი, გიერგ და გიორგი გი-ბისა, ჩვენ ჩვენის სვინდისით ფიცქვეშ, და წარსულის ამა თუით 18 ივნისის თარიღით შეკრულ პირობისა, და ერთმანეთის სრულის თანხმობით, დავადგინეთ სავალდებულო განჩინება: 1. ჯახი ნუას ძე ფ-ნი იქმნა მოკლული გი-გან 7 წლის წინათ, და

<sup>1</sup> მ. კველია, დასახ. ნაშრ. გვ. 122.

განსვენებული ჯახი ფ-ნის სიკვდილამდის გაიარა 10 წელიწადმა, რაც რომ გი-ბს ჰქონდათ მიღებული ფა-გან ორას ხუთი მანეთი (205 მან.) ძველი კურსის მიხედვით. ამის გამო ვინაიდან, რომ ჯახი ფ-იც მოკლეს და 205 მანეთიც გი-ბმა მიისაკუთრეს და ფ-ებს არ დაუბრუნეს მათი სეინდისით, ამის გამო ფა-ბს უსჯით გი-გან 205 მანეთს და მაზედა დაუმატებთ 80 მანეთს და სრულიად ორას ოთხმოცდახუთი მანეთი (285 მან.) უნდა გადაიხადონ გი-მა ფ-ბის მისაცემად ამა თუის 27-მდე...”

ჩვენ სრულად არ მოგვყავს განაჩენის შინაარსი. განაჩენის ბოლოს მედიატორები აღნიშნავენ, რომ მათ მხარეებმა მისცეს სასტიკი „გარცამი“ და ამიტომ არ შეუძლიათ „მიდგომ-მოდგომა“. განაჩენის ბოლოს ჩამოთვლილია ყველა მედიატორის სახელი და გვარი. იმის გამო, რომ არც ერთმა არ იცოდა წერა-კითხვა, მათ მაგივრადაც და თავის მხრივაც განჩენს ხელს აწერდა მედიატორთა უფროსი სარდიონ კვანჭიანი<sup>1</sup>.

ამ განაჩენში რამდენიმე მომენტია საგულისხმო. მედიატორებს საქმის საფუძვლიანი გამოძიება უწარმოებიათ: ორივე მხრიდან სხვადასხვა პირისაგან მოისმინეს ჩვენება (საჩივარიც და პასუხიც), რაც მათ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის შეკრების საშუალებას მისცემდა. მორევებმა ყოველმხრივ შეისწავლეს საქმის არსებითი გარემოებანი, რაზეც არის გარკვეული მინიშნებანი განაჩენში, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ მედიატორებმა განაჩენი გამოიტანეს „ერთმანთის სრულის თანხმობით“. ეს თანხმობა სხვა განაჩენებიდანაც აშკარაა, რაც ადასტურებს, რომ განაჩენის გამოტანა სვანეთში მედიატორთა ურთიერთშეთანხმებით ხორციელდებოდა. ბუნებრივია, განაჩენში მოცემულია სასჯელის ზომა (გადასახადის ოდენობა), რომელიც დამნაშავე მხარემ დაზარალებულს უნდა გადაუხადოს.

### §3. ქვის ჩაფლვა („ბაჩა ლილჯენი“)

მედიატორები დაასრულებენ რა საიდუმლო თათბირსა და ურთიერთშეთანხმებით გამოიტანენ განაჩენს, ამის შემდეგ ტარდება პროცესუალური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი რიტუალური მოქმედება, ქვის ჩაფლვა, ანუ სვანურად – „ბაჩა ლილჯენი“. აი, რას გვამცნობს ამის შესახებ ბ. ნიჟარაძე: „... ერთი მსაჯულთაგანი აიღებს პატარა ქვას („ბაჩა

<sup>1</sup> ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988, გვ. 170.



ლილჯენი“), ამოსთხრის მიწას იქვე და შიგ იმ ქვას ჩაჰფლავს მსაჯულების თვალწინ. ეს ქვის ჩაფლვა სვანურ იურიდიულ წყობილებაში იმას ნიშნავს, რასაც სხვაგან წერილობითი განაჩენი და რასაც ვერავენ შეცვლის, ერთი სიტყვით, საქმის გათავების, საქმის დასასრულს. ქვის დაფლვას მეორე მნიშვნელობაც აქვს, ე. ი. სანამ მსაჯულები ერთად არ გამოუცხადებენ მოძივან-მოპასუხეს თავის განჩინებას, მანამ არც ერთ მსაჯულს ცალკე არა ჰქონდა უფლება, რომ იგი ვისთვისმე გაემჟღავნებინა; ეს ქვის დაფლვა იყო ნიშანი საიდუმლოების შენახვის.

თუ მოძივანი ან მოპასუხე კერძოდ შეიტყობდა მსაჯულების განაჩენს, ასე ვთქვათ, საჯაროდ გამოცხადებამდის, უკმაყოფილო მხარეს ნება ჰქონდა არ შეეწყნარებინა გარიგება თუ გადაწყვეტილება. აი, ამიტომ ჰფრთხილობდნენ და ერიდებოდნენ მსაჯულნი განჩინების წინდაწინ გაემჟღავნებას, თუმცა განჩინების დადგენის დროითგან გამოცხადებამდე მთელი თვე, წელიწადი გაივლიდა ხანდახან<sup>1</sup>.

გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზეც ჩვეულებისამებრ ერთმა მსაჯულთაგანმა აიღო ქვა, მსაჯულების წინ ხანჯლის წვერით ამოთხარა მიწა, ჩაფლა შიგ ქვა და ზევიდან მიწა დააყარა<sup>2</sup>. ეგ. გაბლიანი ქვის ჩაფლვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით იგივეს ამბობს, რასაც ბ. ნიჟარაძე. მისი თქმით, „ბაჩა-ლილჯენს“ ის მნიშვნელობა აქვს, რომ, როგორც ეს ქვა იყო მიწაში ჩაფლული, ისე მსაჯულების გულში უნდა ყოფილიყო მათი განაჩენი დამალული, საიდუმლოებით მოცული მანამდე, სანამ განაჩენის გამოცხადების დრო არ მოაწევდა, ე. ი. ქვის ჩაფლვა საიდუმლოების შენახვის ნიშანია და ეს იმისი გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რომ მხარეებს განაჩენის შინაარსი ვადაზე ადრე არ გაეგოთ და საქმე არ გართულებულიყო<sup>3</sup>. დ. დავითულიანიც ქვის ჩაფლვის იმავე მნიშვნელობაზე საუბრობს. ეს კარგად ჩანს იმ ფრაზაში, რომელსაც წარმოთქვამს ქვის ჩამფლველი მორვეი; „ვიცნ დრომდე ჩვენი განაჩენი გაამჟღავნოს, ღმერთმა ამოწყვიტოს“. მორვეები ამას „ამინით“ პასუხობდნენ<sup>4</sup>. ა. წულუკიანის აზრით, ქვის ჩაფლვა მიწაში იმას ნიშნავდა, რომ მიღებული „ნამოროვ“ ქვასავით მტკიცე ყოფილიყო და ასევე შენახულიყო თათბირის შედეგები მის გამოცხადებამდე<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98-99.

<sup>2</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

<sup>5</sup> ა. წულუკიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ამრიგად, განაჩენის გამოტანის შემდეგ ერთ-ერთი მედიატორთაგანი ამოთხრიდა მიწას, შიგ ჩაფლავდა ქვას და მიაყრიდა მიწას, თან წარმოთქვამდა გარცამს, რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ მედიატორები განაჩენის გამოცხადებაზე გაამჟღავნებდნენ მის შინაარსს, მაშინ ღმერთი ამოწყვეტდა მათ. დანარჩენი მედიატორები „ამინს“ ეუბნებოდნენ და ამით, ფაქტობრივად, ღებდნენ ფიცს, რომლითაც ეთანხმებოდნენ „გარცამს“. აღნიშნულ მკვლევართა მიხედვით, „ბაჩა-ლილჯენის“ ორი მნიშვნელობა იკვეთება, რაც ბ. ნიჟარაძესთან გამოჩნდა პირველად და სხვებიც იმეორებენ:

1. ქვის ჩაფლვა ნიშნავდა, რომ საქმე დამთავრდა, განაჩენი საბოლოოა და შეუცვლელი, მისი შეცვლის უფლება არავის აღარ ჰქონდა.

2. უფრო არსებითად მიგვაჩინია ქვის ჩაფლვის მეორე მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც ეს რიტუალი მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენის შინაარსის საიდუმლოდ შენახვას ნიშნავდა მანამ, სანამ მორევალი ერთად არ გამოაცხადებდა მხარეთა განაჩენს. ეს გარემოება განპირობებული იყო იმით, რომ სვანეთში განაჩენის გამოტანიდან მის გამოცხადებამდე, შესაძლოა, საკმაოდ დიდი დრო გასულიყო და თუ ამ დროის განმავლობაში, ე. ი. განაჩენის ოფიციალურად, საჯაროდ გამოცხადებამდე, ან ერთი ან მეორე მხარე რომელიმე მორევისაგან წინასწარ გაიგებდა განაჩენის შინაარსს და უკმაყოფილო იქნებოდა, შეეძლო არ დამორჩილებოდა მას, მიუხედავად მის მიერ მიცემული „ერთგულების ფიცისა“.

მ. კეკელია ქვის ჩაფლვის შესამე მნიშვნელობასაც ასახელებს. მისი მტკიცებით, ქვის ჩაფლვა ნიშნავდა განაჩენზე მსჯელობისას მორევალის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა განუცხადებლობასაც<sup>1</sup>. მ. კეკელიას აზრით,

---

<sup>1</sup> ჩვენ აზრით, განაჩენის დადგენაზე მსჯელობისას, მორევთა მიერ გამოთქმული მოსაზრება საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო შენახული, იმიტომ, რომ რომელიმე მხარისათვის ამ მოსაზრებათა გაცნობა (თუნდაც ერთი ან რამდენიმე მორევის და თუნდაც განაჩენის შინაარსის განდობის გარეშე) მაინც გარკვეულ მინიშნებას წარმოადგენდა განაჩენის შინაარსზე, ამას კი, შესაძლოა, განაჩენისადმი უკმაყოფილო მხარის დაუმორჩილებლობა გამოეწვია. ასევე ამა თუ იმ მორევის მოსაზრებით შეიძლება, რომელიმე მხარე უკმაყოფილო დარჩენილიყო, გაღიზიანებულიყო და ამას მძიმე შედეგები მოჰყოლოდა, კერძოდ, მტრობა ამ მხარესა და იმ მორევს (მის ოჯახს) შორის, რომლის მოსაზრებამაც ერთ-ერთი მხარის აღშფოთება გამოიწვია. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ, შესაძლოა, განაჩენის გამოტანის შემდეგაც საიდუმლოდ შენახულიყო და არ გახმაურებულიყო ის, თუ კონკრეტულად რომელმა მორევმა რა თქვა, რა პოზიცია დააფიქსირა, რა არგუმენტები მოიყვანა, პირველად რომელმა მორევმა დაასახელა სასჯელის ზომა და სხვა. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ ზოგჯერ განაჩენის შინაარსისა და ერთმანეთის ნათქვამის საიდუმლოდ შენახვაზე მორევლი განაჩენის დადგენაზე იფიცებდა

გამორიცხული არაა, რომ ქვის ჩაფლვის მესამე მნიშვნელობა ბ. ნიჟარაძის მიერ აღწერილ ქვის ჩაფლვის ცერემონიალს შემდეგ დამატებოდეს ან იქნებ სხვა ფიციან შერწყმულად (რაც ხშირად ახასიათებს სვანურ ჩვეულებით სამართალს) წარმოგვიდგებოდა<sup>1</sup>.

არა გვკონია, ქვის ჩაფლვის ეს უკანასკნელი მნიშვნელობა ბ. ნიჟარაძის შემდგომ პერიოდში დამატებოდა ქვის ჩაფლვის ცერემონიალს. ჩვენი მოსაზრებით, ბ. ნიჟარაძე და სხვა მკვლევრები, მ. კეკელიას გარდა, ამ მნიშვნელობას, უბრალოდ, ცალკე არ გამოყოფენ და საფიქრებელია, რომ როდესაც განაჩენის შინაარსის საიდუმლოდ შენახვაზე საუბრობენ, ისინი ცალკეული მორევის მიერ გამოთქმული მოსაზრების საიდუმლოდ შენახვასაც გულისხმობენ. ამ თვალსაზრით, მათი ინფორმაცია, უბრალოდ არასრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ. თუ რომელიმე მორევი განაჩენის შინაარსს გაუმხელდა მომჩივანს ან მოპასუხეს, რა თქმა უნდა, მას შეეძლო, ცალკეული მორევის მიერ გამოთქმული მოსაზრებაც გაეცნო მისთვის, რაც ისევე აკრძალული იქნებოდა, როგორც განაჩენის შინაარსის გამხელა. არაა გამორიცხული, მკვლევრებმა არ გამოიჯნეს ერთმანეთისაგან ეს ორი მომენტი და მხოლოდ განაჩენის საიდუმლოდ შენახვის სავალდებულობაზე გააკეთეს აქცენტი, ხოლო მორევთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა საიდუმლოდ შენახვის სავალდებულობა კი ჩათვალეს, რომ ამაშია ნაგულისხმევი. განაჩენი ცალკეულ მორევთა მოსაზრებების საფუძველზე ღებება და თითოეული მორევის მიერ გამოთქმული მოსაზრების წინასწარი მიტანა რომელიმე მხარემდე, გარკვეულწილად განაჩენის შინაარსს უკავშირდება. შეიძლება ამიტომაც არ გამოყვეს ბ. ნიჟარაძემ და სხვა მკვლევრებმა ქვის ჩაფლვის მესამე მნიშვნელობა ცალკე.

---

გელესიაში. მისი ერთერთი მთხრობელი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მორევები (რომელთა შორის ინფორმატორიც იყო) გელესიაში დააფიცა ანტონ ნაეურიანმა, ფიცის არსი კი მღვდართობა იმაში, რომ ვინც 5 წლამდე გააზილოს ამ საქმესთან დაკავშირებით მორევების ნალაპარაკევი, იმის ოჯახშიც არ მოიშალოს ასეთი ამაფიცი (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 124). ამ შემთხვევაში საგულისხმოა ის გარემოება, რომ მორევთა ფიცის მიხედვით მათ საიდუმლოდ უნდა შეენახათ განაჩენის დაღვინის დროს მათ მიერ გამოთქმული აზრები მთელი ხუთი წლის განმავლობაში. ეს კი პირდაპირ მიუთითებს, რომ განაჩენის გამოცხადების შემდეგ, კიდევ კარგა ხანს არ უნდა გახმაურებულიყო განაჩენის დასადგენად გამართული მედიატორთა მსჯელობის, კამათის შინაარსი, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სიტუაციის დაძაბვა რომელიმე კონკრეტულ მორევს (ან მორევებს) და ერთერთ მხარეს შორის. როგორც ვხედავთ, თითოეული მორევის მიერ გამოთქმული მოსაზრების საიდუმლოდ დაკვა, შესაძლოა, დამოუკიდებელი ფიციანაც მომხდარიყო, და ისიც განუხაზღვრათ, თუ რა დრომდე არ გაეშხილათ ფიცი.

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

ერთ-ერთ თავის სვან (ლატალელ) ინფორმატორზე დაყრდნობით, მ. კეკელია ასე გადმოგვცემს ქვის ჩაფლვის დროს წარმოთქმული „გარცამის“ შინაარსს (თუ ვინ ჩაფლავს ქვას და ვინ წარმოთქვამს ფიცის სიტყვებს, ამას მნიშვნელობა არა აქვს): „ეს საქმე დამთავრდა, საბოლოო იყოს ჩვენი განაჩენი. ასე დასაფლავდეს იგი, ვინც განაჩენის შინაარსი ან ის, რაც აქ ვილაპარაკეთ თითოეულმა ჩვენგანმა, გათქვას ჩვენს გამოცხადებამდე, დანარჩენმა მორევებმა „ამინ“ უთხარით“<sup>1</sup>. „გარცამის“ ტექსტში კარგად ჩანს, რომ ქვის ჩაფლვას მართლაც სამი მნიშვნელობა აქვს. პირველი ორი იგივეა, რაც ბ. ნიჟარაძესთან, მესამის არსი კი მდგომარეობს იმაში, რომ განაჩენის გამოცხადებამდე საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო შენახული არა მხოლოდ თვით განაჩენის შინაარსი, არამედ თითოეული მორევის მოსაზრება, რომელიც მათ გამოთქვებს განაჩენზე მსჯელობისას.

ჩვენი აზრით, ქვის ჩაფლვა „გარცამის“ შინაარსის, მორევების მიერ დადებული ფიცის მნიშვნელობის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა (ქართულ ჩვეულებით სამართალში ხშირია შემთხვევები, როდესაც ფიცს თან ახლავს ფიცის სიტყვების, მისი მნიშვნელობის გამომხატველი სიმბოლური მოქმედებანი. როგორც ჩანს, იგივეს აქვს ადგილი სვანეთშიც, მოცემულ შემთხვევაში). ამრიგად, მკვლევართა მითითებით, ქვის ჩაფლვა გამოხატავდა იმას, რომ განაჩენი ქვასავით მტკიცე უნდა ყოფილიყო (ე. ი. საბოლოო და შეუცვლელი) და ასევე უნდა დაეცვათ მორევებს საიდუმლოდ განაჩენის შინაარსი მის გამოცხადებამდე. ქვა, როგორც სიმბოლო, სწორედ, ამ სიმტკიცის გამომხატველია, ასევე ქვის ჩაფლვა სიმბოლურად გამოხატავდა იმ შედეგს, რაც მოჰყვებოდა რომელიმე მორევის მიერ „გარცამის“ პირობების დარღვევას, ე. ი. მისი ისევე დასაფლავება, მიწაში ჩაფლვა, როგორც ქვისა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

<sup>2</sup> მ. კეკელია აღნიშნავს, რომ ნაკლებმნიშვნელოვან საქმეზე „ბაჩა-ლილეჯინი“ შეიძლება არც გამოცხადდეს და მორევებმა მხოლოდ სიტყვიერად შეჟფიციონ ერთმანეთს: „ვინც გასცეს განაჩენის საიდუმლოება ან ის, რაც ჩვენ აქ ვილაპარაკეთ ამ საქმეზე, დაიქცეს მისი ოჯახი“ (სხვები ადასტურებენ ფიცს – „ამინ“), თუმცა ეს გამოჩაყლის შემთხვევაში ხდება. უმეტეს შემთხვევაში, ქვის ჩაფლვის რიტუალი მთელი სიზუსტით სრულდებოდა. უმჯობესი განაჩენისა და მორევთა თქმულის საიდუმლოდ შენახვაზე ლუფხილებიც იფიცებდნენ (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 124).

#### §4. განაჩენის გამოცხადება და მხარეთა შერიგება

განაჩენის გამოტანის შემდეგ აუცილებელია მისი მხარეთათვის გამოცხადება, რაც სასამართლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტადიაა. განაჩენის გამოცხადება ხდება მას შემდეგ, რაც ეკლესიაში შესრულდება ფიცის რიტუალი (მხედველობაშია, ტოლობისა და ერთგულების ფიცი).

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, ფიცის ცერემონიალის შემდეგ მომჩივანიცა და მოპასუხეც თავ-თავიანთ სახლებში მიდიოდნენ. განაჩენის გამოსაცხადებლად მედიატორებიც ორად გაიყოფოდნენ, ნახევარი ერთ ოჯახში წავიდოდა, ნახევარი – მეორეში<sup>1</sup>. შეასაძლოა, ბ. ნიჟარაძის დროს და უფრო ადრეც არსებობდა განაჩენის გამოცხადების ამგვარი წესი, მაგრამ მ. კეკელიას განმარტებით, იგი უარყოფილ იქნა და ამჟამად მისი გამოყენების კვალიც კი არ ჩანს<sup>2</sup>.

განაჩენის გამოცხადების განსხვავებულ წესს ეხვდებით ევ. გაბლიანთან, რომელსაც ადგილი ჰქონია გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე. ევ. გაბლიანი მოგვითხრობს: „ამ დაფიცების შემდეგ ენაშის ეკლესიის გალავანში გავაჩერეთ, ერთი მხრით, გირგვლიანები, მეორე მხრით, ფარჯიანები, შუაში მორევები დავდექით. დაიწყო განაჩენის წაკითხვა. ხალხი სმენად გადაიქცა, ყველა რაღაცას ბუტბუტებდა და ღმერთს ევედრებოდა, რომ გარიგების საქმე კეთილად დაგვირგვინებულყო და ამ ორ თემს შორის სისხლის ღვრას ბოლო მოღებოდა. გათავდა განაჩენის წაკითხვა. არც ერთი მხრიდან საყვედური არ ისმოდა და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განაჩენით ყველა კმაყოფილი იყო. განაჩენი ანუ ჩვენი დადგენილების დედანი უნდა ჩაკერებულიყო ენაშის ეკლესიის ძველ ხელნაწერ სახარებაში, რომელიც ეკლესიაში უნდა შენახულიყო, ამიტომ მღვდელმა გამოიტანა ეს სახარება ეკლესიიდან და ჩვენც ჩავაკერეთ მასში ჩვენი დიდი ხნის ნაწვალები განაჩენი“<sup>3</sup>.

ეკლესიის გალავნის შიგნით განაჩენის გამოცხადებას ბოლო პერიოდში უკვე აღარ ეხვდებით, თუმცა მ. კეკელია მიუთითებს, რომ მის ინფორმატორებს განაჩენის გამოცხადების ეს წესი შესაძლებლად მიაჩნიათ, რადგანაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეებად ორი გვარი

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>3</sup> ევ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

გამოდოდა და არა ცალკეული პირი, ოჯახები, ამიტომ რომელიმეს ოჯახში მისვლა უხერხულობას ქმნიდა და მიზანშეწონილი არ იყო. ასეთ დროს კი ამ ინფორმატორებს განაჩენის გამოცხადება თუნდაც ეკლესიის ეზოში სავსებით მართებულად მიაჩნიათ.<sup>1</sup>

მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე ამკარად მიუთითებს, რომ მორვალის განაჩენის გამოცხადების ყველაზე გავრცელებული, მიღებული წესია „ნამოროვოს“ გამოცხადება დამნაშავე მხარის ოჯახში დაზარალებულის თანდასწრებით, რომლებიც იქ მორევებს მიჰყავდათ (ამას სვანურად ეწოდება „ლიუშხენალ“, „ლიუშხი“ (გამხელა), ასევე „ლიჟედვ“ ანუ სახლში გაძლოლა). განაჩენის გამოცხადების ამ წესს ვხვდებით რ. ხარაძესთან, მ. კეკელიასთან, დ. დავითულიანთან, ა. წულუკიანთან.

მკვლევართა განმარტებით, ფიცის ცერემონიალის შემდეგ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით დაინიშნებოდა განაჩენის გამოცხადების დრო და ადგილი. მედიატორები განაჩენის დადგენის შემდეგ ერთ-ერთ მჭევრმეტყველ და დარბაისელ მორევს ავალბებდნენ მხარეთათვის განაჩენის გამოცხადებას. მას „მეუეუშხე“ ეწოდება. მედიატორები უმთავრესად ღამით მიდიოდნენ დამნაშავეს ოჯახში და იქ იბარებდნენ დაზარალებულ მხარეს<sup>2</sup>. დამნაშავე მხარე ვალდებული იყო გამასპინძლებოდა მორევებსა და დაზარალებულებს. ე. ი. ამავე დროს, ხდებოდა მხარეთა საბოლოო შერიგება. რ. ხარაძე, რომელიც მესისხლეთა შერიგების პროცესს აღწერს, აღნიშნავს, რომ შერიგებისათვის მკვლელის ოჯახი და „სამხუბი“ განსაკუთრებით ემზადებოდა. უნდა გაშლილიყო შეძლებისდაგვარად მდიდარი სუფრა, იკვლებოდა საკლავი, ცხვებოდა ჰური და სხვა<sup>3</sup>. ორივე მხრიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის ხალხი იკრიბებოდა. მოდიოდა დაზარალებულის ოჯახი, მისი „ძირიშ მეხუბარარი“ (ახლო მოძმეები) და სხვა ნათესავები – ლანაბშნა (ძირითადად, ქალის ხაზით ნათესავები) და „ლაღიარი“ (დედის ხაზით ნათესავები), იმავე მკვლელის მხრიდან. მოკლულის მხრიდან მოსულებს მკვლელის ნათესავები ეგებებოდნენ, ხოლო თვით მკვლელი, მისი ძმები და ახლობლები დამალულები იყვნენ. მორვალი და მოსულეები ერთმანეთში არევიით უნდა დამსხდარიყვნენ წინასწარ მომზადებულ სუფრასთან.

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 129.

<sup>3</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

რ. ხარაძის მიერ ხალდეში მოგროვილი მასალების მიხედვით, სანამ მოკლულის ოჯახი სუფრასთან დაჯდებოდა, მოკლულის სამხუბიდან ერთი პირი შევიდოდა მკვლელის სახლში, მოხსნიდა „ნაჭას“ (ქეაბის ჩამოსაკიდებელ ჯაჭვს) და გამოიტანდა მას კარში, ცეცხლზე კი წყალს დაასხამდა<sup>1</sup>. დამნაშავეს კერაზე ცეცხლისთვის წყლის დასხმა შერიგების შემდეგაც შეიძლება მომხდარიყო მედიატორის მიერ, რითაც დაზარალებულის ოჯახი ძალზე ნასიამოვნები იქნებოდა<sup>2</sup>. ამასვე ადასტურებს ეგ. გაბლიანი. მისი თქმით, ხშირად მოკლულის ჭირისუფალი მოითხოვდა: კერას, ნაჭასა და ცეცხლზე წყლის გადასხმას, რაც ოჯახის დალუპვას, აყრას, გაქრობას ნიშნავდა<sup>3</sup>.

მ. კეკელია აღნიშნავს, რომ რ. ხარაძის მიერ აღწერილი განაჩენის გამოცხადების წესი მისი მასალებითაც დასტურდება, თუმცა ნაწილობრივ შეცვლილი სახით. მაგალითად, ამჟამად თითქმის არ იცავენ შემდეგ წესს: კერძოდ, როცა დაზარალებული მიდის თანმხლები პირებით დამნაშავეს ოჯახში განაჩენის მოსასმენად, დამნაშავე და მისი ახლობლები არ იმალებიან, იქვე ფეხზე დგანან, არც ნაჭას ჩამოხსნიან და არც კერაზე წყალს დაასხამენ<sup>4</sup>. ყოველივე ეს დ. დავითულიანთანაც არ ჩანს.

სუფრაზე მორევთა შორის წამყვანი ადგილი ეჭირა „მუუუშხეს“<sup>5</sup>. სუფრასთან მოწვეული სტუმრები სევამდნენ სამ აუცილებელ სადღეგრძელოს. მათ სათითაოდ ჩამოურიგებდნენ არყით საცხე კათხებს. რ. ხარაძის გადმოცემით, პირველი კათხით ახსენებდნენ ღმერთს, დალოცავდნენ როგორც შერიგების მომხდენსა და მომწყობს, ასევე თვითონ ოჯახს, მეორე სადღეგრძელო მთავარანგელოზისადმია მიმართული, მესამე სადღეგრძელო კი — წმიდა გიორგისადმი. ამ სადღეგრძელოს შემდეგ გამოდიოდა წინასწარ ამორჩეული მორევი, „მუუშხე“. იგი ყველას უამბობდა მომხდარი მკვლელობისა და შერიგების პირობების შესახებ, აცნობდა მორვალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ე. ი. აცხადებდა განაჩენს. შემდეგ თხოვნით მიმართავდა როგორც მკვლელის, ისე მოკლულის ნათესაეებს, რომ მათ ერთმანეთში მშვიდობიანობა დაემყარები-

<sup>1</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

<sup>4</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 129.

ნათ. მხოლოდ ამის შემდეგ გამოდიოდა მკვლელი და შესთხოვდა მოკლულის მთელ „სამხუბს“ პატიებას. მკვლელი ჩოქვით მიდიოდა მოკლულის მამასთან, უფროს ძმასთან და „მეხუბარართან“ (მოძმეებთან). მას მორჩილების ნიშნად ხელის ნეკები გადაჭდობილი ჰქონდა, უკან კი მთელი „ძირიშ მეხუბარარი“ მიჰყვებოდა. მკვლელი ხვეწნა-მუდარის სიტყვებით მიმართავდა მოკლულის ჭირისუფალთ, ავედრებდა საკუთარ თავს, სთხოვდა შეწყალებას, ცხადია, შერიგებას, ერთად დაღევასა და ერთმანეთის გადაკოცნას, ასევე ეუბნებოდა, რომ შესახვეწად აძლევდა ერთ უღელ ხარს. იმავე სიტყვებს იმეორებდნენ მკვლელის „სამხუბის“ წევრები, რომლებიც მას უკან მიჰყვებოდნენ. შემდეგ ისინი მოკლულის „სამხუბთან“ კათხების გაცვლის შემდეგ სვამდნენ არაყს. დასაჩუქრება ამ დროს წვრილმანებით ხდებოდა: აბრეშუმის ხელსახოცით, მცირეოდენი ფულით ან ვერცხლით<sup>1</sup>. ეგ. გაბლიანიც მკვლელის გამოსვლის იმავე წესს აღწერს და ასევე მიუთითებს, რომ იქვე ადგილი ჰქონდა მცირეოდენი საჩუქრების მიცემას მკვლელის ნათესავების მიერ მოკლულის ნათესავებისადმი<sup>2</sup> (ძირითადი საჩუქარი კი იყო ხარები, ფული და აგრეთვე ის თოფი, რომლითაც მკვლელობა იყო ჩადენილი).

რ. ხარაძე აღნიშნავს, რომ კათხების გაცვლა მორვალის მითითებით ხდებოდა, ის ანიშნებდა სათითაოდ, რომელ პირს ვისთვის უნდა გაეცვალა სასმისი. მას შემდეგ, რაც შერიგების გარეგანი მხარე უკვე შესრულებული იყო, ადღეგრძელებდნენ ორივე მოწინააღმდეგე მხარეს. შემდეგ იწყებოდა საერთო სადღეგრძელოები. ლხინის დასრულების შემდეგ ყველა შერიგებულად ითვლებოდა და თავიანთ სახლებში ბრუნდებოდა<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ უფრო ახალი მასალების მიხედვით, განაჩენის გამოცხადებისა და შერიგების პროცესთან დაკავშირებით, ზოგიერთი რამ შეცვლილია. მ. კეკელია ადასტურებს რ. ხარაძის ინფორმაციას, რომ განაჩენის გამოცხადება მესამე სადღეგრძელოს დაღვეის შემდეგ ხდება. „მუეუშხე“ სასმისით ხელში დგებოდა და მოკლე შესავლის შემდეგ იწყებდა „ნამორავის“ გამოცხადებას<sup>4</sup>; თუმცა რ. ხარაძის მონაყ-

<sup>1</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39-41.

<sup>2</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 109. წორის გარდა, დამნაშავეს საჩუქრებიც უნდა გადაეხადა მოკლულის ნათესავებისათვის. სხვადასხვა საზოგადოებაში წორის ოდენობისა და საჩუქრების შესახებ საკითხს ამ ნაშრომში არ ეუბნებიან, რადგან იგი არ წარმოადგენს პროცესუალურ საკითხს და ამ საკითხის განხილვა მიზანშეწონილია სეანეთში დანაშაულის და სასჯელის ინსტიტუტის მონოგრაფიული შესწავლისას.

<sup>3</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39-41.

<sup>4</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 129.



ოლისაგან განსხვავებით, მკვლელი არ არის დამალული და ახლობლებთან ერთად იქვე იმყოფება. დ. დავითულიანის მიხედვითაც, მკვლელი და მისი ახლობლები არსად იმალებიან. მისი განმარტებით, ეს უკანასკნელნი დაზარალებული მხარის წარმომადგენელთა საპირისპიროდ ჩამოსხდებოდნენ, მათგან დაშორებით, მათ შუაში კი შორეები ისხდნენ. ამ მომენტში ადათით აკრძალული იყო ნებართვისა და საჭიროების გარეშე ლაპარაკიც კი<sup>1</sup> (სუფრაზე ამ დროს ძალზე დაძაბული სიტუაცია სუფევდა. როგორც ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, მოკლულის ჭირისუფლები-სათვის საკმაოდ მძიმეა მკვლელის ოჯახში ჯდომა, მაგრამ სვანური ადათი ავალებდა ამას. ისინი მთელი ღამე ისხდნენ, არ სვამდნენ, არ ჭამდნენ, ფიქრობდნენ იმაზეც, რომ სისხლის საფასურის აღება სამუდამო ჩირქს სცხებდა მათ გვარსა და შთამომავლობას – სვანეთში ხომ დიდი სირცხვილია სისხლის აულებლობა და „წორის“ აღება – მკვლელი და მისი ოჯახის წევრები კი ერიდებიან მოკლულის ნათესავეებს და ძალზე განიცდიან, რომ სისხლის საფასურის გადახდა, მათი ამდენი ხნის ნაშენები ოჯახის აოხრების, განადგურების ტოლფასია. ამიტომაც, რომ სუფრის უფროსს<sup>2</sup> მრავალგვარი საბუთი მოჰყავს შესარიგებელი მხარეებისათვის, რომ მელატორობა, მორავალი ღეთის გაჩენილია, „წორის“ მიცემა და მიღება ახალი საქმე არაა და იგი არავინ უნდა იუკადრისოს, ამბობს დამამშვიდებელ სიტყვებს, რათა მხარეებს ტკივილი შეუმსუბუქოს, ამბობს ორივე მხარის სადღეგრძელოს)<sup>3</sup>. განაჩენის გამოცხადების შემდეგ, რომელსაც ყველა მღუმარედ ისმენს, სუფრის უფროსი ყანწს დამნაშავეს გადასცემს (არავითარი ჩოქვით შემოსვლა, მორჩილების ნიშნად გადაჭლობილი ნეკები აქ უკვე აღარ გვხვდება). დამნაშავე წარმოთქვამს შესაბამის სიტყვებს და შემდეგ რიგრიგობით ხდება სასმისების გადაწოდება დაზარალებული მხარის ნათესავეებისადმი და მათი დასაჩუქრება<sup>4</sup>. აქ ყველაფერი ფაქტობრივად ისევეა, როგორც რ. ხარაძესთან. ხანდახან მხარეთა შორის ნათესაური კავშირიც მყარდებოდა, რაც ხელს უწყობდა მათი ურთიერთობის მოგვარებას. კერძოდ, ამ

<sup>1</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

<sup>2</sup> სუფრის უფროსად, წამყვანად ხშირად გვევლინება განაჩენის გამომცხადებელი, „მუკუშხე“, რომელიც მესამე სადღეგრძელოს პირდაპირ განაჩენის გამომცხადებას მიაყოლებს (მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 129).

<sup>3</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

მიზნით ეწყობოდა ნათლობა და შეილობილობაც<sup>1</sup>. მხარეთა შერიგება დასტურდებოდა გადაკოცნით, ხელის ჩამორთმევითა და სადღეგრძელოს ვახტანგურად შესმით<sup>2</sup>.

ამრიგად, განაჩენის გამოცხადება ხდებოდა დამნაშავეის ოჯახში, სადაც საკმაო რაოდენობით იყვნენ ორივე მხარის წარმომადგენლები, ასევე მორევები, რომელთა გამასპინძლებაც დამნაშავეის ოჯახს ეკისრებოდა. თუმცა გამონაკლისიც არსებობდა, კერძოდ, ზოგჯერ განაჩენს რიგრიგობით აცხადებდნენ ჯერ დაზარალებულის ოჯახში, შემდეგ — დამნაშავეის. მ. კეკელიას განმარტებით, ამის მიზეზი მხარეთა ერთმანეთისაგან მოშორებით (სხვადასხვა საზოგადოებაში) ცხოვრება იყო, რაც მათ მისვლა-მოსვლას შეუძლებელს ხდიდა. განაჩენის გამოცხადების ასეთი წესი ჩვეულებით სამართალში არცთუ დიდი ხნის დამკვიდრებული უნდა იყოს<sup>3</sup>. მ. კეკელია ზოგიერთ მთხრობელზე დაყრდნობით, განაჩენის გამოცხადების შემდეგნაირ წესსაც აღწერს: მორვალი მხარეთა გარეშე ჯერ ერთ ოჯახში მიდიოდა (უფრო დამნაშავეის), ხოლო შემდეგ — მეორესთან და ცალ-ცალკე აცხადებდა განაჩენს. დაზარალებულის ოჯახში განაჩენის გამოცხადებისას ადგენდნენ, თუ როდის უნდა ჩაებარებინა დამნაშავეს მორვეთა მიერ გადაწყვეტილი თანხა დაზარალებულისათვის. როცა დაზარალებული მიიღებდა ამ გადასახადს, მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა მორვალის მიერ მხარეთა შეხვედრა საბოლოო შერიგების მიზნით<sup>4</sup>. აღსანიშნავია, რომ ეგ. გაბლიანის მონაცემების მიხედვითაც, დამნაშავეის ოჯახში მხარეთა შეხვედრა შესარიგებლად „წორის“ გადახდის შემდეგ ხდება<sup>5</sup>. ზოგჯერ ნაკლებადმნიშვნელოვან საქმეზე მორვალი დაზარალებულის ოჯახში აცხადებდა განაჩენს, დამნაშავეისა და მისიანების თანდასწრებით, აქვე გადაეცემოდა დაზარალებულს დადგენილი თანხა და საჩუქრები<sup>6</sup>. გვხვდება განაჩენის გამოცხადების სხვა წესიც<sup>7</sup>.

ზოგჯერ განაჩენის გამოცხადება ფიცის ცერემონიალის ჩატარების

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 109; მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 132.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

<sup>6</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 133.

შემდეგ, იმავე საღამოს კი არ ხდებოდა, არამედ რამდენიმე დღის, კვირის, ხანდახან თვეების შემდეგ. მ. კეკელიას განმარტებით, ამგვარ შემთხვევას მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა მორვალი ხელმოკლე დამნაშავეს გადასახდელი თანხის შეგროვების შესაძლებლობას აძლევდა. წესის მიხედვით, „ნამორავის“ გამოცხადების შემდეგ, მისი აღსრულების გაჭინურება ჩვეულებითი სამართლით დაუშვებელი იყო. ეს დაზარალებულს განაჩენის შეუსრულებლობის მოტივს უქმნიდა. ამას, შესაძლოა, დაზარალებულის მხრიდან შურისძიება მოჰყოლოდა, ხოლო განაჩენის გამოცხადებამდე მისი საიდუმლოების დაცვის პირობებში, შურისძიებაზე ტაბუ იყო დადებული. ამიტომ მორვალი ცდილობდა, განაჩენის გამოცხადებისა და მისი სრულად შესრულების ვადა დაეახლოებინა. როცა მორვალი დარწმუნდებოდა განაჩენის გამოცხადების გადადების აუცილებლობაში, ამას მოდავე მხარეებს არ უთანხმებდა, არამედ განაჩენის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე აცნობებდნენ მათ — „ამა და ამ დღეს გიცხადებთ ნამორავს“<sup>1</sup>.

ამრიგად, როგორც მასალებიდან ირკვევა, განაჩენის ანუ „ნამორავის“ გამოცხადება და მხარეთა შერიგება უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად, ერთდროულად ხორციელდებოდა. განაჩენის გამოცხადება ხდებოდა სწორედ მხარეთა შერიგების მიზნით დამნაშავე მხარის ოჯახში გაშლილ სუფრასთან. აქ იკრიბებოდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები, რისთვისაც დამნაშავის ოჯახი ნათესაების დახმარებით სწევდა საკმაოდ დიდ ხარჯს (მკვლელობის საქმეზე, აუცილებლად უნდა გამოცხადებულიყვნენ ის პირები, რომელთაც შურისძიების მოვალეობა ეკისრებოდათ, ან შურისძიების ობიექტი შეიძლება გამხდარიყვნენ). შერიგების სუფრა განსაზღვრული წესების დაცვით მიმდინარეობდა. ამ სუფრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სწორედ მესამე სადღეგრძელოს შემდეგ, ერთ-ერთი მედიატორის მიერ განაჩენის გამოცხადება. განაჩენის გამოცხადება და მხარეთა შერიგება, განსაკუთრებით მკვლელობის საქმეზე, საკმაოდ რიტუალიზებულ პროცესს წარმოადგენდა.

ბოლო პერიოდში, რაც დასტურდება XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილი მასალით, რიტუალური ელემენტები საკმაოდ შემცირდა (კერძოდ, დამნაშავისა და მისი ახლობლების დამალვასთან და შემდგომ მკვლელის გამოსვლასთან დაკავშირებული მომენტები), თუმცა ზოგი-

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 129-130.

ერთი რამ შენარჩუნებულ იქნა (სუფრის ჩატარების წესები, განაჩენის გამოცხადება სამი სადღეგრძელოს შემდეგ, სასმისების გადაცემა მკვლელის ახლობლების მიერ მოკლულის თითოეული ჭირისუფალისადმი, მათი დასაჩუქრება და სხვა).

გამონაკლის შემთხვევებში, განაჩენის გამოცხადება შესაძლოა, არც დამთხვეოდა მხარეთა შერიგებას და არ მომხდარიყო მხარეთა შესარიგებელ სუფრაზე. ეს მაშინ, როდესაც განაჩენს რიგრიგობით აცხადებდნენ ჯერ ერთ, შემდეგ მეორე ოჯახში, ხოლო მხარეთა შეხვედრა კომპოზიციის გადახდის შემდეგ ხდებოდა. ეს უკანასკნელი პროცედურა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეები შერიგებულად არ ჩაითვლებოდნენ.

### §5. განაჩენის აღსრულება

განაჩენის გამოცხადების შემდეგ დღის წესრიგში დგება მისი აღსრულება. იგი სასამართლო პროცესის საბოლოო სტადიაა. განაჩენის აღსრულება ე. წ. ერთგულების ფიცის მეშვეობითაა უზრუნველყოფილი. ღმერთის სასჯელის შიშით, მორევთა მიერ გამოტანილი განაჩენის შეუსრულებლობა, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო. მხარეები ხატის წინაშე დებდნენ ფიცს, რომ აასრულებენ განაჩენს და მას ვერავინ დაარღვევდა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ბ. ნიჟარაძე: „რაკი გამოცხადათ ორსავე მხარეს განჩინება, არც ერთს მხარეს არა ჰქონდა უფლება განჩინების უარყოფისა. ორივე ხმაამოუღებელივ ემორჩილებოდნენ, ამით თავდებოდა მსაჯულ-მედიატორთა თანამდებობა სვანურ იურიდიულ წესთწყობილებაში, რაც შეეხება აღმასრულებითს უფლებას, ე. ი. მისჯილის გადახდევინებას და მომჩივანისათვის ჩაბარებას, ამას ჩვეულება არ ავალებდა მსაჯულ-მედიატორებს. საზოგადოდ, ძნელი საქმე განჩინების დადგენა იყო, თორემ მისჯილის გადახდის და მიღების უარს ვერავინ გაბედავდა. მოპასუხე უმოკლეს დროში ჩააბარებდა მომჩივანს მისჯილს მახეშისა, ან რომელსამე ნათესავის ხელითა და ამით დასრულდებოდა მოჩხუბართა ერთმანეთში მორიგება“<sup>1</sup>. თუმცა, რასაკვირველია, განაჩენის აღუსრულებლობის სრული გამორიცხვა შეუძლებელია. სვანეთში ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა განაჩენით დაკისრებული კომპოზიციის, „წორის“ გადაუხდელობა. ამას სასამართლო პრაქტიკის

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

მონაცემებზე დაყრდნობით, ადასტურებენ მ. კეკელია და დ. დავითუ-  
ლიანი<sup>1</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ სამედიატორო სასამართლო კერძო-სა-  
მართლებრივ დავებს განიხილავდა, მის მიერ გამოტანილი განაჩენის  
აღუსრულებლობას შეიძლება მხოლოდ დაზარალებული მხარის რეაქ-  
ცია გამოეწვია. თუ დაზარალებული მხარე არ მიიღებდა დამნაშავე  
(მოპასუხე) მხარისაგან განაჩენით დადგენილ კომპოზიციას, მას სრუ-  
ლი უფლება ჰქონდა თავად, საკუთარი ძალებით გასწორებოდა დამნა-  
შავეს. საერთოდ, სამედიატორო სასამართლოს მთავარი მიზანი მხარეთა  
შერიგება და შურისძიების თავიდან აცილება იყო და მხარეებიც, სწორედ,  
იმიტომ თანხმდებოდნენ მედიატორთა არჩევას, რომ განაჩენის აღსრულებით  
მათ შორის მტრობა შეწყვეტილიყო. დამნაშავე მხარეს ერთგულების  
ფიცის გარდა, განაჩენის შესრულებისაკენ იმის შეგნებაც უბიძგებდა,  
რომ განაჩენის აღსრულებლობა მისი მხრიდან, კვლავ შურისძიების  
ობიექტად აქცევდა მას. მხარეები ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდე-  
ბოდნენ, როგორც მედიატორთა არჩევამდე იყვნენ (ამის სურვილი  
მხარეებს არ უნდა ჰქონოდათ, რადგანაც მედიატორთა არჩევას, სწორედ,  
შერიგების სურვილით დაეთანხმნენ). ასე რომ არ მომხდარიყო, მხარეე-  
ბი ასრულებდნენ მედიატორთა განაჩენს, ხოლო წინააღმდეგ შემთხ-  
ვევებში, დაზარალებულის მხრიდან პირადი ანგარიშსწორების ალბა-  
თობა საკმაოდ მაღალი იყო. ასეთ დროს მას ერთგულების ფიციც ვერ  
შეაჩერებდა, რადგანაც, როგორც მ. კეკელია აღნიშნავს, დამნაშავის  
მიერ განაჩენის აღსრულებლობა დაზარალებულს ფიცისაგან ათავისუ-  
ფლებდა და კვლავ შურისძიების გზაზე აყენებდა. გადახდისუუნარო  
დამნაშავე, შესაძლოა, შურისძიების შიშით ოჯახიანად აყრილიყო და  
სადმე შორს, ქვეყნის სხვა კუთხეში დასახლებულიყო<sup>2</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, განაჩენის აღსრულება დათქმულ დროს უნდა  
განხორცილებულიყო, ე. ი. ეს პროცედურა საკმაოდ სწრაფად დამთავრებას  
ითვალისწინებდა, რათა მხარეებს შორის გაუგებრობა არ გამოეწვია და  
მტრობა არ განახლებულიყო.

დამნაშავე მხარეს დაკისრებული კომპოზიცია დაახლოებით ორ  
კვირაში ან ერთ თვეში უნდა გადაეხადა. მაგალითად, გირგელიანებისა

<sup>1</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 152; მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

და ფარჯიანების საქმეზე მედიატორებმა 1926 წლის 20 ივნისს გამოიტანეს განაჩენი, და როგორც ამ განაჩენს შემდგომ მიაწერეს, სისრულეში მოიყვანეს 1926 წლის 27 ივნისს, ე. ი. ერთ კვირაში მოხდა განაჩენის აღსრულება<sup>1</sup>.

თუ დამნაშავე მხარეს არ ჰქონდა საშუალება დროულად გადაეხადა განაჩენით დაკისრებული გადასახადი, მას შეეძლო თხოვნით მიემართა მორევებისადმი, რათა მათ განაჩენის აღსრულება გადაევალებინათ. მორევები ითვალისწინებდნენ დამნაშავეს ხელმოკლეობას და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მართლაც ერთი წლით ან მეტით (ჩვეულებრივ, ერთ წელს იშვიათად გადააცილებდნენ) გადაუვადებდნენ ხოლმე განაჩენის აღსრულებას. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ მორევებს, შესაძლოა, ეტაპობრივად დაეკისრებინათ დამნაშავეისათვის კომპოზიციის გადახდა,<sup>2</sup> ანდა როგორც აღვნიშნეთ, მედიატორებს განაჩენის გამოცხადების ვადები გაეჭვიანურებინათ, რათა ხელმოკლე დამნაშავეს გადასახდისათვის თავი მოეყარა. მ. კეკელია ასევე მიუთითებს, რომ თუ დიდი დრო გავიდოდა დაზარალებულისათვის „ნამორავით“ გათვალისწინებული მთელი გადასახდელის ჩაბარებამდე, მაშინ მორევალი კიდევ ერთხელ შეახვედრებდა ერთმანეთს მხარეებს პურ-მარილზე, რითაც ხაზი ესმებოდა გადახდის დაჩქარების საჭიროებას და თითქოს ქარწყლდებოდა გაშვებული დრო და ახალი ხანდაზმულობა იწყებოდა<sup>3</sup>. დამნაშავეს „სამხუბის“ წვერებიც, განსაკუთრებით კი „ძირიმ მებუბარარი“ ეხმარებოდა, თუნდაც იმის გამო, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში, შურისძიების ობიექტნი ისინიც შეიძლება გამხდარიყვნენ<sup>4</sup>.

ცხადია, მორევები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მათ მიერ გამოტანილი განაჩენი აღსრულებულიყო. განაჩენის გამოტანა არ არის მორევთა თვითმიზანი. მათთვის მთავარია, რომ განაჩენი აღსრულდეს და მხარეთა მტრობას ამით წერტილი დაესვას. სამედიატორო სასამართლოს მისია, დანიშნულება სწორედ ეს იყო. ამის გამო, მორევები ცდილობდნენ გადაელახათ ყველა ის დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა განაჩენის აღსრულებას. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გარ-

<sup>1</sup> ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988, გვ. 170.

<sup>2</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 138-139.

და, მორევები თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ განაჩენის აღსრულების პროცესში, რაც უთუოდ უწყობდა ხელს აღნიშნული პროცესის წარმატებით აღსრულებას. ასევე განაჩენის დადგენის დროს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში და თუ ამის საჭიროება იქნებოდა, ითვალისწინებდნენ დამნაშავეის ქონებრივ მდგომარეობას, რაც წინასწარ იყო მათთვის ცნობილი და ამის შესაბამისად, გამოჰქონდათ განაჩენი. ე. ი. მორევი ცდილობდა, ისეთი განაჩენი გამოეტანა, რომელიც შეძლებისდაგვარად აღსრულებადი იქნებოდა და მომავალში მხარეთა შორის გაუგებრობისა თუ მტრობის განახლების თავიდან აცილებას შეუწყობდა ხელს<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ როგორც დამნაშავე იყო ვალდებული დამორჩილებოდა გამოტანილ განაჩენს და გადაეხადა დაკისრებული გადასახადი, ასევე დაზარალებული მხარეც უნდა დამორჩილებოდა განაჩენს, მიეღო დამნაშავე მხარისაგან გადასახადი და უარი ეთქვა შურისძიებაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულ მხარეს არ ჰქონდა უფლება არ მიეღო კომპოზიცია ან ეპატიებინა გადასახადის გადახდა დამნაშავეისათვის. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ეხედებით ბოლო დროს გადასახადის პატიების შემთხვევებს<sup>2</sup>. დაზარალებულს არ შეეძლო უარი ეთქვა გადასახადის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მას არ აკმაყოფილებდა გამოტანილი განაჩენი და ამით ფაქტობრივად უარს ამბობდა შერიგებაზე. თუ დაზარალებულის უარი გადასახადის მიღებაზე არ გულისხმობდა შერიგებისადმი ხელის შეშლას, მის უარყოფას, მაშინ ეს უკვე არ იყო განაჩენის შეუსრულებლობა. პირიქით, გადასახადის პატიებას შეეძლო ხელი შეეწყო მხარეთა შორის ნორმალური ურთიერთობის უფრო სწრაფად დამყარებისათვის. ე. ი. დაზარალებულის მხრიდან განაჩენით გათვალისწინებული გადასახადის მიუღებლობა არ ჩაითვლებოდა განაჩენისადმი დაუმორჩილებლობად, თუ დაზარალებული ამას აკეთებდა კეთილშობილური მიზნით და ამით უარს არ ამბობდა შერიგებაზე. მაგრამ, თუ იგი განაჩენით უკმაყოფილების გამო არ მიიღებდა გადასახადს და ამით, ფაქტობრივად, ჩაშლიდა შერიგებას, ეს უკვე განაჩენისადმი დაუმორჩილებლობად, განაჩენის შეუსრულებლობად, ე. ი. ერთგულების ფიცის დარღვევად ჩაითვლებოდა

<sup>1</sup> მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., გვ 186-187.

<sup>2</sup> იქვე, გვ 140.

(თორიულად ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ დაზარალებულის მხრიდან ამგვარი მოქმედების რეალურ შესაძლებლობას, რაიმე შესაბამის კონკრეტულ შემთხვევას არც ერთი მკვლევარი არ ადასტურებს. ერთგულების ფიცის ძალა უაღრესად ძლიერი იყო და განაჩენით უკმაყოფილო დაზარალებულს, თუ ასეთი იქნებოდა რაიმე კონკრეტულ საქმეზე, განაჩენისადმი მორჩილად ხდიდა).

როგორც აღნიშნეთ, ბ. ნიჟარაძის მიხედვით, მორევები განაჩენის გამოცხადების შემდეგ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და განაჩენის აღსრულებაში მონაწილეობა მათ ფუნქციას აღარ შეადგენდა. სხვა მკვლევრებთან სრულიად საწინააღმდეგო სურათი იხატება და მედიატორთა საკმაოდ აქტიური მოღვაწეობა ჩანს განაჩენის აღსრულების პროცესში. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს, რომ, როცა დამნაშავე მხარე მზად იყო გადაეხადა გადასახადი, იგი ამის თაობაზე მორევებს ატყობინებდა, ისინი კი თავს იყრიდნენ და ბაწრებით ხელში ყანებში მიდიოდნენ, რათა დაზარალებული მხარისათვის საუკეთესო მიწა მიეზომათ.<sup>1</sup>

რ. ხარაძე პირდაპირ წერს, რომ მორვალის მოვალეობას შეადგენდა მთელი „წორის“ მიღება: გაზომავდნენ მიწებს, აირჩევდნენ საუკეთესო ხარებს, შეაგროვებდნენ საჩუქრებს და ყველაფერ ამას გადასცემდნენ დაზარალებულ მხარეს<sup>2</sup>. დ. დავითულიანი აღნიშნავს, რომ განაჩენის გამოცხადებისა და მხარეთა შერიგების შემდეგ, ერთი ან ორი მორევი შეუდგებოდა მის აღსრულებას, მიუზომავდნენ მიწებს, ჩააბარებდნენ საქონელს, გადასცემდნენ ფულს და ა. შ.<sup>3</sup> მისი ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც მედიატორი იყო კონკრეტულ საქმეზე, ამბობს, რომ მედიატორებმა, მათ შორის ივითონაც, შუა ადგილზე მიუზომეს დაზარალებულებს საუკეთესო მიწები<sup>4</sup>. როგორც ირკვევა, არ იყო აუცილებელი ყველა მორევს მიეღო მონაწილეობა განაჩენის აღსრულებაში, ყანების გაზომვასა და პირუტყვისა და ფულის გადაცემაში. დ. დავითულიანის თქმით, ამ პროცედურას მხოლოდ ერთი ან ორი მორევი ასრულებდა. ეგ. გაბლიანის განმარტებით კი, გირგვლიანებისა და ფარჯიანების საქმეზე მედიატორებმა (სულ 24-მა კაცმა) თავისი რიგებიდან

<sup>1</sup> ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 108.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 41.

<sup>4</sup> დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 153.



ამოარჩიეს ექვსი კაცი განაჩენის სისრულეში მოსაყვანად<sup>1</sup>. მორევების აქტიურ მონაწილეობას განაჩენის აღსრულებაში ადასტურებს მ. კეკელიაძე<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ბ. ნიჟარაძის დროიდან განაჩენის აღსრულებაში მორევთა მონაწილეობის თვალსაზრისით, არსებითი ცვლილებები მოხდა. საფიქრებელია რომ დრომ მოიტანა მორევთა მონაწილეობის აუცილებლობა განაჩენის აღსრულების პროცესში. სავარაუდოა, ასევე, რომ დროთა განმავლობაში საჭირო გახდა განაჩენის აღსრულების შედეგიანად დასრულებისათვის მორევთა უშუალო და აქტიური ჩარევა. ეს გარემოება განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორადაც გვევლინება.

სევანთში განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი

<sup>1</sup> ვ. გაბლიანი, დასახ. ნაშ., გვ. 107.

<sup>2</sup> მკვლელობისათვის გადასახადს სევანთში უწოდებენ „წორს“. სევანთში „წორის“ ძირითადი ერთეული იყო მიწის ნაკვეთი (ე. წ. ნალჯომი მიწა). წორი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრებოდა სახნავი მიწის ზომით ანუ ნალჯომით (ნალჯომი ქართულად ნიშნავს საზომს). თუკი „წორს“ მთლიანად მიწით ვერ გადაიხდიდნენ, ამ შემთხვევაში არსებობდა „ნალჯომის“ სხვა საჭიროებზე გადაფასების წესები (დ. დავითულიანი, დასახ. ნაშ., გვ. 170). სევანთში მიწა დღიურით იზომებოდა. დღიური ნიშნავდა ერთ უღელი ხარით, სევანური კავით მთელი დღის განმავლობაში მოხნულ მიწას. სევანური დღიური დახლოებით 350 კვ საყენს აღწევდა, ხოლო სისხლის ნალჯომი დღიურის მესამედია. „წორის“ ოდენობა სევანთის სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულია. მაგალითად, უშგულის საზოგადოებაში მკვლელობისათვის სრული გადასახადი — „წორი“ შეადგენდა ექვს სისხლის ნალჯომს (ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშ., გვ. 117-118). მ. კეკელია აზნაშავეს, რომ განაჩენით დადგენილ გადასახადს, იქნება იგი სისხლისა თუ სამოქალაქო ხასიათის დაეების გადაჭრასთან დაკავშირებით, „მაქცკა“ უწოდებდა. „მაქცკა“ ფულადი გადახდეინების სახით ღგინდებდა უშეტესად. ადრე კი, ძირითადად, მიწითა და პირუტყვით განისაზღვრებოდა. მძიმე სასისხლო საქმეზე გადასახადის დიდი ოდენობით განსაზღვრის დროსაც „წორი“ ძირითადად მაინც მიწით (ნალჯომით) იფარებოდა. ახალ პერიოდში „მაქცკას“ გადასახადს ფულად გამოხატულებაში აცხადებდა მორეალი, თანაც იქვე დასძენდა, რომ თუ მთლიანად არ შეეძლო დაშნაშვეს თანხის გადახდა, მისი ნაწილი ხარის, ძროხის ან სხვა პირუტყვის შეფარდებით გადაიხადებოდა (მ. კეკელია, დასახ. ნაშ., გვ. 135, 136). მ. კეკელია ერთ სანტიგრესო ლეტალსაც აღწერს, მისი თქმით, როცა დათესილ საყანე მიწას მიუზომდებდნენ „წორის“ ანგარიშში დაზარალებულს, მამნ ნახევარ მრსავალს დაშნაშვევ წაილებდა, ნახევარს კი — დაზარალებული, მოსავალს მთლიანად დაშნაშვევ იღებდა, რომლის ნახევარსაც დაზარალებულს უტოვებდა (მ. კეკელია, იქვე, გვ. 138).

საინტერესო მომენტი გვხვდება. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ ზოგჯერ დაზარალებულს წერილობით უნდა დაედასტურებინა გადასახადის მიღება და იქვე აღენიშნა, რომ ამიერიდან სადავო არაფერი ექნებოდა. მან ხალხში მოიძია ასეთი საბუთები და გამოაქვეყნა კიდევ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ასეთ დოკუმენტს:

1895 წ. 20 მაისი. ხელწერილი მედიატორთა მიერ გადაწყვეტილ თანხის მიღებაზე

„1895 წ. მაისის 20 დღესაც ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერი სოფ. ბოგრეში მცხოვრებნი, აზნაურნი კოსტა და ლევან და ჩვენი დანები: თეთრუა, თემი და ირინე სულთ მამისძენი ქურდიანები და სიძე ჩვენი გიგო ოთის ძე იოსელიანი, გაძლევთ ასეთ ხელწერილის სინამდვილეს, თქვენ იფარს მცხ. გლეხთა: გიერგ და შენს შვილს სიმონ პირველებს ასეთ, რომ ჩვენ ვიყვენით მედიატორებით შერიგებულნი, რომელნიც მივიღეთ მისჯილი, საქონელი და ფული სამას სამოცდამედი მანეთისა და ახლა ის მივიღეთ, რა უკეთუ ამიერიდგან ვინმე ამ საქმეზედ კიდუე ვინე გედავოსთ ჩვენთაგანიდან, ჩვენით შეგიშალოთ, რაიმე ამ საქმეზედ, ერთიორად დაგიბრუნოთ ყოულის მიზეზის გარეშე და საჩივარშიც შეუწყნარებელი იყოს ჩვენი საქმე. ეს არის ჩვენი სინამდვილეთი პირობა. გიგო იოსელიანი, კოსტა, ლევან თეთრუათაში და ირინე ქურდიანები და უწერილობისა გამო ჩვენისა წერისა, ხელის მოწერა უთხოვეთ გ. ი. პ. ს...“.

ამ და ყველა მსგავს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხარეები მედიატორებმა შეარიგეს, ხოლო დაზარალებულებმა მიიღეს დამნაშავე მხარისაგან მედიატორთა მიერ დადგენილი გადასახადი (საქონლისა თუ ფულის სახით). თუ რომელიმე მათგანი (დაზარალებულის მხრიდან) დავას დაიწყებდა მოცემულ საქმეზე მეორე მხარესთან, ანდა ამ შეთანხმების წინააღმდეგ წავიდოდა, მაშინ გადახდილიც უკან უნდა დაებრუნებინა და პირგასამტეხელო ჯარიმაც უნდა გადაეხადა. ხშირად ისე, როგორც მოყვანილ დოკუმენტშია, დაზარალებულები პირობას დებდნენ, რომ შეთანხმების მათი მხრიდან ჩაშლის შემთხვევაში, ერთიორად დააბრუნებდნენ მიღებულ გადასახადს. ცხადია, ასეთი პირობა, განმტკიცებული პირგასამტეხლოთი, ერთგულების ფიცთან ერთად, ხელს უწყობდა იმას, რომ განაჩენის აღსრულების შემდეგ მხარეთა შორის

<sup>1</sup> ქართული ჩვეულებით სამართალი, 1988, გვ. 161-162.

მტრობა აღარ განახლებულიყო.

ზოგადად, ასეთი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ სამედიატორო სასამართლოს საქმიანობა სევანეთში, მისი ორგანიზაცია, სასამართლო პროცესის ძირითადი პრინციპები და სტადიები ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია იმაზე, რომ ნაშრომი აბსოლუტურად სრულყოფილია. ქართულ ჩვეულებით სამართალში დღეს უკვე ფაქტობრივად შეუძლებელია ყოვლისმომცველი და აბსოლუტურად სრულყოფილი ნაშრომის შექმნა. სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებსა და დამატებით ცნობებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ ყველა არსებითი და ძირითადი საკითხი სევანურ სამედიატორო სასამართლოსთან დაკავშირებით, ნაშრომში წარმოჩენილია იმ მოცულობით, რის საშუალებასაც იძლევა ჩვენს ხელთ არსებული მასალა.

## МЕДИАТОРНЫЙ СУД В СВАНЕТИ

### Резюме

В Сванети, как и в Хевсурети, подтверждается наличие древнейшего судебного учреждения – медиаторного суда, которое на основе правовых обычаев разрешает частноправовые споры. Его назначение – примирение сторон. Он является наиболее важным механизмом для избежания мести. В Сванети его называют судом „морвали“. Выбор „морвали“ или медиаторов осуществляли сами спорящие стороны, в соответствии с их желанием. То есть медиаторный суд создавался для разрешения каждого конкретного спора и не был постоянно действующим органом. „Морвали“ отличались правдивостью, честностью и непредвзятостью. В случае сложных дел (убийство, тяжелые ранения) „морвали“ (медиаторов) избирали в большем количестве, чем при легких.

Значительным составляющим элементом судебного процесса в Сванети была клятва судей и сторон. Клятву судей называли „толобис пици“ (клятва равенства), а клятву сторон – „эртгулебис пици“ (клятва верности). Суть „толобис пици“ заключается в том, что стороны обращаются к медиаторам, чтоб при рассмотрении дела они восприняли их им равными, и чтоб каждый медиатор, поставив себя на их место, разрешил спорный вопрос. А в ответ „морвеби“ произносят клятву, что вынесут объективный, правдивый приговор, и при установлении приговора представят себя на месте спорящих сторон и рассудят так, как пожелали б сами себе. Стороны же при произнесении „эртгулебис пици“ подтверждают, что бесприкословно выполняют вынесенный медиаторами приговор, и будут верны друг другу, помирятся с другой стороной, и, наконец, прекратят вражду. То есть, „эртгулебис пици“ содержит два компонента: 1) клятва о том, что будут верны приговору и 2) клятва о том, что будут верны друг другу, и помирятся.

Клятвы произносят в церкви, чаще всего после вынесения приговора медиаторами, перед тем, как объявить приговор. Таким образом, клятва в Сванети является главным гарантом вынесения объективного приговора, исполнения приговора сторонами, а также окончательного примирения сторон. В силу клятвы верности в Сванети было редкостью неисполнение вынесенного медиаторами приговора.

Первая стадия судебного процесса – это рассмотрение дела по существу. Медиаторы в Сванети проводят процедуру, схожую с судебным расследованием. Они сперва идут в семью пострадавшего, где выслушают иск за столом, накрытым в их честь. Затем идут в семью ответчика, где подробно сообщают ответчику содержание жалобы. Как только ответчик выслушает иск, он тут же доложит ответ медиаторам. На второй день медиаторы идут опять к истцу для сообщения ответа. Если истец добавлял что-либо, то и это передавалось ответчику. Была вероятность того, что медиаторам несколько раз приходилось идти к каждой из сторон для полного разъяснения дела. Такое хождение туда и обратно могло продолжаться в течение нескольких дней, а иногда и даже недель.

После получения полной информации, медиаторы переходили к следующей стадии процесса, что подразумевало обсуждение вокруг вынесения приговора. Для этого медиаторы, если это был день, да тем более летний, выходили куда-нибудь в поле. Если же стояла зима или непогода, то медиаторы собирались в каком-нибудь из заброшенных домов в деревне. При этом исключена была любая возможность услышать рассуждение кем-либо из посторонних.

Вынесенный приговор должен был сохраниться втайне до тех пор, пока не объявляли его сторонам. Также не допустимым считалось его обжалование и он должен был быть нерушимым. Этот принцип был выражен в интересном символическом действии. В частности, после установления приговора один из медиаторов берет маленький камень и хоронит его в землю. Это означает, что приговор окончательный и ни один медиатор

не имеет права кому-либо сообщать о содержании приговора до тех пор, пока не объявят его сторонам, а также и то, что позиция каждого медиатора не должна быть заранее выдана. В противном случае он также будет похоронен, как и этот камень.

Чаще всего вынесенный приговор объявляется в семье виновного, куда вместе с медиаторами приходят представители пострадавшей стороны. Тут же за столом происходит и примирение сторон. Возможно и то, что объявление приговора откладывалось на несколько дней, недель, месяцев. Это происходило в том случае, если „морвали“ предоставляли возможность малоимущему виновнику собрать необходимую для оплаты сумму. Согласно правовым обычаям, после объявления приговора, затягивание его исполнения было не допустимым, так как была опасность мести со стороны пострадавшего.

Последняя стадия судебного процесса – это исполнение. В осуществлении и этой процедуры участвуют медиаторы. Им следовало взять всю оплачиваемую сумму в деньгах или в натуре. Они измеряли земельные участки, выбирали лучших волов и все это передавали пострадавшему. Согласно обычаю, полное исполнение приговора с момента его объявления, должно было завершиться после двух недель, или одного месяца.

В Сванети, как и в Хевсурети, форма судебного процесса – обвинительная. Хотя в отличие от Хевсурети, вынесенный медиаторами приговор не может быть засчитан факультативным. Исполнение его сторонами должно быть безусловным, что и обеспечивается данной ими “эртгулебис пици” (клятвой верности).

## THE MEDITORIAL COURT IN THE SVANETI

### SUMMARY

In Svaneti, as in Kchevsureti, it is confirmed the existing of ancient form of the Court institution - the Meditorial Court. On the base of the Customary Law the Meditorial Court resolves the private right disputes. The main function of it is the reconciliation of the sides. It is the most important mechanism in avoiding of vendetta. It is called "Morvali", court in Svaneti. Dispute sides in accordance with their wish choose Morvali or mediators. That is the Meditorial Court was setting up to resolve the each concrete dispute and it was not the constantly working Court institution. "Morvali" were notable for their truthfulness, honesty and unprejudiced. For the complicated causes (murdering, wounding) the sides choose more mediators, than for easy one.

The considerable component element of Court process in Svaneti was the taking the oath by judges and sides. The judges' oath was called "Tolobis pitsi" (the oath of equality), and the oath of sides-as "ertgulebis pitsi" (the oath of truth). The essence of the "tolobis pitsi" is that the sides are appeal to mediators to perceive them equal and that each mediator will put themselves on their place, when they will resolve the moot point. In answer "Morvebi" are taking the oath, that they will pronounce the objective and truthful sentence, when they will put themselves on their place so that how they will wish to themselves and will resolve the moot point. After that the sides are taking the "ertgulebis pitsi" (the oath of truth) and confirm, that they without hindrance will carry out the sentence and also will be truth and reconciled to each other, and at last they will put the end to the animosity. So that the "ertgulebis pitsi" contents two components: 1. The first is that, they will be truth to the sentence and 2. The second oath is about that they will be truth to each other and will put the end to the animosity. The oath is pronounced in the Church, frequently after the pronouncement of the sentence by the mediators before they will pronounce the sentence. So that the oath in Svaneti is the main guarantee of the objective pronouncement of the sentence, of the fulfillment of it by

the sides and also have the reconciliation of the sides. Owing to the fact, that there was the oath of truth, it was the rarity not carrying out of the sentence, pronounced by the mediators in Svaneti.

The first step of the Court legal proceedings is the consideration of a case on the substance. The mediators in Svaneti carrying out the legal proceedings like inquest investigation. Firstly they are going to the victim's family, where they are listening for the action at the sitting table, prepared specially for them. Then they are going to the defendant's family, where they will inform them in details the content of the complaint. As soon as the defender will hear out the action, he has to tell the answer to the mediators. On the next day the mediators go to the victim again to tell the defendant answer. If the victim added something new, they told it to the defendant too. It was the probability that the mediators would go to the sides many times to clarify the case. Such going there and back may be continue during some days, and at times during some weeks.

After getting the whole information, the mediators turn to other step of the legal proceedings, what means the discussion round the pronouncement of the sentence. The mediators went to somewhere in the field, if it was the summer day. But if it was the winter and the bad weather, they gathered in some deserted house in the village. It was impossible for somebody to hear the discussion.

The pronouncing sentence will be keeping in a secret, till its declaration to the sides. As well it was impossible to appeal it and it has to be inviolable. This principle was expressed in very interesting symbolic action. After the pronouncement of the sentence, one of the mediators takes a small stone and bury it. This means, that the sentence is final and that none of the mediators have not the rights to tell somebody the contents of the sentence till it will be pronounced to the sides, and also that the position every mediators will not be give out beforehand. Otherwise he will be bury just as this stone.

More often the pronouncement of the sentence is announced in the defendant's family, where together with mediators come the spokesmen for the victim. On the spot at the table takes place the reconciliation of the sides. It was possible that the announcement of the sentence will be pit off for some days, weeks or months. It was in that case, if the "Morvali"



gave the chance to the poor defendant to gather the necessary for paying sum. In accordance with the Customary Law, after announcement of the sentence, the prolongation of its fulfillment was not permitted, because there was the danger of vendetta from the victim's side.

The last step of the Court legal proceedings is the fulfillment. The mediators are getting part in the coming true of this procedure. They had to get whole paying sum in money or in nature. They surveyed the plots of land, choose the best oxen and gave it to victim. In accordance with the Customary Law, the whole fulfillment of the sentence has been finished after two weeks or one month from the moment of announcement of it.

In Svaneti, as in Kchevsureti, the form of the Court legal proceedings is prosecuting. Though in contrast to Kchevsureti, the sentence, pronounced by the mediators could not be defend, as optional. The fulfillment of it must be absolute, which will be provided for the oath, by giving them "ertgulebis pitsi" (the oath of truth).

## ლიტერატურა

1. აღბეგოვი (ინგილოელი) ყაღმ. ევანტე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990.
2. ბოროზინი ნ., სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1899.
3. გაბლიანი ევ., ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.
4. გაბლიანი ევ., თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.
5. გასუანი გ., სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, „მშათობი“, №7, 1968.
6. დავითილიანი დ., სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ზღნაწერი, თბ., 1974-1975.
7. ერისთავი რ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1986.
8. ეარეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1948.
9. იონიშვილი ე., რაფიელ ერისთავი, როგორც ეთნოგრაფი, „იქსკარი“, 1974 №1
10. ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
11. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ.2, თბ. 1981.
12. კეკელია მ., სვანეთის სულხან-საბას - ბესარიონ ნიგარაძის - დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988.
13. კეკელია მ., ფიცი სვანეთის ჩვეულებით სამართალში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, III, 1970.
14. კეკელია მ., „მთხრობელი“, ბაღს ზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, №2, 1973.
15. კეკელია მ., ფოლკლორი, როგორც წყარო ქართული სამართლის ისტორიისათვის, „მაცნე, ერისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1981.
16. კეკელია მ., ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები აღმისა და მესტორის ოთხთავების მინაწერით მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 138, კუმანტიტარული მეცნიერებანი, 1971.
17. მერაბიშვილი ე., „სამშობლო ზვესურისას“ ავტორი ქართველ მთიელთა შესახებ, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988.
18. ნადარეიშვილი გ., ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962.
19. ნიგარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962.
20. წულუკიანი ა., სვანური ბჭე-მედიატორული სასამართლო, სახელმწიფო და სამართალი, 1990, №9.
21. ხარაძე რ. დიდი ოჯახის გადმონათობები სვანეთში, თბ., 1939.
22. ხარაძე რ., სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953.
23. ხარაძე რ., რობაქიძე აღ., სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
24. ხარაძე რ., სურვლები ფ. ბ. ნიგარაძის ნარკვევები ჩვეულებითი სამართლის შესახებ სვანეთში, წინასიტყვაობა წიგნზე: ბ. ნიგარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962.
25. ხარაძე რ., ხვესურული ანბრები - ხალხური სამართლის წყარო, მშობლივლელი, ტ. II, 1951.
26. დოკუმენტები ბაღს ზემო სვანეთიდან, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 1988, გვ. 158-171.
27. სასამართლო ხასიათის დოკუმენტები ბაღს ზემო სვანეთიდან, კრ. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 2, თბ., 1990, გვ. 135-159.
28. Бакрадзе Д., Сванетия, „Записки Кавказского отделения императорского русского географического общества (зконрго), кн. VI, 1864.
29. Бартоломей М., Сванетия, зконрго, часть III, 1855.
30. Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, т. 1, М., 1888.
31. Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, т. 2, М., 1886.
32. Ковалевский М., Современный обычай и древний закон, т. 2, М., 1886.
33. Леонтович Ф., Адаты кавказских горцев, т. 2, 1883.
34. В Сванетии - Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, „Вестник Европы“, 1886, №9.
35. Стоянов А., Путешествия по Сванетии, зконрго, кн. X вып. II, 1876.
36. Эристов Р., Заметки о Сванетии, зконрго, кн. XIX, вып. II, 1898.

# სარჩევი

შესავალი ..... 3

## თავი I

სამედიატორო სასამართლოს ორგანიზაცია სკანეთში .....	15
§1. ტერმინის შესახებ.....	15
§2. სამედიატორო სასამართლოს არსი სკანეთში. მხარეთა დაყოფიება სამედიატორო სასამართლოს ჩატარებასა და მედიატორთა არჩევაზე ....	16
§3. მორევის დამახასიათებელი თვისებები, მისი არჩევა და მედიატორად ყოფნაზე დაყოფიება.....	23
§4. მედიატორთა რაოდენობა, „მუწვრი“ ანუ „ნეგსაჩუ შეგნე“.....	26
§5. მორევთა გასამრჯელო .....	35

## თავი II

ფიცი, როგორც სასამართლო საქმისწარმოების ობიექტურობისა და განაჩენის აღსრულების გარანტი .....	38
---	----

## თავი III

სასამართლო პროცესი .....	83
§1. საქმის არსებითი განხილვა .....	83
§2. მედიატორთა მსჯელობა განაჩენის დასადგენად და განაჩენის გამოტანა.....	91
§3. ქვის ჩაფლვა („ბაჩა ლილეჯენი“) .....	100
§4. განაჩენის გამოცხადება და მხარეთა შერიგება.....	105
§5. განაჩენის აღსრულება .....	112
PE3IOME .....	120
SUMMARY .....	123
ლიტერატურა .....	126

გამომცემლობის რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი  
ტექ.რედაქტორი  
კორექტორი ლამარა ბალოშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.05.02  
საბეჭდი ქალაქი 60X84 1/16  
პირ. ნაბ. თაბახი 8  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 6,45  
შეკვეთა №144 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

გამომცემლობა „მერიდიანი“  
38008, თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., 112.